მარქსის სახ. საქ. სახელმწ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. სოლკომ. კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.: რედაქტორის . . . 14—76; რედაქტორის მოადგ. 23—17; მდივნის . . . . 10—58; მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებანი, გარდა განყოფილების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 2 აგვისტო 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 180 (2828)

დ ღ ი უ რ ი

- პარიზში დააპატიმრეს „ლიუმანიტე“-ს მთავარი რედაქტორი.
- ვან-ძინ-ვეის განცხადება ჩინეთ - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.
- გაფიცვები ახალი სოციალურ ვევის კანონის წინააღმდეგ საფრანგეთში გრძელდება.
- ჩინეთის კომუნისტური რაზმების შეტევა გრძელდება.
- გაძლიერებული რეპრესიები ბალკანეთზე 1-ლ აგვისტოსთან დაკავშირებით.
- ფაბრიკა - სამზარეულოების აგება თბილისში და ბათომში.

დავაჩქაროთ კადრების მომზადება

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი სხვა დიდმნიშვნელოვან ამოცანებთან ერთად მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე კადრების პრობლემას. დღითი-დღე უფრო საგრძნობი ხდება კვალიფიციურ მუშაკთა ნაკლებობა. არსებული კადრები არა თუ საკმაო არ არიან, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი არ შეეფერებიან საბჭოთა აღმშენებლობას. ახალი მშენებლობა, ახალი ტემპები ბუნებრივად მოითხოვენ ახალ ადამიანებს, ჩვენი დროისათვის შესაფერ ცოდნით შეიარაღებულ ენტუზიასტ მშენებლებს. ამას გარდა, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რამდენ გასაქანს აძლევს ნამდვილ საბჭოთა კადრების ნაკლებობა მავნებლობას, რასაც ასე დიდი ზიანი მოაქვს სოციალისტურ მშენებლობისათვის. აქედან გასაგებია პარტიისა და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება კადრების პრობლემისადმი.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? როგორი მუშაობა სწარმოებს ამ მიმართულებით და რა შედეგებს ვღებულობთ? ეს საკითხები უფრო აქტუალურია სწორედ ეხლა, როცა გაცხოველებული სამზადისი სწარმოებს ახალ სასწავლო წლისათვის.

პირველ ყოვლისა კადრების მომზადება უშუალოდ ებჯინება სკოლის რეორგანიზაციის საკითხს. აშკარაა, რომ ჩვენი სკოლა, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი თავის ძველი სახით ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ჩვენს სკოლებში ტრადიციულად გადმოსული მავნე უნივერსალიზმი და თეორიისა და საწარმოო პრაქტიკის შეუხამებლობა, თავისთავად ცხადია, ვერ მოგვცემს იმ ტიპის სპეციალისტს, რომელიც ასე ესაჭიროება სოციალისტური რეკონსტრუქციისა და ფართო განვითარების გზაზე მდგომ ჩვენს მრეწველობას. ამ მდგომარეობის შეცვლის მიზნით უკვე სწარმოებს მუშაობა. ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაცია. მიღებულია ზომები საშუალო სკოლის მუშაობის გარდასაქმნელად ახალ ამოცანებთან შეფარდებით. მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ეს ცვლილება ფორმალურ ხასიათს ატარებს: გარეგნულ რეორგანიზაციას არ მოჰყოლია მუშაობის შინაარსის შესაფერისად შეცვლა. ამის მთავარი მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ გარდა თვით სახალხო განათლების ორგანოების სუსტი მუშაობისა, სკოლის რეორგანიზაციის საქმისადმი საჭირო ყურადღებას არ იჩენენ ჩვენი სამეურნეო ორგანოები და პროფესიონალური კავშირები. ამავე დროს რეორგანიზაციის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გამოყვანილ იქნას სკოლა დღემდე არსებულ კარჩაკეტილ მდგომარეობიდან, მჭიდროდ შეუკავშირდეს ის საბჭოთა აღმშენებლობის ყოველდღიურობას. ცხადია, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანოების აქტიური მონაწილეობა სასწავლო საქმის გადახალისებაში სკოლის რეორგანიზაციის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ამიტომ ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც ჩვენ ამ მხრივ გვაქვს და რომელიც არა ერთხელ იქნა აღნიშნული ა.-კავკასიისა და საქართველოს მუშგლეხინის სათანადო დადგენილებებში, გადაჭრით უნდა შეიცვალოს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კადრების მომზადების საკითხში მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური შერჩევა. საჭირო არაა იმ უდაო ჭეშმარიტების მტკიცება, რომ ჩვენი სკოლების ყველა საფეხურებში უდიდეს უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ მუშები, ღარიბი გლეხები და მათი შვილები. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? მიუხედავად მთელ რიგ ენერგიულ ღონისძიებებისა, გარდატეხას ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ. მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური შემადგენლობა ჯერ კიდევ არ დგას თავის სიმაღლეზე.

პარტიის დირექტივით მახლობელი სასწავლო წლისათვის ინსტიტუტებში მისაღებად მთელ საქართველოში მომზადებული უნდა ყოფილიყო 620 მუშა, 100 მოჯამაგირე და 480 კომკავშირელი, სულ 1.200 კაცი. საერთოდ ეს ამოცანა თითქმის განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ აქაც იმ ნაკლმა იჩინა თავი, რასაც ადგილი აქვს ჩვენი სკოლის მსმენელთა სოციალური შერჩევის დროს. 1.200 კაცისაგან, რომლებიც გამოუშვა კურსებმა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად, მუშებისა და მოჯამაგირეების რიცხვი 76 პროც. შეადგენს, ხოლო მოსამსახურეების 24 პროც. ეს ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობაა. ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის დავალებით უნდა მომზადებული ყოფილიყვნენ მუშები და მოჯამაგირენი თითქმის ერთ მესამედს მოსამსახურენი შეადგენენ, ზედმეტად მოწმობს ადგილობრივი პარტიული, კომკავშირის და პროფესიონალური კავშირების უყურადღებობას სკოლის პროლეტარიზაციის საკითხისადმი.

ამასთანავე მეტად ცუდათ არის დაყენებული მუშა და მოჯამაგირე მოსწავლეთა უზრუნველყოფა სკოლებში. ციფრები მოწმობენ, რომ აკადემიურად ჩამორჩენილთა შორის მუშებისა და მოჯამაგირეების რიცხვი ერთობ დიდია. ამას ხშირად შედეგად მოსდევს სწავლისაგან საბოლოოდ ჩამორჩენა, რის გამო ზედა ჯგუფებში და კურსებზე მუშების რიცხვი სულ უფრო კლებულობს და სწავლადამთავრებულთა შორის მათი პროცენტი ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელოა. ეს გარემოება სერიოზული ყურადღების ღირსია. კადრების მომზადება გულისხმობს სათანადო მატერიალური საშუალებების გაღებას, რომელნიც შემდეგ გასკეცებულად დაუბრუნდება ჩვენს სახალხო მეურნეობას. ეს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც უცხოველესი მონაწილეობა უნდა მიიღონ ღარიბი მოსწავლე ახალგაზრდობის მატერიალურად უზრუნველყოფაში.

კადრების ამოცანა, როგორც ვიცით, გულისხმობს კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებასაც. მდგომარეობა აქაც მწვავეა. მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა-ხელზე, შეიძლება ითქვას, ყოველ საათობით იზრდება. მრეწველობა დიდ დაბრკოლებას განიცდის კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობის გამო. მახლობელ წლებში მდგომარეობა ამ მხრივ კიდევ უფრო გართულდება, თუ ეხლავე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები. ასე, მაგალითად, ხუთწლედის ბოლოში ა. კ. მრეწველობას დასჭირდება 27. 347 მუშა, რომელთაგან მაღალი კვალიფიკაციის უნდა იყვეს 2.150 კაცი, საშუალო—8.849 და ნახევრად კვალიფიციური 12.799 კაცი. ამას გარდა მარტო „აზნავთს“ დასჭირდება 7.870 კვალიფიციური მუშა. აღარაფერს ვამბობთ სოფლის მეურნეობაზე. ცხადია, რომ კვალიფიციური მუშა-ხელის მოთხოვნილება აქაც შესაფერისად გაიზრდება.

ყველა ეს ამოცანები მთელი თავისი სერიოზულობით აყენებენ კადრების პრობლემას. მართალია, ამის შესახებ ზოგს სწერენ და ლაპარაკობენ, მაგრამ საჭირო პრაქტიკული ნაბიჯები ჯერ კიდევ არ სჩანს. საქმე არ ითმენს. დროა კადრების პრობლემის გადაჭრაში მოხდეს შესაფერი გარდატეხა.

ჩინეთის რევოლუციის თვალსაჩინო გამარჯვება

ჩინეთის საბჭოების მუშათა და გლეხთა არმიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა. სამხრეთ ჩინეთის წითელმა არმიამ ამხ. პენ-დე-ხუაის ხელმძღვანელობით აიღო ხუნანის პროვინციის დედაქალაქი, სამხრეთ ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი, მნიშვნელოვანი ღია ნავთსადგური და საკმაოდ თვალსაჩინო სამრეწველო ცენტრი სამხრეთ ჩინეთში— ჩანშა, არის ჯერ კიდევ საკმაოდ არ დადასტურებული და შეუმოწმებელი ცნობა ძიანსის პროვინციის დედაქალაქის ხამჩანის აღების შესახებაც.

წითელი არმია ფართო ფრონტით მიიწევს წინ და მდინარე იანძიძიანის ველში უახლოვდება მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს. ჩანშადან უცხოელები გარბიან. იაპონიის საკონსულო სამხედრო გემზე გადადის. მდინარე იანძიზე სერიოზული ბრძოლაა წითელ ჯარსა და უცხოელთა სამხ. გემებს შორის. უცხოელთა სამხედრო გემები უკვე გაემართნენ ჩანშასაკენ. იმპერიალიზმი და ჩინეთის კონტრ-რევოლუცია თავს უყრიან ძალებს ჩანშას გამოსაგლეჯად ჩინეთის საბჭოების წითელი ჯარის ხელიდან. ეჭვს გარეშეა, რომ ჩანშას ირგვლივ და ჩანშასათვის ჯერ კიდევ სერიოზული ბრძოლაა მოსალოდნელი. მაგრამ ასევე ეჭვს გარეშეა, რომ ჩინეთის საბჭოების წითელი არმიის მიერ ჩანშას აღება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს.

ჩანშა საბჭოების ძალაუფლების ხელში ნიშნავს იმას, რომ რევოლუცია სამხრეთ ჩინეთში დაეუფლა პირველ დიდ ქალაქს, რომ რევოლუციამ თვით ჩანშაში და ხუნანის სამთამადნო რაიონებში მოიპოვა ერთგვარი, თუმცა ჯერ კიდევ არა საკმაო, პროლეტარული ბაზისი და რომ საბჭოთა მოძრაობის სახით გლეხთა აჯანყებანი იძენენ პროლეტარულ ხელმძღვანელობას. ჩანშა საბჭოების ძალაუფლების ხელში ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ მუშათა და გლეხთა რევოლუციამ სერიოზული დამარცხება აწვნია ჩინეთის გომინდანურ რეაქციას და მის მფარველ იმპერიალიზმს, ჩანშას აღება, დასასრულ, ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა იდეამ ბურჟუაზიულ-მემამულეთა კონტრ-რევოლუციისა და იმპერიალიზმის ძალებთან ღია ბრძოლის დროს გაიმარჯვა შედარებით ჩამორჩენილ ნახევრად კოლონიალურ ქვეყანაში.

ჩინეთის წითელი არმიის მიერ ხელში ჩაგდება ისეთი დიდი ცენტრისა, როგორიც არის ჩანშა, ცხადად გვიჩვენებს იმ კრიზისის მთელ სიღრმეს, რომელსაც განიცდიან ბურჟუაზიულ მემამულეთა ჩინეთი და იმპერიალისტური კოლონიალური რეჟიმი, გვიჩვენებს ნანკინის ხელისუფლების მთელ სიდამპლეს და უნიადაგობას და ხალხური მასების რევოლუციონური ბრძოლის აწვერთებას და სიმძლავრეს ჩინეთში.

ჩანშაში ლენინიზმმა დაამარცხა არა მარტო ჩინეთის კონტრ-რევოლუცია, არამედ კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმიც. ტროცკი გვიწინასწარმეტყველებდა ხანგრძლივ რეაქციას ჩინეთში, ხოლო ჩინელი ტროცკისტები და რენეგატი ჩენ დუ-სიუ შეხმატკბილებულ ბანს აძლევდნენ მას. ტროცკიზმმა უარჰყო კომინტერნის ლენინური გეზი ჩინეთის საკითხში, უარჰყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლენინური კონცეპცია, რომლის ღერძსაც წარმოადგენს ბრძოლა იმპერიალიზმის დამხობისათვის, აგრარული რევოლუცია, საბჭოების სახით ჩინეთის გაერთიანება მუშათა კლასის და გლეხების რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურის ქვეშ. ბრძოლა ხუთწლედისათვის საბჭოთა კავშირში ტროცკიზმმა „ეკონომიურ ავანტიურიზმად“ გამოაცხადა. ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხების რევოლუციონური დიქტატურისათვის ტროცკიზმმა პოლიტიკურ ავანტიურიზმად გამოაცხადა. რა უბადრუკად გაისმის გაკოტრებული ადამიანის ეს პროგნოზი მას შემდეგ, რაც ჩინეთის მუშათა და გლეხთა არმიამ ხელში ჩაიგდო მთელი პროვინციების დედა-ქალაქები!

წითელი არმიის მიერ ჩანშას აღებამ მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა მემარჯვენე რენეგატებსაც. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც როი ჩინელი ბოლშევიკების წინააღმდეგ ილაშქრებდა იმისათვის, რომ ისინი მეთაურობდნენ გლეხთა მასების ბრძოლას ჩამორჩენილი ჩინეთის „ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ნაწილებში“, რომ მოისურვეს მათ საბჭოების მშენებლობა ფუძიანში. ეხლა გლეხთა აჯანყებების, მუშათა გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღამ მებრძოლთა მასების საბჭოების დროშა ჩანშამდე მიიტანა.

ჩანშას აღება მოასწავებს დიდ გამარჯვებას მემარჯვენე ოპორტუნიზმზე, როგორც მთავარ საფრთხეზე, ჩინეთის კომპარტიის რიგებში. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩინეთის კომპარტიამ, კომინტერნის ხელმძღვანელობით, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ლეგალისტურ მისწრაფებებს, გამოსვლებს შეკვეცილი ლოზუნგების დასაცავად და ნიღბაფარებულ ტენდენციებს, მიმართულს იქითკენ, რომ საბჭოების ლოზუნგი შეეცვალათ დამფუძნებელი კრების ლოზუნგით? განა დიდი ხანია, რაც პარტიამ ბოლო მოუღო იმ ტენდენციას, რომელიც მიზნად ისახავდა ჩუმ თანამშრომლობას გომინდანის „მემარცხენეებთან“, გომინდანის, რომელიც ვან ძინ-ვეის სახით შეეცადა გენერლების მფარველობით შექმნა ახალი კონტრ-რევოლუციონური მთავრობა?

მაგრამ გამარჯვება ჩანშაში ნიშნავს დიდ გამარჯვებას „მემარცხენე“ ოპორტუნიზმზედაც, რომელიც 1928 წელს სულ სხვა პირობების დროს მოუწოდებდა კომუნისტებს მოუმზადებელ ამბოხებებისაკენ, ხოლო შემდეგში თავს არიდებდა მასიურ მუშაობას გომინდანურ კავშირების წევრ-მუშებსა და გლეხებს შორის. იგი გაურბოდა მასების ყოველდღიურ ბრძოლას და ცდილობდა მასიური მოძრაობა შეეცვალა ჯარისკაცების ამბოხებებით.

ჩანშაში ლენინიზმმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ სწორედ ეს ავალებს ჩინელ ბოლშევიკებს ფხიზლად შეაფასონ საქმის ვითარება, სწორად, ბოლშევიკურად შეუდგნენ მათ წინაშე დასახული უდიდესი და ურთულესი ამოცანების გადაჭრას.

საბჭოთა მთავრობის შექმნა ჩინეთში ამჟამად დღიურ ამოცანად გადაიქცა, ვინაიდან, როგორც ამხ. სტალინმა მე-16 ყრილობაზე აღნიშნა, მხოლოდ მას შეუძლია ჩინეთის გამოყვანა ჩიხიდან. აგრარული საკითხის სწორად გადაჭრა მთავარი ამოცანაა. აგრარული რევოლუცია უნდა წარმოადგენდეს ღარიბ-საშუალოთა რევოლუციას, კომუნისტებმა თავგამოდებით, გაბედულად უნდა დაუჭირონ მხარი ღარიბთა, თვითმზიდველ მუშათა და მოჯამაგირეთა მიწის გამათანასწორებელი გაყოფისაკენ მიმართულ მისწრაფებებს. მოჯამაგირეთა და ტვირთმზიდველთა ორგანიზაცია სოფლად, პროლეტარიატის, კერძოდ, ხელოსნური პროლეტარიატის ორგანიზაცია ქალაქად, მასების მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესება, 8 საათის სამუშაო დღის განხორციელება, შესაძლებელი სოციალური კანონმდებლობის გატარება, ხელფასის გადიდება მუშათა ბრძოლის გზით,—ყველა ეს პირველი რიგის ამოცანებია.

მუშების ორგანიზაცია, ღარიბთა ჯგუფების შექმნა, სწორი მშენებლობა საბჭოთა საფუძვლებზე და ამ მშენებლობაში საშუალოთა ფართოდ ჩაბმა და წვრილი ბურჟუაზიის არაექსპლოატატორი ფენების მიზიდვა ქალაქებში შეჰქმნიან მასიურ ბაზისს საბჭოებისათვის. სწორი ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელიც ერთის მხრით ანგარიშს გაუწევს ომის საჭიროებებს, ხოლო მეორეს მხრით მხედველობაში მიიღებს სოფლის წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობათა უდიდეს რაოდენობას და ქალაქის შინამრეწველთა და ხელოსანთა უდიდეს რიცხვს,—უნდა განამტკიცოს საბჭოების ხელისუფლება. ამავე დროს წითელი არმიის მშენებლობა პარტიის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს უნდა შეადგენდეს.

ეს მხოლოდ მესაძლია იმ ამოცანებისა, რომლებიც ჩინეთის პარტიის წინაშე დგანან. ბრძოლაში უნდა ჩაებას უხანის, შანხაის და ჩინეთის ყველა სამრეწველო ცენტრის პროლეტარიატი.

ჩანშაში მოპოვებული გამარჯვება უდიდეს ამოცანებს აკისრებს მთელ საერთაშორისო პროლეტარიატს. საფრანგეთის ჯარმა და აეროპლანებმა ერთხელ უკვე ჩაახშეს საბჭოები ლუ-ჯოუში (გუანსის სამხრეთი ნაწილი). იაპონიის ჯარმა ერთხელ უკვე მოაწყო დესანტი წითელი ნაწილების წინააღმდეგ დაეში. ინგლისის სამხედრო გემები, „მუშათა მთავრობის“ ბრძანებით, უკვე გაემართნენ იანძის და ხანის ველებისაკენ საბჭოების წინააღმდეგ.

იმპერიალიზმი უკვე აწარმოებს ომს საბჭოების წინააღმდეგ ჩინეთში.

პირველი აგვისტოს დღე უნდა გადაიქცეს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის გამოსავალ პუნქტად მუშურ-გლეხური საბჭოთა ჩინეთის დაცვის საქმეში. საბჭოთა ჩინეთის საქმე მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეა.

პრავდა, 31 ივლისი.

ამერიკის ფართო საქმიანი წრეები კმაყოფილი არიან ვაჭრობით საბჭ. კავშირთან

ვაშინგტონის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ: „ჰუვერი არ დაუშვებს, რომ მთავრობის პოლიტიკაზე, რომელიც აწესრიგებს ეკონომიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, გავლენა მოახდინოს პოლიტიკურმა სიტუაციამ“.

გერმანიის მთავრობამ ახალი კრედიტები გადასდო საბჭ. კავშირთან ვაჭრობის გასაფართოებლად

ამერიკის საქმიანი წრეები კმაყოფილი არიან

სავაჭრო ურთიერთობით საბჭოთა კავშირთან

გმობენ უოლის გამოსვლას

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. გაზ. „ნიუ-იორკ უორლდ“-ი მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ რუსეთ-ამერიკის სავაჭრო კომიტეტის დაკვეთები ტრაქტორებზე 50 პროცენტით ადიდებს „ინტერნეიშენელ ხრისტერ კომპანი“-ს ქარხნების მუშაობას. გაზეთი სწერს: „იშვიათად შეიძლება მუშათა იმ ბელადების მცირე ჯგუფის სიბეცის უფრო თვალსაჩინო ილიუსტრაცია, რომლებიც მოითხოვენ სავაჭრო ოპერაციების აკრძალვას საბჭოთა კავშირთან. შეერთებული შტატების ექსპორტის ამ მნიშვნელოვანი გამოსავლის დახურვით გავადიდებთ არსებულ უმუშევრობას და ხელს შევუწყობთ კომუნისტურ პროპაგანდას. უოლის შემოაქვს წინადადება— აიკრძალოს ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ შეერთებულ შტატებს სამჯერ უფრო მეტი საქონელი შეაქვს საბჭოთა კავშირში, ვიდრე ამ უკანასკნელს— შეერთებულ შტატებში“. (ადს)

საქმიანი წრეები დამაკმაყოფილებლად თვლიან ურთიერთობას საბჭ. კავშირთან

ლონდონი, 31 ივლისი. „ტაიმს“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი შეერთებულ შტატებში წარმოებულ ანტისაბჭოთა კამპანიის შესახებ სწერს: იმ დროს, როცა წვრილი მრეწველები და პროფკავშირების ორატორები დაჟინებით მოითხოვენ გადამწყვეტი ზომების მიღებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საქმიანი ხალხის ფართო წრეები სდუმან და ოდნავადაც არ არიან შეშფოთებულნი. ამერიკის ბანკები განაგრძობენ საფინანსო ოპერაციებს, მსხვილი გაერთიანებანი, როგორც სჩანს, კმაყოფილნი არიან არსებული მდგომარეობით.

კორესპონდენტი ყურადღებას აქცევს ავტორიტეტული წრეების განცხადებას იმის შესახებ, რომ ჰუვერი არ დაუშვებს, რომ პოლიტიკურმა სიტუაციამ გავლენა მოახდინოს მთავრობის პოლიტიკაზე, რომელიც აწესრიგებს ეკონომიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან. (ადს)

ვან ძინ-ვეი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

პეკინი, 31 ივლისი. გომინდანის „მემარცხენე“ ფრთის ბელადმა ვან ძინ-ვეიმ მიიღო უცხოელი კორესპონდენტები, მათ შორის საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელი. შეკითხვის საპასუხოდ ჩინეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ ვან ძინ-ვეიმ, სხვათა შორის, განაცხადა, რომ იგი ემხრობა ჩინეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის აღდგენას, ორივე მხარის თანასწორობისა და ინტერესთა შეთანხმების, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე, იმის მგვავსად, როგორც ეს გათვალისწინებულია ინგლის - საბჭოთა და სხვა ხელშეკრულებებით, რომლებიც საბჭოთა კავშირს დადებული აქვს უცხოეთის სახელმწიფოებთან. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ბრძოლის შედეგები ჩანშაში

პეკინი, 31 ივლისი. უკანასკნელი ბრძოლის დროს ჩანშაში (ხუნანის პროვინციის დედა ქალაქი) დაიწვა მთავრობის 12 სახლი, იაპონიის საკონსულო, ინგლისელების და ამერიკელების ეკლესიები. ჩინეთის წითელი არმიის რაზმებმა, რომლებმაც ჩანშა აიღეს ბევრი უცხოელი დააპატიმრეს როგორც მძევლები. ჩანშაზე გალაშქრებაში 30.000 წითელ არმიელმა მიიღო მონაწილეობა (ადს).

კომუნისტური რაზმების გამარჯვება ხუაიუანის რაიონში

შანხაი, 31 ივლისი. როგორც ხანკოუდან იუწყებიან, ხუაიუანის რაიონში კომუნისტურმა რაზმებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარის ნაწილები. რაზმები განაგრძობენ შეტევას სამხრეთისაკენ (ადს).

მუკდენში ჩავიდა იაპონიის ექვსი სამხედრო ჰაეროპლანი

ტოკიო, 31 ივლისი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, მუკდენში ჩავიდა იაპონიის ექვსი სამხედრო ჰაეროპლანი (ადს).

როგორ აიღეს ჩანშა

შანხაი, 31 ივლისი. ბრძოლა ჩანშასათვის დაიწყო 26 ივლისს, როცა სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმული წითელარმიელები და კომუნისტები შეიჭრნენ ქალაქში. 27 ივლისს ჩანშაში შევიდნენ წითელი ჯარის ნაწილები. ჩანშას გუბერნატორი, დიდი მოხელეები და სხვა მოხელეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ 26 ივლისს გაიქცნენ. დიდათ დაზიანდა ის ჯარი, რომელიც ქალაქის დაცვას ცდილობდა.

წითელი არმიის ნაწილები ჩანშაში შევიდნენ წითელი დროშებით და წითელი ლენტებით. რეიტერის და სიმბუნ რენგოს სააგენტოების ცნობით, ქალაქი დაუყოვნებლივ მორთულ იქნა წითელი დროშებით, გაჩნდა კომუნისტური ფურცლები და ლოზუნგები.

ჩინეთის იმპერიალისტური პრესა სხვადასხვა ჭორს ავრცელებს წითელი არმიის მოქმედების შესახებ, რათა შექმნას საზოგადოებრივი აზრი ჩინეთსა და უცხოეთში მდინარე სიანცეიანზე და ჩანშასთან თავმოყრილი იმპერიალისტური საზღვაო ძალების გასალაშქრებლად. ხანკოუდან ჩანშასაკენ გაიგზავნა დიდძალი ჯარი, ჯავშნოსნები, ჰაეროპლანები და სამხედრო გემები, რომელთაც ნაბრძანები აქვთ აუცილებლად დაიჭირონ ჩანშა. (ადს)

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ლოიდ-ჯორჯის და სხვა დეპუტატების განცხადება თემთა პალატაში საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის ხელსაყრელობის შესახებ ინგლისისათვის.

ლონდონი, 31 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თემთა პალატაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის ირგვლივ გამართული კამათის დროს ტეილორმა (ლეიბორისტი) სთქვა, რომ დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენამ საბჭოთა კავშირთან საგრძნობი სარგებლობა მოუტანა ინგლისს. ტეილორმა განაცხადა: მას არასოდეს არ სმენია, რომ ინგლისის საქმიან წრეებს თუნდაც ერთი პენი დაეკარგოთ რომელიმე საბჭოთა საწარმოსთან დადებულ გარიგებაში.

ლიბერალების ბელადი ლოიდ-ჯორჯი მოითხოვდა იმ პირობების გადასინჯვას, რომლებშიაც სწარმოებს კრედიტების გაცემა ინგლისის საქონლის გასაღების დროს საბჭოთა კავშირში. ლოიდ-ჯორჯის აზრით, არ არის საჭირო საქმიანი კავშირის საკითხების შერევა იმ მოსაზრებებთან, რომლებიც ეხებიან პროპაგანდას და საბჭოთა კავშირის სხვა ანალოგიურ საკითხებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა დალტონმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ მთლიანად შეასრულა ის ვალდებულება, რომელიც შეეხება პროპაგანდის საკითხს და რომ ინგლისის მთავრობა, რომელიც გაეცნო კონსერვატორების მიერ მოყვანილ საბუთებს პროპაგანდის არსებობის შესახებ, ფიქრობს, რომ ამ საბუთების დიდი უმრავლესობა კრიტიკას ვერ უძლებს. (ადს).

გერმანიის მთავრობამ ახალი კრედიტები გადასდო

საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გასაფართოებლად

ბერლინი, 31 ივლისი. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება, პრეზიდენტ ჰინდენბურგის ერთ-ერთი დეკრეტი, რომელიც 48-ე პარაგრაფს ეყრდნობა, უფლებას აძლევს ფინანსთა მინისტრს — გერმანიის საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით მიიღოს კრედიტების გარანტია 350 მილ. მარკის საექსპორტო გარიგებებზე. საგარეო ვაჭრობის კრედიტების დღემდე არსებული საგარანტიო ფონდი ორჯერ გაიზარდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ არსებითად ლაპარაკია სახსრების გადიდებაზე საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გასაფართოებლად. (ადს).

„ლიუმანიტეს“ მთავარი რედაქტორის დაპატიმრება

პარიზი, 31 ივლისი. „ჰავას“-ის სააგენტოს ცნობით, დააპატიმრეს ფლორიონ ბონტე, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანოს „ლიუმანიტე“-ს მთავარი რედაქტორი (ადს).

საფრანგეთის მუშების ბრძოლა

სოციალური დაზღვევის კანონის წინააღმდეგ

პარიზი, 31 ივლისი. გაფიცვა სოციალური დაზღვევის კანონის წინააღმდეგ გრძელდება. ლილში გაიმართა ხუთი ათასი კაცისაგან შემდგარი მიტინგი, რომელმაც დიდი დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. დემონსტრანტები მიემართებოდნენ ქუჩებში და გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას“, „გაუმარჯოს მუშათა ერთიან ფრონტს“. სან-კანტენშიაც ექვსი ათასი კაცისაგან შემდგარი მიტინგი დემონსტრაციით დამთავრდა. დემონსტრაცია გამოვიდა ქუჩაში წითელი დროშებით და „ინტერნაციონალის“ სიმღერით (ადს).

საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება

პარიზი, 31 ივლისი. გაფიცვამ, რომელიც ფრანგმა მუშებმა გამოაცხადეს ნიშნად პროტესტისა სოციალური დაზღვევის კანონის წინააღმდეგ, არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. პირველად გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 100.000 მუშა. შემდეგ გაფიცვას შეუერთდა 11.500 ფეიქარი საფრანგეთის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრიდან. ზოგ ქალაქში გრძელდება მუშების მასიური მიტინგები და დემონსტრაციები უნიტარულ პროფკავშირების ხელმძღვანელობით. ზოგიერთ ადგილას მოხდა შეტაკება პოლიციასთან. ლილის მუშათა უბნებში გაფიცულებმა მოახერხეს უკან დაებრუნებინათ მუშები, რომლებიც დაპატიმრებული ჰყავდა პოლიციას. რუანში 14 მუშას და მუშა ქალს, რომელთაც ბრალად დასდეს „ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა და შრომის თავისუფლების დარღვევა“, მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 5 თვიდან 2 კვირამდე თვითეულს. რეფორმისტები განუწყვეტლივ მოლაპარაკებას აწარმოებენ მწარმოებლებთან, რომ გამონახონ რაიმე კომპრომისი გაფიცვის შესაწყვეტად (ადს).

სენატორ ფიშის კომისიის „მუშაობა“

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. ფიშის კომისიამ მოქმედების გამოსაკვლევად ჯერ-ჯერობით დაჰკითხა ერთად-ერთ კომუნისტს, როგორც ჰერბერტ ნიუტონის მოწმეს. ნიუტონი არის ამერიკელი ზანგების შრომის კონგრესის ორგანიზატორი. კომისიამ უარჰყო მოწმის წინადადება — გამოიწვიონ შეერთებული შტატების კომპარტიის ბელადები ჩვენებების ჩამოსართმევად. შემდეგ კომისიამ დაჰკითხა „კერამიკული მრეწველობის ნაციონალური ასოციაციის“ წარმომადგენელს ჯანგს. ჯანგი იყო ფაშისტური საზოგადოების „ამერიკის ბურჯები“-ს და სხვა ფაშისტური ორგანიზაციების დირექტორი. მეორე მოწმე ცნობილი ანტისაბჭოთა პროპაგანდისტია (ადს)

გაზ. „ექსპრეს პორანის“ ახალი ჭორები

ვარშავა, 31 ივლისი. ბულვარული „ექსპრეს პორანი“, ათავსებს რა ცნობას სავაჭრო წარმომადგენლობის სატრანსპორტო აგენტურის თანამშრომლის, პოლონელი მოქალაქის თვითმკვლელობის შესახებ, ცდილობს ეს ფაქტი გამოიყენოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, თვითმკვლელი პოლონეთის მოქალაქეა, რომელიც სავაჭრო წარმომადგენლობაში მიღებულ იქნა უმნიშვნელო თანამდებობაზე. თვითმკვლელობა მოხდა პირადი ხასიათის მიზეზით, ალბად, რომანიულ ნიადაგზე. (ადს)

მშრომელი მასები მზად არიან საბჭოთა კავშირის დასაცავად

კაპიტალისტური ქვეყნების მუშები

იმპერიალიზმის წინააღმდეგ

გერმანია

კომუნისტური მიტინგების წარმატება

ბერლინი, 31 ივლისი. 1 აგვისტოსა და რეიხსტაგის არჩევნებისათვის მოსამზადებლად კომპარტიამ მოაწყო მუშათა რამოდენიმე მიტინგი და კრება.

ბერლინის მუშათა უბანში, ნეიკელნში გაიმართა დიდი კომუნისტური მიტინგი ლოზუნგით—„ბოლშევიზმი ფაშიზმის წინააღმდეგ“. შტეტინში მოეწყო მუშების და უმუშევრების მძლავრი დემონსტრაცია. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს. (ადს)

საფრანგეთი

ბურჟუაზიული რაზმების თავმოყრა

პარიზი, 31 ივლისი. 1-ლ აგვისტოს პოლიციელთა ძალების დასახმარებლად პროვინციიდან პარიზში მოვიდა ბურჟუაზიული თავდაცვის 2.000 წევრი. (ადს).

1-ლ აგვისტოსთან დაკავშირებით

პარიზი, 31 ივლისი. 1-ლ აგვისტოსათვის მზადებასთან დაკავშირებით, დამცველმა პოლიციამ დააპატიმრა და გააძევა საფრანგეთიდან 23 უცხოელი. უცხოელებს წაუყენეს ბრალდება, რომ ისინი კომპარტიის წევრები არიან და ემზადებოდნენ 1-ლ აგვისტოს მიტინგში მონაწილეობის მისაღებად (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს დადგენილება

პარიზი, 31 ივლისი. „ლიუმანიტე“-ში გამოქვეყნებულია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს დადგენილება, რომელიც მოუწოდებს პარტიის წევრებს გულდასმით შეისწავლონ და გაავრცელონ მე-16 პარტყრილობის დადგენილებანი (ადს).

ჩინეთი

ზომები 1-ლ აგვისტოს წინააღმდეგ

შანხაი, 31 ივლისი. 1-ლ აგვისტოდან შანხაის ჩინურ უბნებში გამოცხადებული იქნება სამხედრო წესები.

ბალკანეთზე

ვენა, 31 ივლისი. მზადება 1 აგვისტოსათვის ბალკანეთის ქვეყნებში მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობს. რუმინეთში მობილიზაცია უყვეს პოლიციის ძალებს, სწარმოებს საეჭვო მუშების მასიური დაპატიმრება, რომლებიც დამცველ პოლიციას „საბჭოთა ჯაშუშებად“ გამოჰყავს.

28 ივლისს გალაცში დააპატიმრეს 12 კომუნისტი. კიშინიევში პოლიციამ ვითომ არალეგალური ცენტრი აღმოაჩინა, რომელიც 1 აგვისტოს კამპანიას აწყობდა. პოლიცია ამტკიცებს, რომ კომუნისტებმა მოიტაცეს რუმინეთის სატელეფონო და სატელეგრაფო ქსელის საიდუმლო გეგმა.

როგორც ბუდაპეშტიდან იუწყებიან, უნგრეთის პოლიციამ ამ დღეებში კიდევ დააპატიმრა მუშათა მემარცხენე გაზეთების 4 თანამშრომელი და 50 მუშა, რომელთაც კომუნისტებად სთვლიან. მისკოლცში დააპატიმრეს 14 ახალგაზრდა მუშა კომკავშირის 1 აგვისტოს ფურცლების გავრცელებისათვის. (ადს)

ავსტრია

მასიური დაპატიმრებანი და ჩხრეკა

ვენა, 31 ივლისი. 1 აგვისტოსათვის მზადებასთან დაკავშირებით, ავსტრიის მრავალ ქალაქში მოხდა მასიური დაპატიმრება და ჩხრეკა. (ადს)

შვეცია

სტოკჰოლმი, 31 ივლისი. 1 აგვისტოსათვის მზადებასთან დაკავშირებით, მრავალ ადგილას მოეწყო 1 აგვისტოს კომიტეტები, რომლებშიაც, კომუნისტ მუშებს გარდა, ანარქისტები და სოციალ-დემოკრატები შედიან. მოტალში მელითონეთა პროფკავშირმა ანტიფაშისტური კომიტეტი მოაწყო. (ადს)

ომის საწინააღმდეგო მიტინგი

სტოკჰოლმი, 31 ივლისი. გაიმართა მერიქსენის სატელეფონო საზოგადოების საწარმოთა ომის საწინააღმდეგო მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 300 მუშამ. პოლიცია აძლიერებს რეპრესიულ ზომებს 1-ლ აგვისტოსათვის მზადების წინააღმდეგ. ხოდიკოვალეში დანიშნული მიტინგი აკრძალულ იქნა (ადს).

ესტონეთი

პროლეტარული ახალგაზრდობის კავშირის აკრძალვა

რეველი, 31 ივლისი. იუსტიციის მინისტრმა აკრძალა ესტონეთის პროლეტარული ახალგაზრდობის კავშირის მოქმედება (ადს).

ნორვეგია

ომის საწინააღმდეგო მუშათა კონფერენცია

ოსლო, 31 ივლისი. ბერგენში (ნორვეგიის უდიდესი ნავთსადგური, თევზის მრეწველობის ცენტრი) გაიმართა ომის საწინააღმდეგო მუშათა კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია დარაზმული ბრძოლის წარმოების აუცილებლობის შესახებ ახალი იმპერიალისტური საფრთხისა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინააღმდეგ (ადს).

ჩეხო-სლოვაკია

პრაღა, 31 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის ყველა ნაწილებში 1 აგვისტოსათვის მოსამზადებლად მრავალრიცხოვანი კრებები და თათბირები იმართება. პრაღაში გაიმართა 4 სარაიონო კონფერენცია, რომლებმაც აირჩიეს მოქმედების ცენტრალური კომიტეტი. უიეკოვში უმუშევართა კონფერენციას უეცრად თავს დაესხა პოლიცია, რომელმაც გაჰფანტა დელეგატები. პოლიციამ 1.000 კაცისაგან შემდგარი დემონსტრაცია გაჰფანტა აგრეთვე საფეიქრო ცენტრში— ფრიდეკოში. კარვის —ორლოვში დემონსტრანტ მემაღაროებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. (ადს)

უნგრეთი

ვენა, 31 ივლისი. როგორც ბუდაპეშტიდან იუწყებიან, ქალაქის მუშათა რაიონებში და საწარმოებში გაკრულია პლაკატები და მოწოდებები პირველ აგვისტოს დემონსტრაციებში მონაწილეობის შესახებ. ანტიიმპერიალისტური პროკლამაციები, რომელნიც მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ, ჯარისკაცებს შორისაც გაავრცელეს. (ადს)

იმპერიალისტური ომის შედეგები

მოსკოვი, 1 აგვისტო. 1914-18 იმპერიალისტური ომის შედეგები ასეთია: მოჰკლეს და ჭრილობისაგან მოკვდა 10 მილიონი. დასახიჩრდა 4 მილიონი. დაიჭრა 20 მილიონი. ომთან დაკავშირებით მოკვდაობა 15 მილიონით გადიდდა, იკლო დაბადებამ 20 მილიონით. მსოფლიო ომმა შთანთქა მუშებისა და გლეხების შრომით დაგროვილი 500 მილიარდი ოქროს მანეთი. ბურჟუაზიის კაპიტალი ერთი თორმეტად გაიზარდა. სასარგებლო ლითონის (ტყვიის, რკინის, ფოლადის) გადამუშავებისაგან მიღებულ იქნა 80 მილიონი ყუმბარა და 15 მილიარდი ტყვია. (ადს)

შეიარაღების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში

მოსკოვი, 1 აგვისტო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დამთავრების უმალვე სახელმწიფოებმა გაფაციცებით იწყეს მზადება ახალი ომისათვის. შეიარაღება კაპიტალისტურ ქვეყნებში განუწყვეტლივ იზრდება. სამხედრო სამინისტროების ბიუჯეტები 1913 წელთან შედარებით გაიზარდა: ინგლისში—33 პროცენტით, იაპონიაში — 154 პროცენტით. გაიზარდა მომწამვლელი ნივთიერების, ჰაეროპლანებისა და ტანკების წარმოება. თუ 1914 წელს თვითეულ დივიზიაზე მოდიოდა საშუალოდ 24 მძიმე ტყვიამფრქვევი, ახლა უმთავრესი იმპერიალისტური სახელმწიფოების არმიებში თითო დივიზიაზე მოდის თითქმ. 192 მძიმე ტყვიამფრქვევი. ჰაეროპლანების რიცხვი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გადიდდა ინგლისში 386-დან 900-მდე, ჩრდ.-ამერ. შეერ. შტატებში— 320-დან 1220-მდე, საფრანგეთში—1.550-დან 1.850-მდე. ბურჟუაზია სასწრაფოდ აწყობს ფაშისტურ რაზმებს. საფრანგეთში ასეთ რაზმებში ირიცხება 1.185.000 კაცი, ამერიკაში—1.896.000, პოლონეთში—1.865.000, იტალიაში—2.168.000 კაცი. (ადს)

ი ნ დ ო ე თ შ ი

ინგლისის მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა არ მოიწვიოს საიმონის კომისიის წევრები ინგლის - ინდოეთის კონფერენციაზე.

ლონდონი, 31 ივლისი. ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა რესელმა განაცხადა, რომ მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა არ მოიწვიოს საიმონის კომისიის წევრები ინგლის ინდოეთის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად. მაკდონალდმაც გააკეთა ამის შესახებ განცხადება თემთა პალატაში (ადს).

„მრგვალი მაგიდის“ კონფერენცია

ლონდონი, 31 ივლისი. მაკდონალდმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს წინადადება მისცეს ლიბერალების და კონსერვატორების ბელადებს აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები ზედა და ქვედა პალატებიდან „მრგვალი მაგიდის“ მომავალ კონფერენციაზე, რომელიც შესდგება ინდოეთის წარმომადგენლებთან ერთად (ადს).

საჰაერო შეტაკება ინდოეთის ტომებთან

ლონდონი, 30 ივლისი. როგორც პეშევარიდან იტყობინებიან, ბრიტანეთის 70 ჰაეროპლანმა მონაწილეობა მიიღო ბოლო დროს მომხდარ მრავალრიცხოვან საჰაერო შეტაკებებში აჯანყებულ ტომების წინააღმდეგ, ინდოეთის ჩრდილოეთ - დასავლეთის საზღვარზე (ადს).

კონგრესის ხელმძღვანელები შეთანხმებისაკენ იხრებიან

ლონდონი, 31 ივლისი. მოელიან, რომ მეფის მოადგილე ნებას მისცემს კონგრესის დაპატიმრებულ ლიდერებს ნერუს და მის შვილს გაემგზავრნენ განდისთან შესახვედრად, რომელიც სხვა საპატიმროში იმყოფება. ფიქრობენ, რომ კონგრესის დანარჩენ გავლენიან წევრებსაც მისცემენ საშუალებას ინახულონ განდი. ეს შეიძლება იმის მომასწავებელი იყოს, რომ კონგრესის ხელმძღვანელთა ნაწილი ემხრობა ბრიტანეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებას (ადს).

ბოიკოტი ინგლისის საქონელს

ლონდონი, 30 ივლისი. როგორც „დეილი ექსპრეს“-ის სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, ინგლისელთა მაღაზიების პატრონებს ბომბეიში ინგლისური საქონლის ბოიკოტის გამო, გაკოტრება მოელით (ადს).

ლონდონი, 30 ივლისი. „მორნინგ პოსტ“-ი აღნიშნავს, რომ ბომბეის ბოიკოტი სასიკვდილო ლახვარს სცემს ლანკაშირის ბამბის მრეწველობას. ლანკაშირში მრავალი ფაბრიკა იხურება. ჩვეულებრივად ინდოეთი ლანკაშირის მთელი წარმოების პროდუქციის ერთ მესამედს იძენდა (ადს).

ინგლისის მუშები

აღშფოთებული არიან

ლონდონი, 31 ივლისი. მუშა-კომუნისტის ტომასის დაპატიმრებამ კომუნისტური მოწოდებების გავრცელებისათვის ჯარისკაცებს შორის და კომპარტიის ორგანოს „დეილი უორკერ“-ის დევნამ იმის გამო, რომ ამ დაპატიმრების წინააღმდეგ გაილაშქრა, ფართო საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია მუშათა მასებს შორის. მთელმა რიგმა ადგილობრივმა პროფკავშირებმა მიიღეს რეზოლიუციები, რომლებიც ჰგმობენ მუშათა პარტიის მთავრობას და მოითხოვენ პოლიტიკური პატიმრების, კერძოდ, ტომასის და „დეილი უორკერ“-ის 3 თანამშრომლის განთავისუფლებას. (ადს)

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● ვარშავიდან მიღებული ცნობით, თეთრგვარდიელ უკრაინელთა სამხედრო ორგანიზაცია თავს დაესხა ფოსტას და ბობროვში, აღმოსავლეთ გალიციაში, და წაიღო 26.000 ზლოტი. მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. ექსპროპრიაციის ერთ-ერთი მონაწილე მოკლულ იქნა სროლის დროს, დანარჩენი ხუთი მონაწილე მიიმალა. (ადს)

● ვარშავაში ჩამოვიდნენ საფრანგეთის გზათა მინისტრი პერნო და ავიაციის მინისტრი ეინაკი. საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებს საპატიო შეხვედრა მოუწყეს. ორივე მინისტრი პოლონეთის ორდენებით დააჯილდოვეს (ადს).

სას.-სამ. ელექტროფიკაციის ორგანოები

მოსკოვი, 1 აგვისტო. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ცენტრალური აპარატი ძალიან სუსტია. ადგილებზე, მცირედ გამონაკლისს გარდა, სრულებით არ არსებობენ სასოფლო - სამეურნეო ელექტროფიკაციის ორგანოები. მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრები და ხუთწლიანი გეგმა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში სრულებით არ შეეფერება სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. კოლეგიამ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — გარდაქმნას სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის წარმოებული მთელი მუშაობა. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში უნდა არსებობდეს ელექტროფიკაციის სპეციალური სექტორი, სადაც თავმოყრილი უნდა იყვნენ საკმაო რაოდენობით დიდი სპეციალისტები, ინჟინრები, აგრონომები და ეკონომისტები. მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებში და მნიშვნელოვან საოლქო საადგილ - მამულო სამმართველოებში უნდა მოეწყოს ელექტროფიკაციის ჯგუფები. 1930-31 წელს ნედლეულის მნიშვნელოვან რაიონებში (მებამბეობის, ჭარხლის, სელის და მეცხოველეობის) უნდა გამოიყოს მსხვილი საბჭოთა მეურნეობები, სადაც გადატანილი იქნება საზღვარ-გარეთ და საბჭოთა კავშირში არსებული მიღწევები სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში (ადს).

რემოდასის ცეკას მოწოდება

საბჭოთა კავშირის რემოდასის წევრებისადმი

მოსკოვი, 1 აგვისტო. ყველა კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში იზრდება და ფართოვდება რევოლუციონური კლასობრივი ბრძოლა. მუშათა კლასის აქტივის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს სისხლიანი თეთრი ტერორის თარეშის პირობებში. რევოლუციონური ორგანიზაციის წევრობისათვის ბურჟუაზია სჯის კატორღით და დახვრეტით. სიკვდილით დასაჯა ინდო-ჩინეთის რევოლუციონერები, ლვოვის სასამართლოს მიერ პოლონეთის 3 კომკავშირელისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა, ეილეს რაიენასის პროცესი, რომელსაც ბრალდებოდა ინგლისის არმიაში კომუნისტური პროპაგანდა და ათი ათასობით კაპიტალის საპატიმროებში ჩაყრილი რევოლუციონერები,— ყოველივე ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად სასტიკია ბურჟუაზიის მართმსაჯულება იმათ მიმართ, ვინც აღმართა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა და არჩია კაპიტალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლის გზაზე დადგომა. საბჭოთა კავშირის რემოდასის წევრთა მრავალმილიონიანი არმია 1 აგვისტოს უფრო მეტად უნდა დაირაზმოს იმ ამოცანების გარშემო, რომელთა განხორციელების საშუალებითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას შემდგომი გამარჯვება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის სამეურნეო- პოლიტიკური ამოცანების წარმატებით შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის. (ადს)

თბილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია

1-ლ აგვისტოს, ანტიიმპერიალისტურ საერთაშორისო წითელ დღეს, თბილისში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია.

საღამოს 7 საათზე რუსთაველის პროსპექტზე მჭიდრო რიგებით გამოემართნენ ქალაქის ყველა რაიონების მშრომელები, რომ დაემტკიცებინათ თავისი მზადყოფნა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის და ეთქვათ მსოფლიო იმპერიალისტების გასაგონად: „ჩვენ ომი არ გვსურს, მაგრამ თავდაცვისათვის მზადა ვართ!“

რუსთაველის პროსპექტზე, საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს შენობის წინ, მოწყობილ ტრიბუნაზე დემონსტრანტებს მიესალმნენ ამხ. ბ. ლომინაძე, მ. ცხაკაია, შ. ელიავა და სხვა პასუხისმგებელი ამხანაგები.

ომის ინსცენირობა თბილისში 31 ივლისს
მარცხნივ—ქიმიური რაზმები.—მარჯვნივ—ქუჩის გაწმენდა გაზებისაგან

დემონსტრანტების პირველ რიგებში მოდიან თავდაცვის ნორჩი მეგობრები — პიონერები. მათ უკან მიჰყვება თბილისის პროლეტარიატის ავანგარდი — რკინისგზელები, შემდეგ — ფიზკულტურელები, თავდაცვა-ავიაქიმის წევრები და სხვ.

პირველ რაიონს მიჰყვება მეორე რაიონი, მეორეს—მესამე და ასე შემდეგ. ბოლო არ უჩანს დემონსტრანტების ზღვას.

დემონსტრანტებს თან მოაქვთ დროშებისა და პლაკატების ზღვა: „იმპერიალისტების სისხლიან ზრახვებზე ჩვენ უპასუხებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებით! ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებით“, „ძირს ომი“, „ძირს იმპერიალისტები“, „გაუმარჯოს პირველ სოციალისტურ ქვეყანას მსოფლიოში —საბჭ. კავშირს!“. ასეთ პასუხს აძლევს თბილისის პროლეტარიატი იმპერიალისტების ანტისაბჭოთა მახინაციებზე.

ბელადების მისალმებას ფარავს დემონსტრანტების „ვაშა“-ს გუგუნი.

ახლოვდება საღამო. რუსთაველის პროსპექტი საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს. პროჟექტორები და ჩირაღდნები ანათებენ არე-მარეს, მაშხალები ჰკვეთენ ჰაერს, სამხედრო ორკესტრების და პიონერთა დაფ-ნაღარების ხმა განუწყვეტლივ ისმის ქუჩებში.

დემონსტრაციასთან ერთად გაიმართა ანტიიმპერიალისტური კარნავალი. საბარგო ავტომობილებზე მოწყობილია კაპიტალის სომარი სამზადისის და კაპიტალისტური ციხეების საშინელების ინსცენირობა. არ არის დავიწყებული რომის პაპის ჯვაროსნული ლაშქრობა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

დემონსტრაცია დამთავრდა ღამის 9 საათზე. თბილისის პროლეტარიატმა დემონსტრაციაზე მხნე და ერთსულოვანი გამოსვლით კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ იგი ოქტომბრის მონაპოვართ არავის დაუთმობს.

ა. ქ.

ომის ინსცენირობა თბილისში (31 ივლისს)
არტილერია 26 კომუნარის ბაღში

„ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“

ქუთაისის ზოგიერთი პროფორგანოები აფერხებენ სესხის რეალიზაციის კამპანიის წარმატებით ჩატარებას

ფართოდ გამოვიყენოთ სოცშეჯიბრების მეთოდი სესხის გავრცელების საქმეში

ვინ უშლის ხელს სესხის რეალიზაციას

(ქუთაისი)

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში დიდი ხანია რაც ახალი სესხის „5 წლედი 4 წელიწადში“ კამპანიების ჩატარება დაიწყო. ზოგიერთ ადგილებზე ხელის მოწერა წარმატებით მიდის. ხელს აწერენ ორი კვირის ხელფასის რაოდენობაზე და იწვევენ სხვა დაწესებულებებს.

ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ პირველ რიგში დგანან ქუთაისის ძაფ-სალები, მაუდის ფაბრიკა, რიონჰესის 1 და 4 უბნები, სახელმწიფო ბანკი და შრომის შემნახ. სალარო, ქუთაისის კირის ქარხანა, გზა-ტკეცილების უბანი და სხვ.

მაგრამ არიან ისეთი წარმოებები, რომლებიც ხელის მოწერას გულგრილად ხედებიან და კამპანიების ჩატარებას ყურადღებას არ აქცევენ. ზოგიერთ ადგილებს ზედმეტად მიაჩნიათ ახალი სესხის წარმატებით ჩატარებაზე ზრუნვა. ასეთი ადგილკომები ღირსია შავი დაფის და პასუხისგებაში მიცემის.

ქუთაისის ქალაქის ერთეულთა ადგილკომს უნდა მოეწვია კრება, სადაც მოხსენება უნდა ჩატარებულიყო ახალ სესხის მნიშვნელობაზე, ადგილკომის დაუდევრობით (ალბად პირადი საქმეები ქონდა) კრება გადაიდო 21 ივლისისათვის. მუშებს და მოსამსახურეებს ტყუილად მოუხდათ ცდა ორი საათის განმავლობაში, 21 ივლისსაც იგივე ბედი ეწვია, აღნიშნულ კრებას. ადგილკომი არ გამოცხადდა. სამი საათის ლოდინის შემდეგ მუშები წავიდ-წამვიდნენ. მომხსენებელიც წასვლას აპირებდა, რომ მობრძანდა ადგილკომი. მარტო სკამებისათვის მოხსენება არ იყო საჭირო. ამიტომ კრება 25-სათვის გადაიდო. 25-ში კი კრებას ძალიან მცირე რიცხვი დაესწრო.

რიონჰესის მეორე უბანში 22 ივლისს მოატყუა მუშები. კრება მოიწვია ადგილკომმა, მაგრამ თვითონ კრებაზე არ გამოცხადდა. კრებაზე მოვიდა მხოლოდ 12 მუშა იმ დროს, როცა მუშების რიცხვი ათასზე მეტია ამ უბანში. 13 ივლისს რიონჰესის 3 უბანში უნდა ჩატარებულიყო კრება, მაგრამ ადგილკომის დაუდევრობით ეს კრებაც ჩაიშალა.

წყალსადენის ადგილკომი ხომ ყურსაც არ იბერტყავს. ისინი ამ ქვეყნად არ არიან. ჯერ არ სცალიათ. ასეთ შემთხვევებს კი ქუთაისში ძალიან ბევრგან აქვს ადგილი. საჭიროა სათანადო ყურადღება ზემდგომ ორგანოებიდან.

კოლაუ.

ჩვენი წვლილი სესხად სოციალისტურ მშენებლობას

(ფოთი)

ფოთის აღმასკომის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეებმა მოაწერეს ხელი სესხზე „5 წლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“ ორი კვირის ხელფასის რაოდენობით, იმ ვარაუდით, რომ პირველი გადასახადი შეტანილი იქნეს აგვისტოს პირველ რიცხვებში და მთელი სესხი იქნეს დაფარული ათი თვის ნაცვლად ხუთ თვეში. ე. ი. 1 იანვრამდე. ამ მიზნით ფოთის წყალსადენის მუშებმა გამოიწვიეს სოცშეჯიბრებაში ცხენმავლის მუშა-მოსამსახურეები. იწყება კამპანია სხვა წარმოება დაწესებულებებშიაც.

„ხუთწლედი ოთხ წელიწადში“

(ონი)

ონის რაიონის (ქუთ. ოლქი) მიწა-ტყის და საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრთა კრებამ, მოისმინა ამხ. შ. მიქავტაძის მოხსენება სესხი „5 წლედი 4 წელიწადში“-ს მნიშვნელობაზე, კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება ყველა სესხების გადაცვლის შესახებ ახალ სესხზე და დამატებით ორი კვირის ხელფასის რაოდენობით ხელის მოწერაზე.

ა. ბურუჩევი.

კამპანია ფართოდ გაიშალა

(სენაკი)

სესხის რეალიზაციისათვის სენაკში სამზადისი დაიწყო 21 ივლისიდან. შესდგა ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეთა და სხვა შრომელ მასის გაერთიანებული კრება.

კრებაზე სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა მაზრის აღმასკომის მდივანმა ამხ. ვარლამ ლომაძემ, რომელმაც განმარტა სესხის მნიშვნელობა. მოხსენების გარშემო მიღებულია რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ სენაკის მუშა-მოსამსახურეთა კრება, უერთდება საბჭოთა კავშირის სხვა მუშების მიერ წამოყენებულ საკითხს და ესალმება სოციალისტური მშენებლობის ახალი სესხის გამოშვებას.

სესხის ნებაყოფლობითი, შეგნებით და მეტი რაოდენობით გავრცელების მიზნით, კრება სოც., შეჯიბრებაში იწვევს ზუგდიდის, მარტვილის, აბაშის და ლანჩხუთის რაიონებში შემავალ მუშა-მოსამსახურეებს. 22 ივლისს დაიწყო სესხზე ხელის მოწერის კამპანია. დღითი-დღე სესხზე ხელისმომწერთა რიცხვი დიდდება.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს, აქტიური დახმარება გაუწიონ სოფლის მუშა-მოსამსახურეებს და ხელი შეუწყონ ლოზუნგი „სესხი 5 წლედის 4 წელიწადში წარმატებით გავრცელებას. ამ მიმართულებით უკვე გადიდგა შესაფერი ნაბიჯი. სდგება აგიტატორთა ბრიგადები, რომლებიც სოფლად დაამუშავებენ სესხის მნიშვნელობის საკითხებს და ჩაატარებენ ხელის მოწერას კლუბებში.

სევერიან მესხი.

თბილისის საქონლის სადგურის მტვირთავ მუშებში

თბილისის საქონლის სადგ. მტვირთ. მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ „5 წლედი—4 წელიწადში“ სესხის გამოცემას. ჯერ კიდევ სესხის რეალიზაციის კამპანია არ დაწყებულიყო, რომ საწყობებში სიები სდგებოდა, მუშები აწერდნენ ხელს 2 კვირის ხელფასზე. სიები შემოჰქონდათ მუშკომში და მოითხოვდნენ ხელის მოწერას ერთი თვის ხელფასზე.

მტვირთავთა საერთო კრებაზე, მოხსენებით სესხის რეალიზაციის შესახებ გამოვიდა ამხ. პ. კალანდაძე, რომელმაც ფართოდ გააშუქა ახალი სესხის მნიშვნელობა სოცმშენებლობაში. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა ხელი მოაწერონ სესხზე ორი კვირის ხელფასის რაოდენობით და სდებენ პროლეტარულ სიტყვას, რომ მთლიანად შეინარჩუნებენ მესამე ინდუსტრიალიზაციის სესხს.

მუშა.

ვიწვევთ შეჯიბრებაში

რკინის გზის მცველთა რაზმის მეორე უბნის უფ.-პოლიტ და მსროლელთა შემადგენლობის საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება „ხუთწლედი 4 წელიწადში“ სესხის რეალიზაციის შესახებ. ახალ სეს. გამოშვებას აღფრთოვანებით შეხვდა რაზმის შემადგენლობა. კრებაზე გამოსული ამხანაგები მოითხოვდნენ კოლექტიურ ხელის მოწერას სესხზე. კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა შეიძინონ ახალი სესხი ნახევარ თვის ხელფასის რაოდენობით. კრებამ შეჯიბრებაში გამოიწვია პირველ და მესამე დაცვის რაიონები.

ქ. ხურცია.

ახჰესის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ხელი მოაწერონ „ წლედის 4 წელიწადში“-ს სესხზე 15 დღის ხელფასის რაოდენობით. ამავე მიზნით კრებამ შეჯიბრებაში გამოიწვია ზაჰესის მუშა-მოსამსახურენი.

მასები იბრძვიან სესხის გასავრცელებლად

(ზუგდიდი)

ქ. ზუგდიდის მუშა- მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ვ. ჯანაშიას მოხსენება სესხის „წლედი 4 წელიწადში“ გავრცელების 1 და მეორე ინდუსტრიალიზაციის და გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხების გაერთიანების და განმტკიცების შესახებ. მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები, მოითხოვდნენ სესხის შეძენას ერთი თვის რაოდენობით და ამ მიზნით სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლას როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად და წარმოებებს შორის. კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია. „ზუგდიდის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. ვ. ჯანაშიას მოხსენება „5 წლედი 4 წელიწადში“ რეალიზაციის შესახებ, კრება აღფრთოვანებული ეგებება ამ დიად საქმეს და ადგენს: ყველანი ჩაებან პრაქტიკულ მუშაობაში სესხის გასავრცელებლად. შეძენილ იქნეს ობლიგაციები ნახევარი თვის ხელფასის რაოდენობით. ამ მიზნით ჩატარდეს სოციალისტური შეჯიბრება მოსამსახურეთა შორის.

კრების მეორე დღესვე ყველა კავშირები შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას. მიმდინარეობს აღწერა 1 და მე-2 ინდუსტრიალიზაციის და გლეხური მეურნ. განმტკიცების სესხთა ობლიგაციებისა. ამრიგად მუშაობა მიმდინარეობს დაკვრითი წესით და მასების ინიციატივით. გამოცხადებულია სესხის გავრცელების 5 დღიური, რომელიც მოგვცემს რეალურ შედეგებს. ჩატარდა რამოდენიმე თათბირები, როგორც პროფკავშირის მომუშავეების, ისე სახელმწიფო კრედიტის ხელშემწყობი კომისიებისა, რომლებიც განაგრძობენ აქტიური მუშაობას სესხის რეალიზაციისათვის.

იზორია.

ახალი სესხის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს

თბილისის აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო თანამშრომელთა უმრავლესობა, განიხილა საკითხი ახალი სესხის „ხუთწლედი ოთხწელიწადში“ რეალიზაციის შესახებ.

კრებამ ერთხმად დაავალა სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობ კომისიას, დაჩქარებით ჩაატაროს ნებაყოფლობითი ხელის მოწერა თანამშრომელთა შორის ნახევარ თვის ხელფასის რაოდენობით.

კრების დადგენილებით ხელფასიდან პირველი დაკავება უნდა მოხდეს აგვისტოს პირველ ნახევრიდან.

30 ივლისისათვის ხელის მოწერა მსურველ თანამშრომელთა შორის უკვე ჩატარებულია: ბევრმა ამხანაგმა თითო თვის ჯამაგირზედაც მოაწერეს ხელი. საკონტროლო ციფრი გადაჭარბებით შესრულდება. ამ მხრივ სუსტად მიმდინარეობს მუშაობა აღმასკომის საწარმოებში, რაც მიეწერება პროფკავშირების სისუსტეს.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ჯანელიძე.

იტალია და საფრანგეთი ომისთვის ემზადებიან

პარიზი, 31 ივლისი. „მატენ“-ი აქვეყნებს შვეიცარიის სოც.-დემოკრატიული გაზეთის „ტრავაი“-ს ცნობას იტალიის სამხედრო მზადების შესახებ. გაზეთი სწერს.

„იტალიიდან დაბრუნებული მოგზაურები იუწყებიან, რომ მთელი იტალია [illegible] ვის. იტალიაში შეიარაღებული გამოსვლა აუცილებლად მიაჩნიათ“.

შემდეგ გაზეთი სწერს, რომ საფრანგეთშიაც სერიოზულად ემზადებიან ომისათვის. გაზეთის სიტყვით, ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე განუწყვეტლივ იგზავნება ჯარი. ამ ცოტა ხნის წინად ნიცას მახლობლად მოუწყვიათ დიდი საავიაციო ცენტრი (ადს).

აგრარული ბლოკი ჩაიშალა

ვარშავა, 31 ივლისი. ბლოკი აგრარული ქვეყნებისა „ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე“ რომელიც მიზნად ჰქონდა დასახული პოლონეთს, აგრეთვე თათბირი, რომელიც პოლონეთის ინიციატივით ვარშავაში უნდა შემდგარიყო, ჩაშლის საფრთხის წინ დადგა, რადგან ამას სასტიკად წინ აღუდგნენ როგორც გერმანია, რომლის წინააღმდეგაც — ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის — მიმართული იყო განზრახული ბლოკი, ისე სხვა სახელმწიფოები, რომლებიც პოლონეთის პროექტის თანახმად უნდა შესულიყვნენ ბლოკში.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ოფიციოზი „პრაგერ პრეს“-ი სწერს, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ალბად, იძულებული იქნება უარი სთქვას ვარშავის თათბირში მონაწილეობაზე, რადგან ბალტიის სახელმწიფოების, მცირე ანტანტის და უნგრეთის ბლოკის განხორციელება, პოლონეთის ხელმძღვანელობით, სხვა რა იქნებოდა, თუ არა მცირე ანტანტის აღსასრული და მისი შეცვლა სახელმწიფოთა სხვა გაერთიანებით, რომელშიაც პირველობს პოლონეთი ლამობს. რუმინეთი და სამხრეთ - სლავია გულგრილად შეხვდნენ პოლონეთის წინადადებას, რადგან მათ აუცილებლად მიაჩნიათ პირველ ყოვლისა ერთმანეთთან შეთანხმება (ადს).

პარიზის სასამართლოს ანტი-საბჭ. გადაწყვეტილება

პარიზი, 31 ივლისი. „ჰავას“-ის სააგენტოს ცნობით, სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა გადაწყვეტილება, გამოტანილი სენის დეპარტამენტის სასამართლოს მიერ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილ იქნა პასუხისმგებლად „დობროფლოტ“-ის ვალებისათვის. სასამართლომ განკარგულება გასცა სისრულეში იქნეს მოყვანილი გადაწყვეტილება.

ბერლინი, 31 ივლისი. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის პარიზელი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს ცნობას იმის შესახებ, რომ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობა პარიზში („დობროფლოტ“-ის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილების გამო). კორესპონდენტი სწერს: „პარიზის სასამართლოს გაუგებარი გადაწყვეტილება, რომელიც მოხდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სააპელაციო საჩივარი იქნებოდა განხილული, შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუარესების სიმპტომი“ (ადს).

51 ახალი აეროპლანი თავდაცვა-ავიაქიმს

მოსკოვი, 1 აგვისტო. სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს მიერ 1930 წლის 31 ივლისს გამოცემულ ბრძანებაში სწერია:

„ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად მშრომელი მასების ერთ-ერთ უდიდეს ორგანიზატორად ითვლება თავდაცვა-ავიაქიმი. 1-ლ აგვისტოს იგი წითელ საჰაერო ფლოტს გადასცემს 51 ჰაეროპლანს, რომლებიც აგებულია მშრომელებისა და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ ნებაყოფლობით შეგროვილი და თავდაცვის ფონდში —„ჩვენი პასუხი რომის პაპს“ — გადაცემული სახსრებით. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონური საბჭო, ღებულობს რა თავდაცვა - ავიაქიმისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა მორიგ უდიდეს საჩუქარს პროლეტარული დიქტატურის შეიარაღებულ ძალთა განმტკიცების საქმისათვის, მოუწოდებს მშრომელებს — უფრო მეტად დაჰქიმონ თავიანთი ძალღონე სოციალიზმის ასაშენებლად ჩვენს ქვეყანაში“. გადმოცემულ ჰაეროპლანებს მიეკუთვნა სხვადასხვა სახელწოდება (ადს).

საბჭოს წევრების დაუშვებელი გულგრილობა

როგორც საორგანიზაციო განყოფილების მოხსენებიდან სჩანს, თბილისის საბჭოს წევრთა დიდი ნაწილი და სექციებზე მიმაგრებულ აქტივის უმრავლესობა, არამც თუ არ ესწრება სექციების სხდომებს, არამედ აღრიცხვაზედაც კი არ გატარებულან, მიუხედავათ როგორც პრესაში, ისე კრებებზე მრავალჯერ განმეორებულ განცხადებისა.

საბჭოს წევრების ასეთი გულგრილობა ხელს უშლის თბილისის საბჭოს და მისი სექციების მასიურ მუშაობის გაღრმავებას, აფერხებს ამ მუშაობის იმ ახალი ფორმების გაშლას და გაფართოებას, რომლის ცხოვრებაში გატარებაც მიზნად აქვს დასახული საბჭოს.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი აქცევს რა სათანადო ყურადღებას საბჭოს წევრების და მიმაგრებულ აქტივის ასეთ დაუშვებელ მოქმედებას, უკანასკნელად აფრთხილებს და წინადადებას აძლევს როგორც საბჭოს ყველა წევრს, ისე კანდიდატებსა და მიმაგრებულ აქტივს,—უკლებლივ დაესწრონ საბჭოს პლენუმებს, სექციებისა და სექციების ბიუროს სხდომებს.

პრეზიდიუმი აგრეთვე მოაგონებს ყველა იმათ, ვინც ჯერ კიდევ არ გატარებულა აღრიცხვაზე, დაუყოვნებლივ გატარდენ აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებაში. ვინც საბჭოს პრეზიდიუმის ამ უკანასკნელ გაფრთხილებას არ შეასრულებს, მათი გვარები გამოქვეყნდება პრესაში და დაისმება საკითხი ამომრჩევლების წინაშე ასეთი უმოქმედო წევრების უკან გაწვევის მიზნით.

ყოველ ცალკე შემთხვევაში კრებაზე დაუსწრებლობის მიზეზი თავის დროზე უნდა ეცნობოს წერილობით (სექციის აღნიშვნით), აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებას.

ვ. ბოლქვაძე.

ფაბრიკა-სამზარეულოების მშენებლობის გეგმა

მოსკოვი, 1 აგვისტო. სახალხო კვების სრულიად საკავშირო გაერთიანებამ დასახა ფართო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობა. ამიერ - კავკასიაში 1930-31 წელს საწარმოების მოწყობაზე უნდა დაიხარჯოს 13 მილ. მანეთი. ფაბრიკა-სამზარეულოების მოწყობა გადაწყვეტილია ბაქოს საფაბრიკო - საქარხნო რაიონში 65 ათასი კერძით, ბინაგადაში, განჯაში, ბათომში, ჭიათურაში, ტყვარჩელში 25 ათასი კერძით, თბილისში 65 ათასი კერძით და ლენინაკანში 35 ათასი კერძით (ადს).

ცუდათ სრულდება დირექტივა

მრავალწყებისა და განუწყვეტელი კვირის შემოღების შესახებ

მოსკოვი, 1 აგვისტო. ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა მოხსენება განუწყვეტელ სამუშაო კვირის და მრავალწყების შესახებ, თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ გაერთიანებათა უმრავლესობამ ცუდათ შეასრულა დირექტივები მრავალწყებისა და განუწყვეტელი სამუშაო კვირის შემოღების შესახებ. [illegible] წყების შემოღება საამქროებში, რომლებიც საწარმოებების სუსტ ადგილად ითვლებიან, მაგალითად, ჩამომსხმელ საამქროებში. პრეზიდიუმმა აირჩია კომისია, რომელიც ამ საკითხს დაამუშავებს მრეწველობის ცალკე დარგებისათვის (ადს).

კონკურსი-შემოწმება

საწარმოს უკეთესი დირექტორისა და საინჟინერო - ტეხნიკურ პერსონალზე

მოსკოვი, 1 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო 30 ივლისიდან 30 სექტემბრამდე აწყობენ კონკურს - შემოწმებას საწარმოების უკეთესი დირექტორისა და საინჟინერო - ტეხნიკურ პერსონალის.

კონკურსი შემდეგი ამოცანების შესრულებას ისახავს: სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებას და გადაჭარბებას, გეგმის მაჩვენებელთა მიყვანას საამქრომდე, ხოლო ცალკე დავალებისა — მუშამდე, სწორ ხელმძღვანელობას, მუშათა მასის აქტივობის სათანადოთ წარმართვას, წარმოების მოწესრიგებას და სხვ. (ადს).

დინამიტის აფეთქება

არტემოვსკი, 1 აგვისტო. „ნოვი დონბას“-ის (გრიშინო) მაღაროში ასაფეთქებელი სამუშაოების შემდეგ აფეთქდა დინამიტი. ორი მუშა მოკვდა, 4 დაიჭრა. (ადს)

ბათომის პარტაქტივი იწონებს

მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს

ბათომი, 1 აგვისტო. 31 ივლისს შესდგა ბათომის პარტაქტივის კრება, რომელზედაც მოხსენებით მე-16 პარტყრილობის შედეგების შესახებ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მდივანი ამხ. ლ. ლოლობერიძე. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით უერთდება ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს (ადს).

კადრების პრობლემა ამიერ-კავკასიაში

ინდუსტრიალიზაციის განვითარების ტემპის საგრძნობლად გაძლიერების და, განსაკუთრებით, დიდ მშენებლობათა გაშლის გამო (დაშქესანი, ტყვარჩელი, დიდი სარაიონო ელსადგურები, ლითონის ქარხნები, საფეიქრო ფაბრიკები), კადრების პრობლემა ამიერ-კავკასიაში არაჩვეულებრივ სიმწვავეს ღებულობს.

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. ს. საბჭოს 27.347 მუშა დასჭირდება, აქედან მაღალი კვალიფიკაციის—2.149, საშუალო კვალიფიკაციის—8.949 და ნახევრად კვალიფიკაციის—12.799 მუშა. გარდა ამისა, ცალკე [illegible] საჭირო იქნება 7.870 მუშა. ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მუშა-ხელის რაოდენობა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს დღესაც არ გამოურკვევიათ, ამიტომ რაიმე გარკვეულის თქმა ამ მხრით ჯეროვნობით არ შეიძლება.

კადრების მომზადების საქმეს, როგორც ეს აღინიშნა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს უკანასკნელ გაფართოებულ პლენუმზე, დაინტერესებული ორგანიზაციები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. კერძოდ, კადრების მომზადების საქმეში ძლიერ ჩამორჩებიან შრომის სახ. კომისარიატის ორგანოები. განსაკუთრებით კარგი მდგომარეობა არ არის ამ მხრივ, აზერბეიჯანში, სადაც მშენებელი მუშების მომზადების გეგმა, მაგალითად, მხოლოდ 44 პროცენტით შესრულდა. ხოლო ალავერდის მაღაროებში (სომხეთი) ამ მიზეზის გამო სამრეწველო-საფინანსო გეგმის ჩაშლის საფრთხე წამოიჭრა.

შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა და პროფკავშირებმა არ მიიღეს სათანადო ზომები ქალის შრომის გამოსაყენებლად და მოზარდთა ჯავშნის განსაზღვრული პროცენტის დასაცავად. ძალიან ცუდად არის მოზარდთა თეორიულად მომზადების საქმე. მაგალითად, საწარმოთა ბრიგადებში მოზარდთა მხოლოდ 25,7 პროც. სწავლობს.

ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატი არ ღებულობს რეალურ ზომებს ჯავშნის შესახებ [illegible] დირექტივების შესრულების ფაქტიური შემოწმებისათვის.

ამჟამად ამიერ-კავკასიის მრეწველობის ხაზით 30 საფაბ.-საქარხნო, საამშენებლო და სხვა სკოლაა, რომლებშიაც 6.032 მოწაფე სწავლობს. არსებობს კიდევ ერთი სავაჭრო შეგირდების სკოლა 104 მოწაფით. მოსწავლეთა ეს რაოდენობა სრულიად არ არის საკმარისი კვალიფიციური მუშა ხელის სიმცირის შესავსებად.

რაც შეეხება სპეციალისტებს, სურათი ასეთია: ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით, ხუთწლედის დამლევს გვეყოლება: 8.312 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით და 27.686 საშუალო განათლებით (ამჟამად გვყავს 1.508 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით და 1.776 საშუალო განათლებით).

ამიერ-კავკასიის მრეწველობაში ეხლა მუშაობს 2.414 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით, ხუთწლიანი გეგმის პერსპექტივების მიხედვით კი საჭიროა 9.332. ამიერ-კავკასიის მთელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იქნება 17.645 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით.

ამგვარად უმაღლეს ტეხნიკური კადრები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას.

უმაღლესი სასწავლებლები, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები და ტეხნიკუმები მუშაობის ეხლანდელი ტემპით ვერ გადასჭრიან ამ ამოცანას, მიუხედავად იმისა, რომ დიდად გაძლიერდა და გაფართოვდა მათი მუშაობა. 1929-30 წელს ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ იქნა 8.002 კაცი (29.2 პროცენტით მეტი შარშანდელთან შედარებით). წელს განზრახულია 14.000 კაცის მიღება, ამათგან 75 პროც. მუშები იქნებიან.

კვალიფიციური მუშა ხელის მოსამზადებლად შემოდგომაზე გაიხსნება საფაბრიკო-საქარხნო სკოლები 8.000 კაცისათვის და კურსები მუშათა ბავშვებისათვის (2.000 კაცის).

კადრების მომზადების საქმეს ამიერ-კავკასიაში აფერხებს კადრების მომზადების ხუთწლიანი გეგმის უქონლობა და ის დაუშვებელი დაუდევრობა ამ დარგში, რომელსაც პროფკავშირები იჩენენ.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ მუშა-ხელის არსებული კადრები მთლიანად ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებას და დასახა სხვადასხვა ღონისძიებები შინამრეწველობაში დაბანდებულ ზედმეტი მუშა ხელის მისაზიდად ამიერ-კავკასიის სოფლიდან და ქალის შრომის მაქსიმალურად გამოსაყენებლად.

სახალხო მეურნეობის უზრუნველსაყოფად სპეციალისტების კადრებით შემუშავებულია ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლების და ტეხნიკუმების გაფართოების გეგმა. ეს სასწავლებლები უნდა გადაეცეთ შესაფერ სამეურნეო ორგანოებს (ადს).

მეღორეობის მდგომარეობა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები

(თათბირი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტაციისა და მასიური კამპანიების განყოფილებაში)

31 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტაციისა და მასიური კამპანიების განყოფილებაში შესდგა სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც მეღორეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ს. ჟულელმა.

ამხ. ს. ჟულელის მოხსენება

ხორცის კრიზისი და მისი მიზეზები

მეღორეობის განვითარების პრობლემა,—დაიწყო მომხსენებელმა,— ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელზედაც მიპყრობილია ამჟამად საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება. სოფლის მეურნეობის ეს დარგი ამჟამად ერთ-ერთი დამკვრელი უბანია საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სოციალურ-ტეხნიკურ რეკონსტრუქციისათვის წარმოებულ ბრძოლის ფრონტზე.

ამას ნათლად მოწმობს ის ყურადღება, რომელიც მიპყრობილი ჰქონდა მეღორეობის საკითხს ამხ. იაკოვლევის მოხსენებაში მე-16 პარტყრილობაზე.

ეს მდგომარეობა აიხსნება იმ მეტად სერიოზული კრიზისით, რომელსაც განვიცდით ჩვენ მესაქონლეობის პროდუქტების, და კერძოდ ხორცის მხრივ.

ხორცის მოხმარება საბჭოთა კავშირში ერთ კაცზე ყოველწლიურად ნორმალურ პირობებშიაც გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამჟამად ხორცის მოხმარების ფაქტიური ნორმა კიდევ უფრო ნაკლებია.

ხორცის ბალანსის თვალსაჩინო გაუარესება უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შედეგია საქონლის საერთო რაოდენობის შემცირებისა. 1928 წლამდე საბჭოთა კავშირში ჩვენ გვქონდა საქონლის რაოდენობის სისტემატიური ზრდა. 1928-29 წელში კი მოხდა გარდატეხა, დაიწყო მსხვილფეხა საქონლის, და განსაკუთრებით ღორების რაოდენობის შემცირება.

29-30 წელში პირუტყვის რაოდენობის შემცირების პროცესი კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით გრძელდებოდა, რის შედეგადაც, ამხ. იაკოვლევის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად, 1929 წლის მარტიდან 1930 წლის მარტამდე, მსხვილფეხა საქონელი შემცირდა ერთი მეხუთედით, ძროხები—1 მერვედით, ცხვრები 1 მესამედით და ღორები 2 მეხუთედით.

საქართველოში 27-28 წელში იყო 650.700 ღორი, 1.561.300 მსხვილფეხა საქონელი და 2.199.000 ცხვარი, 1928-29 წელში ღორი — 590.000, მსხვილფეხა საქონელი—1.620.000 ცხვარი 1.932.800; 1929-30 წელში კი ღორი—531.000, მსხვილფეხა საქონელი— 1.578.500 და ცხვარი 1.768.500.

პირუტყვის რაოდენობის შემცირების მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ სოფლად წარმოებულ კლასთა ბრძოლაში. 1928-29 წელში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გეგმიანი დამზადება სახელმწიფო- კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ, რასაც თან სდევდა სოფლის შეძლებული ფენების შეზღუდვა- შევიწროება. ამის შედეგად შემცირდა საკვების რაოდენობა სოფლის ამ ფენებში, გამწვავდა კლასთა ბრძოლა და ამ პირობებში სოფლის შეძლებულმა ფენამ დაიწყო საქონლის გასასყიდათ გამოყვანა ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ საქონლის რაოდენობის შემცირებას კულაკურ მავნებლობასთან ერთად ხელი შეუწყო ჩვენს მიერ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულმა შეცდომებმაც.

ცხვრების და ღორების რაოდენობის შემცირება საქართველოში 28-29 წელში გამოწვეული იყო აგრეთვე საძოვრების საკითხის მოუწესრიგებლობით და სიმინდის მოუსავლიანობით. 29-30 წელში საქონლის საერთო რაოდენობის შემდგომი შემცირების მიზეზი ისეთივე იყო, როგორც საბჭოთა კავშირში და განისაზღვრებოდა „მემარცხენე“ ნახტომებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფლის კოლექტივიზაციის პროცესთან დაკავშირებით.

ამ მდგომარეობის გამოსწორება და მესაქონლეობის პროდუქციის ზრდის დაჩქარება ამჟამად [illegible] მეურნეობის მშენებლობის დარგში და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაზედაც არის დამოკიდებული სოციალისტური მშენებლობის ტემპები.

რითაა გამოწვეული მესაქონლეობის დაჩქარებით განვითარება

საქონლის რაოდენობის დაჩქარებით აღდგენის და მისი პროდუქციის ზრდის უზრუნველყოფის აუცილებლობა უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება იმ მნიშვნელობით, რომელიც აქვს მესაქონლეობის პროდუქციას კვების მხრივ. ადამიანის წესიერი კვება გულისხმობს გარკვეულ დამოკიდებულებას მცენარეულობითი და ცხოველურ საკვებს შორის. ამ ურთიერთ დამოკიდებულების დარღვევა საზიანოა ჯანმრთელობისათვის, რადგან ადამიანს აქვს განსაზღვრული ფიზიოლოგიური მოთხოვნილება ცხოველების ცილებზე და ცხიმებზე, რომელთა შეცვლა არ შეიძლება მცენარეების ცილებით და ცხიმებით.

ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ კალორიების რაოდენობის მხრივაც მეცხოველეობის პროდუქტები გაცილებით უფრო მაღლა დგანან მცენარეების პროდუქტებზე. ყველაფერი ეს მეცხოველეობის პროდუქტებს და, კერძოდ, ხორცს აუცილებელ ელემენტად ხდის ადამიანის კვებისათვის, განსაკუთრებით კი ინდუსტრიალური მუშებისათვის, რადგან საკვები, რომელშიაც ბევრია კალორიები, უკეთესად და უფრო ჩქარა აღადგენს მუშის ენერგიას და ამავე დროს უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევს წარმოების მავნე ატმოსფერას.

მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობას სასოფლო- სამეურნეო საწარმოო პროცესების სწორი ორგანიზაციისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მეცხოველეობა მრეწველობას აძლევს მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან ნედლეულს, როგორიც არის ტყავი, მატყლი და სხვ. ამ ნედლეულის დეფიციტი ამჟამად მეტად საგრძნობია ჩვენში და სახელმწიფო იძულებულია მნიშვნელოვანი თანხები დახარჯოს მისი უცხოეთიდან შემოტანაზე.

მესაქონლეობის აღდგენის და განვითარების საკითხის გადაწყვეტის დროს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მეღორეობას. ეს განისაზღვრება ღორის, როგორც ხორცის ფაბრიკის, მრავალი ღირსებით. მთავარი აქ არის ის, რომ ღორი ყველა სხვა ცხოველებზე უფრო ჩქარა ქმნის ხორცს. ერთი კილო ღორის ხორცის შესაქმნელად საჭიროა ხუთი კილო საკვები (ხორბალზე გადაყვანით), ერთი კილო ძროხის ხორცის შესაქმნელად კი საჭიროა 15 კილო საკვები, ე. ი. საკვების ერთეულზე ღორი სამჯერ უფრო მეტ ხორც იძლევა, ვიდრე მსხვილფეხა საქონელი. ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: ღორი უფრო ინტენსიურად იმატებს ცოცხალ წონას, ვიდრე მსხვილფეხა საქონელი. დაკლული ღორის წონა უდრის ცოცხალი წონის 75—88 პროცენტს, მსხვილფეხა საქონლის წონა კი 50-60 პროცენტს; ღორი წლიურად იძლევა 20 გოჭს და მისი გამრავლების კოეფიციენტი გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე სხვა ცხოველის.

ყველა აქ ნათქვამის გარდა, უნდა აღინიშნოს კიდევ ღორის ხორცის დიდი ღირსება. ერთი გირვანქა ძროხის ხორცი შეიცავს 1156 კალორია სითბოს, ცხვრის ხორცი—1400 და ღორის ხორცი (ბეკონი) 2500 კალორიას.

დასასრულ, ღორის ღირსების განმსაზღვრელ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ღორი ეტანება ყოველგვარ საკვებს. საკვების კრიზისის პირობებში ეს გარემოება არ შეიძლება არ იქნეს სათანადოთ შეფასებული და დანაკარგებთან ბრძოლა სოფლის მეურნეობაში სწორედ ღორის საშუალებით უნდა სწარმოებდეს.

მეღორეობის განვითარება ცალკე ქვეყნებში

მეღორეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თითქმის ყველა ქვეყნების სოფლის მეურნეობაში. 1924 წლის ცნობებით, მთელს მსოფლიოში ითვლება 216.500.000 ღორი, მათ რიცხვში ევროპაში—77 მილ., აზიაში 55 მილიონი, ჩრდილოეთ ამერიკაში—62 მილ. და სამხრეთ -ამერიკაში—29 მილ.

ღორების რაოდენობის მხრივ თვითეულ 100 მცხოვრებზე პირველი ადგილი უჭირავს დანიას, სადაც ყოველ 100 მცხოვრებზე მოდის 90 ღორი; კანადაში—58, შეერთებულ შტატებში—48, ჰოლანდიაში— 22, საბჭოთა კავშირში—13 და სხ. საქართველოში 28-29 წლის ცნობებით, 100 მცხოვრებზე მოდის 22 ღორი. ამრიგად, ღორების რაოდენობის მხრივ საქართველო უფრო მაღლა სდგას, ვიდრე საბჭოთა კავშირი და ამ მხრივ საქართველოს მთელს მსოფლიოში უჭირავს მე-10 ადგილი, საბჭოთა კავშირს კი მე-17 ადგილი. ამისდამიხედვით მეღორეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეცხოველეობის საერთო პროდუქციაში. 29 წლის ცნობებით, საქართველოს მეცხოველეობის საერთო პროდუქციის ღირებულება, მეფრინველეობის პროდუქციასთან ერთად, უდრიდა 80.149.000 მანეთს; აქედან მეღორეობაზე მოდიოდა 12.501.000.

მეღორეობის შედარებით ასეთი მნიშვნელოვანი განვითარება საქართველოში აიხსნება მთელი რიგი ხელსაყრელი პირობებით, რომელთაგან აღსანიშნავია: რბილი ჰავა, თოვლის სიმცირე ზამთარში, ბუნებრივი საკვების (წაბლი, რკო, გარეული ხილი, ნიგოზი და სხ.) დიდი რაოდენობა, სიმინდის, ქერის და სოიას კულტურების გავრცელება საქართველოში, რომლებიც ღორებისათვის ძვირფას საკვებს იძლევიან, და ჩვენებური ღორის გამძლეობა და ამტანლობა ეპიზოტიის წინააღმდეგ.

საქართველოში მეღორეობის მთავარი რაიონებია სენაკის, ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრები და აფხაზეთი; ღორების თვალსაჩინო რაოდენობა მოიპოვება აგრეთვე ყოფილ რაჭის მაზრაში და კახეთის ზოგიერთ რაიონებში.

მაგრამ მეღორეობის განვითარების მიღწეული დონე ვერ ამოსწურავს ყველა იმ შესაძლებლობებს, რომელიც ჩვენ გვაქვს ამ მხრივ. ხელსაყრელ პირობებთან ერთად არის მთელი რიგი პირობები, რომლებიც აფერხებენ მეღორეობის განვითარებას. ესენია— ბაზრის მოუწესრიგებლობა, ღორის ხორცის გადასამუშავებლად და შესანახად საჭირო მოწყობილობის უქონლობა. ტრანსპორტის მოუგვარებლობა და სხვ. ხაზგასმით აღსანიშნავია კიდევ საკვები ბაზის სიმცირე, რომელიც აზიანებს საერთოდ საქართველოს მთელ სოფლის მეურნეობას.

ჩვენს უახლოეს ამოცანათ უნდა იქნეს დასმული ყველა ამ ხელისშემშლელ პირობების აღმოფხვრა და ზომების მიღება მეღორეობის განვითარების დასაჩქარებლად. თუ ეს პრობლემა დამკვრელ პრობლემად არის გამოცხადებული მთელი საბჭ. კავშ. მასშტაბით, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მას საქართველოსათვის, სადაც ხორცის ბალანსი უარყოფითია და ჩვენ იძულებულნი ვართ ყოველწლიურად შემოვიტანოთ რესპუბლიკაში ხორცის დიდი რაოდენობა.

მეღორეობის მდგომარეობა ამჟამად

მიუხედავად მეღორეობის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, ამ დარგს დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ეს სჩანს თუ გინდ იქიდანაც, რომ 29-30 წელში ღორების რიცხვი საბჭოთა მეურნეობებში არ აღემატებოდა 950-ს. რაც შეეხება ჯიშიანი ღორების გამავრცელებლებს, ასეთები 29-30 წელში ჩვენ გვქონდა მხოლოდ რვა, რომლებშიაც იყო 100 ტახი და 15 მწარმოებელი. სრულიად საკმარისი არ არის აგრეთვე საგრილებელი პუნქტების ქსელი. 28-29 წელში ჩვენ გვქონდა 42 საგრილებელი პუნქტი, სადაც იყო 84 მწარმოებელი. 29-30 წელში გეგმის თანახმად პუნქტების რიცხვი უნდა გადიდდეს 74-დე 120 მწარმოებლით. არა საკმაო ღონისძიებების შედეგად ამჟამად საქართველოში ჩვენ გვყავს დაახლოვებით 35-40 ათასი მეტისი ღორი.

1930-31 წელი უნდა გახდეს გარდატეხის წლად მეღორეობის დარგში. აუცილებელია უფრო ფართო მაშტაბის აღება, რათა მივაღწიოთ მეღორეობის განვითარების ისეთ ტემპებს, რომლებსაც მოითხოვს ჩვენგან ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესები.

მეღორეობის განვითარების გზები და ამოცანები

როგორი უნდა იყოს უახლოესი ამოცანა, რომელიც უნდა დავისახოთ ჩვენ მეღორეობის განვითარების დარგში 30-31 წლისათვის?

მოკლეთ ამ ამოცანას ჩვენ განვსაზღვრავთ შემდეგნაირად: ღორების რიცხვი უნდა გაიზარდოს 35 პროცენტით, პროდუქცია კი 50 პროც., ჩვენ მიზნათ უნდა დავისახოთ მივიღოთ საქართველოში 24.000 ტონა ღორის ხორცი, ნაცვლად 16 ათასი ტონისა.

რასაკვირველია, ეს საწარმოო დავალება მეტად ძნელი შესასრულებელია, მაგრამ სათანადო ღონისძიებების ჩატარების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის დახმარებით ჩვენ შევძლებთ ამ ამოცანის გადაწყვეტას.

დღემდე სოციალისტურ სექტორის ხვედრითი წონა მეღორეობაში, როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, მეტად არადამაკმაყოფილებელია. 531200 ღორიდან, რომელიც ჩვენ გვყავს რესპუბლიკაში, საბჭოთა მეურნეობებში ითვლება მხოლოდ 950, კოლექტიურ მეურნეობებში—2700 და ინდივიდუალურ სექტორში—587.550.

1930-31 წელში საჭიროა მეღორეობის განვითარება საბჭოთა მეურნეობებში. ამასთანავე აუცილებელია მეღორეობის ეს განვითარება მიდიოდეს ორი გზით: უპირველეს ყოვლისა უნდა მოეწყოს მეღორეობის სპეციალური საბჭოთა მეურნეობები. 1930-31 წელში სულ უნდა მოეწყოს მეღორეობის 6 სპეციალური საბჭოთა მეურნეობა შემდეგ პუნქტებში: ქალადიდში, გალის რაიონში (აფხაზეთი), თელავში, ჭიათურაში, სიღნაღში და სამხ. ოსეთში. თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში ნავარაუდევია 250 ღორი, რამდენადაც უფრო მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას საქართველოში ხელს უშლის სათანადო მიწის ნაკვეთების სიმცირე.

თვითეულმა საბჭოთა მეურნეობამ უნდა მოგვცეს 3.000 ცენტნერი ღორის ხორცი 240.000 მანეთის ღირებულებისა. ექვსივე საბჭოთა მეურნეობა 1500 ღორით მოგვცემს 18 ცენტნერ ხორცს, რომლის ღირებულებაც იქნება 1.440.000 მანეთი. თვითეული საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად საჭიროა 487.000 მანეთი, ექვსივე მეურნეობაში კი 2.902.000 მანეთი.

მეღორეობის სპეციალური საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის გარდა აუცილებელია ფართოდ მოეწყოს მეღორეობა ქალაქის განაპირა საბჭოთა მეურნეობებში. სათანადო მუშაობა უკვე დაწყებულია სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საბჭოთა მეურნეობაში.

მეღორეობის განვითარების შესაძლებლობა ქალაქის განაპირა მეურნეობებში მეტად დიდია. საკვებად აქ შეიძლება გამოყენებული იქნეს ყოველგვარი ნარჩენები, რაც გააიაფებს ღორების გამოკვებას.

გამოანგარიშებულია, რომ მარტო თბილისს შეუძლია მოგვცეს ღორების საკვებად 1.500.000 ფუთი ნარჩენი, რაც უდრის 800.000 ფუთ ხორბალს. ამ საკვებით შეიძლება მიღებულ იქნეს 60.000 ფუთი ღორის ხორცი.

შემდეგ, აუცილებელია მეღორეობის მეურნეობების მოწყობა მებოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობებში. ყველა ამ მეურნეობებში შეიძლება ვიყოლიოთ 1.000 ტახი, რომლებიც მოგვცემენ 12 ათას ცენტნერ ხორცს ყოველწლიურად. მეღორეობის განსავითარებლად ამ მეურნეობებში საჭირო იქნება არა უმეტეს 800.000 მანეთისა.

დაბოლოს, ხორცის კრიზისთან დაკავშირებით უნდა დაევალოს ყველა მესაქონლეობის, მევენახეობის, მემინდვრეობის და მეხილ. ცოტად თუ ბევრად მსხვილ საბჭ. მეურნეობებს იყოლიონ ღორების განსაზღვრული რაოდენობა, რადგან მათ მოეპოვებათ ღორებისათვის საჭირო საკვები სხვადასხვა ნარჩენების სახით. ყველა ამ საბჭოთა მეურნეობებში 30-31 წლის განმავლობაში შეიძლება ვიყოლიოთ 1.000-დე ღორი, რაც მოგვცემს 8.000 ცენტნერ ხორცს წლიურად.

მეღორეობის განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კოლმეურნეობებში. საშუალოდ თვითეულ კოლმეურნეობას უნდა ჰყავდეს 100 ღორი. მიწსახკომის გეგმა სამრეწველო განსაზოგადოებული მეღორეობის ორგანიზაციისათვის კოლმეურნეობებში ითვალისწინებს 484.500 მანეთის დახარჯვას; ამას გარდა კოლექტივებისათვის მწარმოებლების შესაძენად დახარჯული იქნება 210.000 მანეთი, სულ კი მეღორეობის განსავითარებლად კოლმეურნეობებში დაიხარჯება 694.500 მანეთი. მეღორეობის განსავითარებლად როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ სექტორში, გეგმა ითვალისწინებს სულ 5.701.500 მან. დახარჯვას. გეგმის თანახმად, 30-31 წლის განმავლობაში მეღორეობამ უნდა მოგვცეს 24.000 ტონა ხორცი, აქედან სასაქონლო პროდუქცია იქნება 9583 ტონა (39,7 პროც.); რაც შეეხება ღორების რაოდენობას, ის საბჭოთა მეურნეობებში უნდა გაიზარდოს 12 ათასამდე, კოლმეურნეობებში 9.000-დე, ხოლო ინდივიდუალურ სექტორში —695.000-დე, სულ კი 717.000-დე.

ყველა ამ ღონისძიებების განსახორციელებლად გეგმა ითვალისწინებს საკვების საკითხის მოწესრიგებას, ღორების ჯიშის გაუმჯობესებას, სათანადო კადრების მომზადებას, სავეტერინარო დახმარების გაუმჯობესებას და სხვ.

ბეკონის ფაბრიკა

მეღორეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბეკონის ფაბრიკას, რომელიც აძლევს სტიმულს გლეხობას ფართოდ მოკიდოს ხელი ღორების მოშენებას. ამას გარდა ის ხელს უწყობს ღორის ჯიშის გაუმჯობესებას.

საქართველოში უკვე სამი წელიწადია ვლაპარაკობთ ბეკონის ქარხანაზე, მაგრამ ამ საკითხის დაძვრას, მკვდარი წერტილიდან, არაფერი ეშველა. 30-31 წელში აუცილებელია შეუდგეთ ერთი ბეკონის ფაბრიკის აგებას, რომლის ნაყოფიერებაც უნდა იყოს 40.000 ფუთი სეზონის განმავლობაში, შემდეგში ქარხნის ნაყოფიერება ერთი ორად უნდა გაიზარდოს. ბეკონის ფაბრიკის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო კარგი პროდუქციის გამოშვებით. ეჭვს გარეშეა მისი გავლენა გლეხური მეურნეობის რეკონსტრუქციაზე. ამას გარდა ბეკონის ფაბრიკის აგება გამოიწვევს მთელ რიგ დამხმარე წარმოებების მოწყობას, როგორიც არის ნაწლავების გადამუშავება, ქონის დამზადება, სისხლის გადამუშავება, ჯაგრის დამზადება, ძვირფასი ტეხნიკური და საექიმო პრეპარატების დამზადება ღორების შინაგანი ორგანოებისა და ჯირკვლებისაგან და სხვ. დაბოლოს, ძვლები, რომლებიც დიდი რაოდენობით რჩება ბეკონის დამზადებისას, მნიშვნელოვან სამრეწველო ინტერესს წარმოადგენს. ძვლის ცხიმი საჭიროა საპნის, ძვლის ნახშირის და ძვლის ფქვილის დასამზადებლად. ეს უკანასკნელი იხმარება როგორც გოჭების და ფრინველების საკვები და ნიადაგის გასანოყიერებელი მასალა. საშუალოდ დაკლული ღორი იძლევა ძირითად და დამხმარე პროდუქტებს შემდეგი რაოდენობით: ხორცი 75 პროცენტი, დამხმარე პროდუქტები 25 პროცენტი. არც ერთი ცხოველი არ იძლევა ხორცის ასეთ დიდ პროცენტს და არც ერთი ცხოველის გამოყენება არ შეიძლება ისე სრულად, როგორც ღორის. ამიტომ ბეკონის ფაბრიკის აგების გადადება აღარ შეიძლება.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა.

პროფ. ჯანდიერი

(მიწსახკომი)

პროფ. ჯანდიერი ესალმება პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებას მეღორეობის განვითარების ტემპების დაჩქარების შესახებ და აღნიშნავს, რომ მიწადმოქმედების კომისრის მიერ წარმოდგენილი ციფრები მინიმალურია და მათი განხორციელება სავსებით შესაძლებელია საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო დახმარებით. ეს ციფრები უფრო მეტ ეფექტს გამოიღებენ, ვიდრე ჩვენ მოველით. ჩვენი ლოზუნგია: „დავეწიოთ და გავასწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს“. ეს ლოზუნგი უნდა გავატაროთ მეღორეობაშიაც. თუ მეღორეობის განვითარების მხრივ საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირში (22 ღორი 100 მცხოვრებზე), მიწსახკომის გეგმით დასახული ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს ჩვენ დავეწიოთ ამერიკას, სადაც 100 მცხოვრებზე მოდის 44 ღორი.

ეხება რა ბეკონის ფაბრიკის საკითხს, პროფ. ჯანდიერი აღნიშნავს, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინად იყო დამუშავებული, შედგენილი იყო დაწვრილებითი მასალები, ჩატარდა გამოკვლევა, დაიხარჯა ფული, მაგრამ ბეკონის ფაბრიკის ბედი დღემდე გამოურკვეველია. აუცილებელია ბეკონის ფაბრიკის მოწყობას უდიდესი ყურადღება მიექცეს. ამ დარგში ჩვენთვის მაგალითი უნდა იყოს პატარა ბუკოვინა და სამხრეთ-სლავია, სადაც ისეთივე ჯიშის ღორებია, როგორც ჩვენში, რომლებმაც შესძლეს მთელი მსოფლიოს ბაზრის დაპყრობა ბეკონით. დასავლეთ საქართველოში ჩვენ უკვე გვყავს 40.000 მეტისი. (მეტისიდან მზადდება ბეკონი), მაგრამ არა გვაქვს ბეკონის ფაბრიკა, სადაც შესაძლებელი იყოს ღორის ხორცის გადამუშავება.

მეორე ძირითადი საკითხი—კვების საკითხი, რომლის მოწესრიგების გარეშე შეუძლებელია მესაქონლეობის, კერძოდ მეღორეობის, განვითარება. მეღორეობისათვის აუცილებელია ყველა ნარჩენების გამოყენება, რომელიც ეხლა უსარგებლოდ იკარგება.

ამხ. კანდელაკი

(ამიერ-კავკასიის სოფლის კავშირი)

ამიერ-კავკასიის სოფლის კავშირმა მისცა დირექტივა ამიერ-კავკასიის მთელ საკოლმეურნეო-კოოპერატიულ სისტემას მოუაროს და გამოიყენოს ის 12.000 ღორი, რომლებიც ჩვენ უნდა მივიღოთ „სოიუზმიასო“-დან.

ეს ღორები გაგზავნილი იქნება კოლმეურნეობებში. მათი სათანადო მოვლისათვის საჭიროა კადრები, რისთვისაც აუცილებელია მოკლე-ვადიანი კურსები იმ ანგარიშით, რომ 15-20 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებს ჰყავდეთ ერთი-ორი სპეციალისტი ამ დარგში.

რაც შეეხება ბეკონის ქარხანას, საქართველოსათვის საჭიროა არა ერთი, არამედ ორი ქარხანა—ერთი დასავლეთ საქართველოში და მეორე აღმოსავლეთ საქართველოში. ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ გლეხებს გასასყიდათ გამოჰყავთ როგორც გოჭები, ისე ღორები, თუმცა ეხლა ამის სეზონი არ არის. ამას ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ეს საფრთხეს უქადის ღორების იმ რაოდენობას, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ჩვენ მეღორეობის განვითარებაში.

ამხ. ადიკაშვილი

(თბილისის აღმასკომი)

აღნიშნავს, რომ თბილისის აღმასკომი მუშკოოპთან და საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად სოღანლუღში აწყობს დიდ საბჭოთა მეურნეობას, სადაც განზრახულია მეღორეობის ფართოდ დაყენება. ამ მიზნით შეძენილი იქნება 3.500 ღორი.

ამხ. ცირინი

(„სოიუზმიასო“)

„სოიუზმიასოს“ განზრახული აქვს მოაწყოს ამიერ-კავკასიაში მეღორეობის 5 საბჭოთა მეურნეობა, თვითეული 250 ღორით, რაც დაჯდება სულ 2.500.000 მანეთი. „სოიუზმიასო“ მოწოდებულია მოაგვაროს ღორების კვების გაძლიერების საკითხი. შარშან ჩვენ გამოვკვებეთ 20.000 ღორი. ამჟამად ეწყობა სპეციალური საცდელი სადორეები თბილისში, ბაქოში, ერევანში, ქუთაისში და სხვაგან.

ამხ. ვალტერი

(მესაქონლეობის კავშირი)

მესაქონლეობის კავშირს არ მოეპოვება სწორი ცნობები განსაზოგადოებული ღორების შესახებ, რაც აძნელებს მუშაობას კოლმეურნეობებში. მესაქონლეობის კავშირს შემუშავებული აქვს სადორეების მშენებლობის გეგმა, მაგრამ ამ გეგმის განსახორციელებლად საჭიროა კრედიტები, რომელიც ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ღორების იმ რაოდენობიდან, რომელიც მოიპოვება მთელ ამიერ-კავკასიაში, საქართველოზე მოდის 92 პროცენტი, სომხეთზე 5 პროც. და აზერბეიჯანზე 3 პროცენტი. ეს გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მეღორეობის განვითარებას საქართველოში. სადორეების მშენებლობისათვის არ მოიპოვება საჭირო საამშენებლო მასალა. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. ბერბერაშვილი

(ა. ლ. კ. კ. ცეკა)

კომკავშირმა თავისი თავი გამოაცხადა მესაქონლეობის შეფად და იწყებს თავისი 100.000 არმიით ლაშქრობას მეღორეობის განსავითარებლად. ჩვენი მიზანია 30-31 წელში —თვითეულ კოლმეურნეობაში არა ნაკლებ 8 ღორისა. ყოველ უჯრედს მიცემული აქვს დავალება წარმატებით შეასრულოს ეს ამოცანა. კომკავშირმა შეფობა აიღო აგრეთვე ტახებზე, რადგან არის ცნობები, რომ გლეხებს დასაკვლელად გამოყავთ ბაზარზე ასეთები. გამოყოფილია 200 კომკავშირელი, რომლებსაც ვგზავნით სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში; გამოყოფილია აგრეთვე 400 კომკავშირელი, რომლებიც გაივლიან სპეციალურ კურსებს. ადგილებზე ეწყობა ახალგაზრდების თათბირები და კრებები მეღორეობის საკითხებზე. ჩვენ წინადადებას ვაყენებთ გახსნილი იქნეს თბილისში მეღორეობის ტეხნიკუმი, ანდა რომელიმე ტეხნიკუმს მიეცეს მეღორეობის განხრა.

ამხ. აბზიანიძე

(აფხაზეთი)

მეღორეობის განვითარების შესაძლებლობა აფხაზეთში დიდია. წინეთ გალის და კოდორის მაზრებიდან უამრავი დაკლული ღორები გამოჰქონდათ. ეხლა კი ეს მაზრები მარტო სოხუმსაც ვერ აკმაყოფილებენ. ჩვენში არის ადგილები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მაქსიმალურად იქნეს განვითარებული იქ მეღორეობა. სამისო მუშაობა დაწყებულია.

ამხ. ჭოჭუა

(ფოთი)

ფოთის რაიონი მეღორეობის განვითარების მხრივ ერთ-ერთ საუკეთესო რაიონად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბეკონის ფაბრიკა აგებული უნდა იქნეს ფოთში, სადაც არსებობს საცივარი. ფოთის ქალაქის საბჭომ გამოჰყო მიწის ნაკვეთი მეღორეობის საბჭოთა მეურნეობისათვის. გეგმა უკვე შედგენილია, საჭიროა მხოლოდ მუშაობის პრაქტიკულად დაწყება.

ამხ. იმედაძე

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკა)

დასასრულ, კამათში გამოვიდა ამხ. იმედაძე, რომელმაც ჯამი გაუკეთა ორატორების ნათქვამს და აღნიშნა, რომ ამიერიდან მეღორეობის საკითხი თავის ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ ყველა პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა და პრესამ. კინომაც უნდა გადასდგას ნაბიჯები ამ მიმართულებით და გადაიღოს ერთი სურათი სპეციალურად მეღორეობის განვითარების საკითხებზე.

თათბირმა დაავალა მიწსახკომს აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე შეიმუშაოს მეღორეობის განვითარების გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას.

ნალჩიკი-თბილისი-ნალჩიკი ველოსიპედებით

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა ყაბარდო-ბალკარიის ოლქის ველოსიპედისტთა ჯგუფი ექვსი კაცის შემადგენლობით.

ველო-გადარბენის მარშრუტია ნალჩიკი-თბილისი-ნალჩიკი.

სპორტსმენებმა სამდღენახევრის განმავლობაში გაიარეს 390 კილომეტრი. გადარბენის მონაწილეთა შორის ორი ქალია.

გადარბენის მიზანია ველო-ვალდებულებათა პროპაგანდა მასებში და მათი რეალიზაციისათვის ხელის შეწყობა. ამ მიზნით გადარბენის მონაწილეებმა გზადაგზა ჩაატარეს მიტინგები.

გადარბენის მონაწილეთა განცხადებით, ყველაზე ძნელი გადარბენისათვის იყო გზა კობიდან-ზაჰესამდე.

გადარბენის მონაწილენი უკან დაბრუნდებიან სამი დღის შემდეგ.

რა უშლის ხელს რიონჰესის სამუშაოებს

ქუთაისი, 1 აგვისტო. უკანასკნელ დროს რიონჰესის მშენებლობაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რაც, თუ დროზე არ იქნება მიღებული ზომები, გამოიწვევს მშენებლობის დამთავრების ვადის ჩაშლას. ხარისხოვანი რკინის (სარმატურო რკინის, რომელიც რიონჰესისათვის უნდა მოეწოდებინა „ენერგოსნაბ“-ს) უქონლობის გამო, მეათე დღეა გაჩერებულია მუშაობა ბეტონის ხიდების, კაშხლისა და საგენერატორო შენობის წყალქვეშა ნაწილების ასაგებად. ფართო ლიანდაგიანი რელსებისა და ისრის გადასაყვანთა უქონლობა აფერხებს სადერივაციო არხის ექსკავატორების საშუალებით თხრას. ნოვოროსიისკის ქარხანა აგვიანებს 35 ათას ბოჭკა ცემენტის გამოგზავნას, არ მოიპოვება გვარლი. „პრომსტროი“-ს პირველ და მეორე კვარტალში არ გამოუგზავნია 500 კუბ. მეტრი აუცილებლად საჭირო ხე-ტყე. „ენერგოსნაბ“-ის მიერ ლოკომობილისათვის საჭირო კვამლის მილების გამოუგზავნელობის გამო, დროებითმა ძალურმა სადგურმა შესწყვიტეს სამუშაოებისათვის ენერგიის მიწოდება. ახჰესი რიონჰესს აწვდის 150 კილოვატს, ნაცვლად საჭირო 450 კილოვატისა, მაგრამ ეს 150 კილოვატი ხმარდება მხოლოდ შენობებისა და გვირაბების განათებას. მექანიზმები და ორივე სახერხი ქარხანა ენერგიის უქონლობის გამო შეჩერებულია. (ადს)

რა ხდება ადგილებზე

პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება

ქუთაისი, 1 აგვისტო. 30 ივლისს ქუთაისის უჯრედები შეუდგნენ მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავებას. გადაწყვეტილებათა შესასწავლად მოეწყო წრეები, რომლებშიაც ფართოდ არის ჩაბმული უპარტიო მასა. ქუთაისის რაიონის სოფლის უჯრედების წრეების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად მოეწყო ხუთდღიანი კურსები. (ადს)

ტყიბული დაწინაურდა

ქუთაისი, 1 აგვისტო. ტყიბულის მაღაროებმა მიმდინარე ოპერატიული წლის მესამე კვარტალში მოგვცეს 26.032 ტონა ნახშირი, ნაცვლად 22.500 ტონისა, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. (ადს)

უყაირათობა სამტრედიის რაიონულ კოლმეურნეობათა კავშირში

სამტრედია, 1 აგვისტო. უყაირათობის იშვიათი ფაქტი იქნა აღმოჩენილი სამტრედიის რაიონულ კოლმეურნეობათა კავშირში, სადაც კოლმეურნეთათვის გამოგზავნილი 50 გუთანი შემოდგომის თესვის კამპანიისათვის და 30 სანიავებელი მანქანა აქამდე აწყვია რაიონულ კოლმეურნეობათა კავშირის საწყობში ღია ცის ქვეშ. მიუხედავად ხშირი წვიმებისა, სასოფლო- სამეურნეო იარაღს მაინც არ სძრავენ ადგილიდან. (ადს)

ჩინეთის მუშები და გლეხები მზად არიან დაიცვან საბჭოთა კავშირი

ბათომი, 1 აგვისტო. ბათომში ჩამოსულმა ჩინეთის დელეგაციამ მიმართა წერილით აჭარისტანის მუშებსა და გლეხობას, რომელშიაც დელეგაცია აცხადებს, რომ ჩინეთის მუშები და გლეხები მზად არიან ფეხზე დადგენ საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს)

კიდევ ერთი გამარჯვება დამკვრელობის ფრონტზე

ფოთი, 1 აგვისტო. მარგანეცის მტვირთავებმა დაკვრითი წესით 2 დღის შეუსვენებელი მუშაობით დატვირთეს გემები 10.250 ინგლისური ტონა მარგანეცით, ნაცვლად ნორმალური 5.000 ტონისა.

ასეთმა დაკვრითმა მუშაობამ რამდენი ათასი მანეთის ეკონომია მოგვცა. (ადს)

სასილოსო მშენებლობა ადგილებზე

ბორჯომი, 1 აგვისტო. ამ დღეებში გაიმართა აგრონომიული თათბირი ბორჯომის რაიონის პირუტყვის საკვების დასილოსების საკითხის შესახებ. თათბირმა გადასწყვიტა—აავოს სილოსის კოშკი ციხის-ჯვარის კოლმეურნეობაში და ნახევარკოშკი დიდი მიტარბის კოლმეურნეობაში.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ორი ორმოს ამოღება ციხის-ჯვარში და თითო სასილოსო ორმოსი —დიდ მიტარბსა და წითელ საყდარში. (ადს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

მეტი ყურადღება კადრების მომზადებას

საქ. მუშგლეხინის დადგენილება

1. მიუხედავად კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების უდიდესი მნიშვნელობისა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში და ნოემბრის პლენუმის დადგენილებისა, ეს საკითხი საკმაოდ არ ამუშავებულა არც საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს, არც მიწსახკომს და სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

2. კვალიფიციური მუშა ხელის მომზადების და გადამზადების ხუთწლიანი გეგმის საკითხის დამუშავებას ახასიათებს შემდეგი დეფექტები: ა) ხუთი წლის განმავლობაში საჭირო კვალიფიციური მუშა-ხელის ციფრობრივი ცნობები არ არის შეთანხმებული (სახელმწ. საგეგმო კომისია და ს. მ. უ. ს.), ბ) ს. მ. უ. საბჭოს გეგმას არ მოეპოვება რეალური საფუძველი და გეგმაში არ არის აღრიცხული ძირითადი მაჩვენებლები; მაგალითად: არ არის დამუშავებული საჭირო რაოდენობის კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშა-ხელის საკითხი, არ არის დამუშავებული საბიუჯეტო საკითხი, არ მოიპოვება საფაბრიკო-საქარხნო სკოლების და კვალიფიციური მუშა ხელის მოსამზადებელი სხვა სკოლების ქსელის განვითარების და მათი შესაფერი შენობებით, მოწყობილებით და მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფის კონკრეტული გეგმა, არ არის უზრუნველყოფილი შესაფერი შევსება, არ არის გადასინჯული საფაბრიკო-საქარხნო სკოლების სასწავლო გეგმა სწავლების ვადის 4 წლიდან 3 წლამდე შემცირებასთან დაკავშირებით. გეგმით დამუშავებულია კაბინეტური წესით, მუშათა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობის გარეშე; გ) სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კვალიფიციური მუშა ხელის მომზადება არ არის გათვალისწინებული გეგმაში, ამ მუშა-ხელის საჭიროება და სოფლად მომხდარი ცვლილებები არ არის აღრიცხული; მიწსახკომი სარგებლობს 1929 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მოძველებული ცნობებით. მიწსახკომის ღონისძიებებს აქვთ აგროპროპაგანდის ხასიათი და არა კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების.

არსებობს საფრთხე, რომ სახალხო მეურნეობა არ იქნება უზრუნველყოფილი საჭირო კვალიფიციური მუშა-ხელის კადრებით. ამიტომ:

1. წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, შრომის სახ. კომისარიატთან და დაინტერესებულ უწყებებთან და სამეურნეო ორგანოებთან ერთად, დაამუშაოს და წარუდგინოს საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიას არა უგვიანეს ა. წ. 1 აგვისტოსი.

ა) საჭირო კვალიფიციური მუშა-ხელის და ამ საჭიროების დაკმაყოფილების კონკრეტული ხუთწლიანი გეგმა ეროვნების, სქესის და სხ. აღნიშვნით.

ბ) საფაბრიკო-საქარხნო სკოლების და კვალიფიციური მუშა ხელის მოსამზადებელი და გადამზადებელი სხვა სკოლების კაპიტალური მშენებლობის, მოწყობის და მათი მატერიალურად უზრუნველყოფის (ფინანსების მიწოდება, შენობები სასწავლებლებისათვის და საერთო საცხოვრებელ ბინებისათვის, პედაგოგიურ-კადრებით უზრუნველყოფა) გეგმა, აგრეთვე ღონისძიებანი ამ სასწავლებლების შესაფერისად მოწყობით.

2. ს. მ. უ. საბჭოს და განათლების სახ. კომისარიატმა ამავე დროისათვის დაამთავრონ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების სასწავლო გეგმების დამუშავება სწავლების ვადის 4 წლიდან 3 წლამდე შემოკლებასთან დაკავშირებით.

3. წინადადება მიეცეს ს. მ. უ. საბჭოს და მიწსახკომს ცდის სახით სამოსწავლო წლის დასაწყისში მოაწყონ რამდენიმე საფაბრიკო და საბჭოთა მეურნეობის სკოლა.

4. წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას—მიიღოს ზომები დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად კვალიფიციური მუშა ხელის მომზადების და გადამზადების ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციისათვის მუშათა ფართო მასებში.

სამეურნეო ხელმძღვანელობა უნდა გაჯანსაღდეს

(ლაჭილაოს ხე-ტყის ქარხანა)

ეს ქარხანა იმყოფება ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხე-ტყის განყოფილების გამგებლობაში. ამ განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობის წყალობით ქარხანაში ყველაფერი რიგზე არ არის.

სოციალისტური შეჯიბრებისა და 1929—30 წლის პირველ ნახევრის შედეგების შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ქარხანას არა აქვს საწარმოო-საფინანსო გეგმა, მაშასადამე, ამ გეგმას მუშებიც ვერ იცნობენ, ქარხანას არა აქვს საჭირო ნედლი მასალის მარაგი, რაც მიეწერება ადმინისტრაციის სუსტ ხელმძღვანელობას დამამზადებელ პუნქტებზე, მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმეჯერ მითითებული ადმინისტრაციას—პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შემოწმება დაეყენებია თავის დროზე, ეს საქმე დღემდე მოუგვარებელია და არავინ იცის, თუ როგორი ხარისხის მასალას ამზადებს ქარხანა. დაზგები არ არის შეკეთებული საჭიროებისამებრ. ასეთივე მდგომარეობაშია დამბებიც, რომელთა საფუძვლიანად შეკეთებას არ დაადგა საშველი. ყველაფერი ეს, ბუნებრივია, ხელს უშლიდა კომუჯრედის და ქარხკომის მუშაობას, რომელიც აქ წარმოებდა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლისათვის.

მიუხედავად ამ მძიმე პირობებისა, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 17,3 პროც., თვითღირებულება შემცირებულია 11,2 პროც. და საწარმოო დისციპლინა განმტკიცებულია 75 პროცენტით. უფრო მეტის მიღწევა შეიძლებოდა, რომ განყოფილებას და ადმინისტრაციას თავიდანვე მიეღოთ გადამწყვეტი ზომები ამ ხელისშემშლელი პირობების აღსაკვეთად.

კიდევ რამოდენიმე ფაქტი განყოფილების და ადმინისტრაციის უხეირო მოქმედებიდან: 1. იანვრის ბოლო რიცხვებში განყოფილების უფროსის ვ. ჯიჯელავას ბრძანებით იხსნება სპეც-ცეხის უფროსი არშაკ ტერ-ასატუროვი. სხვა ქარხანაში გადაყვანით. მას თვეში ეძლეოდა 130 მანეთი. ამავე ბრძანებით მის ადგილზე გველინება ე. ებრალიძე, რომელსაც ჯიჯელავა ჯამაგირს უნიშნავს თვიურად 200 მანეთს. მუშები გაკვირვებას გამოსთქვამენ სპეც ტერ-ასატუროვის ასე უსაფუძვლო გადაყვანის და მის ადგილზე საქმისათვის შეუფერებელ ებრალიძის გამოგზავნის გამო. 2 თებერვალში საწყობის გამგე ე. ქურიძემ, რომელიც ინტრიგანი და ზნეობრივად გახრწნილი ელემენტია, საექსპორტო მასალებით დახურა შტაბელი და ასეთი დაუდევრობით ქარხანას მიაყენა რამოდენიმე ათასი მანეთის ზარალი, რაც დადასტურებულია ბრძანებით მას შემდეგაც ქურიძეს სამსახურისადმი გულგრილი მოპყრობისათვის რამოდენიმეჯერ გამოეცხადა საყვედური. მიუხედავად ამისა, ის რატომღაც დღემდე არხეინად გრძნობს თავს

3. მარტის უკანასკნელ რიცხვებში ჯიჯელავას უშუალო განკარგულებით იგზავნება დირექ. თანამდებობაზე ვიღაც მემანქანე ხე-ტყის წარმოებასთან სრულებით გაუცნობელი გ. ჩანგაშვილი. თურმე დირექ. გამოგზავნილი ყოფილა მივლინების სახით, სამი თვე ნახევრით. თვიური ხელფასი მას აქვს 280 მანეთი, მივლინების—280 მან., ბინის ქირა 90 მან. თუმცა სპეციალურად სამი ოთახია დირექტორისათვის მიჩნეული, ჩანგაშვილი მაინც სასტუმროში ცხოვრობს. ამრიგად, ჩანგაშვილს თვეში ეძლევა 650 მან. რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში? თითქმის არაფერი, 4. მარტის ბოლო რიცხვებში ჩანგაშვილმა უკანონოდ მოხსნა მუშა, რომელიც სათანადო ორგანოების მიერ აღდგენილ იქნა, განაცდენის 700 მან, მიცემით, რაც ზედმეტ ტვირთად დააწვა ქარხანას. ჩანგაშვილის გამომგზავნა სამი თვენახევრით და მასზე 2.975 მანეთის გაცემა აშკარა ბოროტმოქმედებას უდრის.

სხვათა შორის, მივლინებათა ხარჯი, რომელიც არავითარი გეგმით არ არის გათვალისწინებული მეტად დიდ თანხას შეადგენს: 1928-29 საოპერაციო წელში მთლიანად მივლინებაზე დახარჯულია 2.959—60 კაპ., 1929-30 წლის პირველ იანვრამდე კი 2.973—81 კაპ. აშკარაა, რომ სამივლინებო ხარჯები საგრძნობლად იზრდება.

ყოველივე ამას ყურადღება უნდა მიექცეს და ქარხნის ხელმძღვანელობის საქმე გადამჭრელი ზომებით უნდა იქნას გაუმჯობესებული.

მიდგარი.

ყურადღება ლიბანის სანატორიუმს

ლიბანის სანატორიუმში მთელ რიგ უწესრიგობას აქვს ადგილი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ავადმყოფებს, მოსულმა ავადმყოფმა სამი საათი უნდა ეძებოს ექიმი და მოწყალების და, რომ ის მიღებულ იქნას და დაბინავებული. ოთახის მიღების შემდეგ მან უნდა უცადოს რიგს, თუ როდის მოვა ექიმი მის გასასინჯად. შეკითხვაზე—თუ რატომ ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში არ სინჯება ახლად მოსული, პასუხს უკმეხად იძლევიან—ბევრი ავადმყოფი გვყავს და თქვენს რიგს უცადეთო. სხვადასხვა ავადმყოფები განურჩევლად იმყოფებიან ერთი მეორესთან. მეოთხე-მეხუთე დღეს ექიმის მიერ გასინჯულთ ათავსებენ ისევ გამოურკვეველ ავადმყოფებთან. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დაუშვებელია. ხშირად მიმართავენ ავადმყოფები ექიმებს, რათა მოხდეს მათი შერჩევა და გადაჯგუფება, მაგრამ უკანასკნელნი არ ჩქარობენ და ასეთ პასუხს იძლევიან: „გვაცალეთ უნდა და ყველაფერს მოვაგვარებთ"-ო. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ დაიწყო გადაჯგუფება, მაგრამ აქ თავი იჩინა ნაცნობობამ და ზოგიერთ ავადმყოფის კაპრიზმა, რის გამო წესიერად ვერ იქნა განაწილებული საწოლები.

აქვე უნდა აღინიშნოს დაბალი პერსონალის უყურადღებობა. ისინი მწოლიარე ავადმყოფს მხოლოდ მაშინ მიაკითხავენ პალატაში, როცა სადილი ან საუზმე არის, ვინაიდან ზოგიერთ ავადმყოფს მადა არა აქვს და ისინი მათ მაგივრად გემრიელად შეექცევიან, ამით თავიანთი მოვალეობა თითქო შესრულებულად მიაჩნიათ!

ვერც მნე ქალი დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. ის ცხრა საათზე არის საწყობში, და ახალ მოსულ ავადმყოფს სრულებით არ გაეგება,—რა უნდა მიიღოს მან, ან თუ სად არსებობს საწყობი. როცა მოწყალების დას ვთხოვეთ—გაგვაყოლეთ ვინმე მნე ქალთან საჭირო ნივთების მისაღებად, ის გვიპასუხებს: უდარაჯეთ, მიდით და მიიღებთო.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა თავის ხარჯზე მყოფთ, თითქოს ისინი საბჭოთა მოქალაქენი არ იყვნენ.

მოიკოჭლებს მდგომარეობა საჭმლის მხრითაც. ზოგ ავადმყოფს არ ეჭმება შავი ხორცი, მაგრამ სამაგიერო რამ სანატორიუმს არ მოეპოვება.

ავადმყოფი.

უცხო და მავნე ელემენტების თაიგული

(ზესტაფონი)

ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის სამუშაოებიდან მრეწვმშენზე გადაცემულია ქარხნის საბინაო მშენებლობა და ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანა სად. შორაპნიდან ქ. ზესტაფონამდე. (ფერომარგანეცის ქარხნამდე). მრეწვმშენის სამუშაოებს ხელმძღვანელობს ტეხნიკოსი ვლადიმერ მამაცაშვილი. მუშაობა მიმდინარეობს თითქმის ორი თვე.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში მრეწვმშენის სამუშაოებზე თავი მოიყარეს ანტისაბჭოთა ელემენტებმა (კულაკებმა, ყოფ. მემამულეებმა, ყოფ. ვაჭრებმა). მათ ისარგებლეს სამუშაოთა უფროსის სისუსტით, მოიქციეს იგი თავიანთი გავლენის ქვეშ და ხელთ იგდეს წარმოების ხელმძღვანელი მწვერვალები. ასეთებია, მაგალითად:

ა) კოწია წულუკიძე, ყოფ. მემამულე, შავსიელი; მონაწილეობას ღებულობდა ქიათურის ხაზზე მატარებლის გაძარცვაში, ასრულებს უფროსი მუშის თანამდებობას.

ბ) შალვა ქლენტი—საწყობის გამგე, ყოფ. მემამულე.

გ) კალისტრატე ცქიფურიშვილი, ყოფ. ვაჭარი, შავსიელი, და სხვ.

ანტისაბჭოთა ელემენტების წყალობით სამუშაოებზე ფართოდ მოიკიდეს ფეხი ბიუროკრატიზმმა, დაუდევრობამ, გახრწნილობამ, სხვადასხვა ბოროტ-მოქმედობამ.

ექსპედიტორმა ნესტორ სამხარაძემ (ყოფ. ვაჭარი) იმის გამო, რომ თვითონ პირი გაეპარსა, რამოდენიმე საათს გააცდინა მუშა და მოსწყვიტა წარმოებას.

ივანე რისკოვსკი (ათისთავი) 4 კაცის მაგიერ 8 კაცს ამუშავებდა.

ანდრია ფირხოვი (უფროსი მუშა) მუდამ ლოთობს და ამის გამო სისტემატიურად აცდენს დღეებს. იგი დაპატიჟა კვეტინაძემ (ყოფ. ვაჭარი), აქეიფა, ხოლო მეორე დღეს კვეტინაძე უფროს მუშად იქნა მიღებული. ფირხოვს სამუშაოებზე სისტემატიურად დაჰყავს ხოსკიპი ქალები.

პეტრე აროშიძე (მეტაბელე)—პარტიის წევრად მოაქვს თავი, ყოყოჩობს, მუშებს აკლებს ამუშავარ დღეებს, გაფლანგა მუშების გაზეთის ფული 75 მანეთი.

კალისტრატე გამცემლიძის (უფროსი მუშა) დაუდევრობით ორი მუშა დაშავდა (ორთქლმავალი დაეტაკა ვაგონეტკას).

რაიკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ფერომარგანეცის კომუჯრედისა და კავშირების წარმომადგენლებისაგან შესდგა კომისია, რომელმაც გამოარკვია მდგომარეობა, აღნიშნულ სამუშაოებზე 22 უცხო ელემენტი აღმოაჩინა და საჭიროდ სცნო მათი მოხსნა.

კომისიის მოხსენების მიხედვით რაიკომის პრეზიდიუმმა 23 ივნისს გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

რაიკომის პრეზიდიუმს დაუშვებლად მიაჩნია, რომ მრეწვმშენში, სათანადო ორგანიზაციების უყურადღებობის გამო, თავი მოიყარეს სოციალურად უცხო ელემენტებმა: კულაკებმა, ყოფ. მემამულეებმა, ვაჭრებმა, რომლებმაც აგერ ახლა დაანებეს თავი ვაჭრობას (22 კაცის რაოდენობით).

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სოციალურად უცხო ელემენტებმა მრეწვმშენში ხელთ იგდეს წარმოების ხელმძღვანელი თანამდებობანი, როგორიცაა საწყობის გამგის, უფროსი მუშის, ათისთავის და სხვა თანამდებობანი.

დაევალოს კომისიას პრეზიდიუმის მომავალი სხდომისათვის სასწრაფოდ გამოარკვიოს ამ პირების წარმოებაში მოკალათების მიზეზები და ის, თუ ვინ უწყობდა ხელს მათი წარმოებაში მიღებას.

ახლო მომავალში შემოწმებულ იქნას ფერომარგშენის და მრეწვმშენის სამუშაოებზე საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება, დამკვრელობის და სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა,

მიზანშეწონილად ჩაითვალოს სამუშაოთა უფროსის თანაშემწედ კომუნისტის დანიშვნა.

დაევალოს კომუჯრედს და ადგილკომის კომფრაქციას, რათა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და ყოველდღიური მეთვალყურეობა ფერომარგანეცის და მრეწვმშენის სამუშაოებზე.

ამგვარად ს. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის ხელმძღვანელობით მრეწვმშენის გასაჯანსაღებლად მიღებულია საჭირო ზომები.

დ. ყიფშიძე, ა. ნიკოლეიშვილი.

„საქართველოს ჩაი-"ს კაპიტალური მშენებლობა

სამრეწველო და საბინაო მშენებლობის სტანდარტიზაციის და ტიპიზაციის საკითხი არ არის შესწავლილი.—სამშენებლო მასალების ხარისხი დაბალია.—მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი მუშა-ხელით და სატრანსპორტო საშუალებებით.

ჩვენი ჩაის წარმოება საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების მხოლოდ 2 პროც. ჰფარავს. დანარჩენი ნაწილი კი—98 პროც. უცხოეთიდან შემოაქვს, რაც ძალიან ძვირად გვიჯდება. ამიტომ გადაწყვეტილია, რაც შეიძლება სწრაფი ტემპით განვავითაროთ ჩაის წარმოება ჩვენში. 1925 წ. ჩაის პლანტაციებს დაახლოებით ეკავათ 1.300 ჰექტ. (1913 წ.—800-900 ჰექტარი), ამჟამად ჩაის პლანტაციებს 15.000 ჰექტარი უკავიათ. ხუთწლიანი გეგმის პირველი ვარიანტით განზრახული იყო 40.000 ჰექტ. ჩაის გაშენება. ეს გეგმა ითვალისწინებდა შემდეგ კაპიტალურ მშენებლობას:

1. **საფაბრიკო:** (22 ობიექტი 5 წლის განმავლობაში) საფაბრიკო შენობები, ძრავები, სამეურნეო ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები—14.921 ათას მან.

2. **საბჭოთა მეურნეობები:** საცხოვ. სახლები, კანტორები, ამბულატორიები, საერთო საცხოვრებელი ბინები, სამეურნეო ნაგებობანი—2.505 ათასი მან.

8. **საცდელი საქმე:** დამხმარე მშენებლობა (ლაბორატორიები), საცხ. სახლები, სამეურნეო მშენებლობა—1.522 ათ. მან.

სულ—18.948 ათასი მანეთი.

მაგრამ ეხლა ეს ხუთწლიანი გეგმა იცვლება. გადაწყვეტილია 80.000 ჰექტარი და თუ შესაძლებელი გახდა 100.000 ჰექტ. გაშენება. ამისდა მიხედვით იცვლება კაპიტალური მშენებლობის გეგმაც.

1929 წელში მშენებლობაზე დაიხარჯა — 1.220 ათასი მან. წელს გათვალისწინებულია შემდეგი კაპიტალური ხარჯების გაწევა:

1. **საფაბრიკო მშენებლობა.** ჩაქვში ფაბრიკების გაფართოება (ბობოყვათი, ოზურგეთი), ახალი ფაბრიკის აგება ნატანებში, ელსადგურები, საერთო საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო ნაგებობანი—1.204 ათ. მან.—31 პროც.

2. **საცდელი სადგურები.** ლაბორატორიის დამთავრება (ოზურგეთი), სახლები, საერთო საცხოვრებელი ბინები, წყალსადენი, კანალიზაცია და სხ.—435.500 მან.—9,6 პროც.

3. **საბჭოთა მეურნეობები.** სახლის აგება კლუბის კანტორისათვის, ჰიდრო-სადგურის არხის გამაგრება, ძრავების დადგმა, საწყობები, სასადილოები—1.363.360 მან. — 34,3 პროც.

აგროპუნქტები და აგროტეხნიკუმები ოზურგეთსა და ზუგდიდში—995.660 მ.—25,1 პროც.

კაპიტალური ხარჯები მშენებლობისათვის 1930-31 წელში კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან საკონტროლო ციფრების მიხედვით განზრახულია 17.817.970 მან. გაღება, რომელიც ნაწილდება ამგვარად:

1. საფაბრიკო მშენებლობა—3.327.630 მან.
2. საბჭოთა მეურნეობები—8.007.000 მან.
3. საცდელი სადგურები—1.341.340 მან.
4. საგზაო მშენებლობა—2.988.000 მან.
5. საბჭოთა მეურნ. და ფაბრ. მოწყობა—2.154.000 მან.

სულ კაპიტალური მშენებლობისათვის 1930-31 წელში დაიხარჯება 17.817.970 მანეთი.

მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით დამთავრებულ მშენებლობის ობიექტებიდან საჭიროა აღინიშნოს: 1) ჩაქვის ჩაის ფაბრიკა, რომელიც 1.200.000 კილ. მწვანე ჩაის ფოთოლს გადაამუშავებს. 2) ნატანების ფაბრიკა და 3) საცხოვრებელი სახლები ჩაქვში, დროებითი და მუდმივი ბარაკები, ხის, აგურის და შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკა სამ სართულიანია და ნაშენია რკინა-ბეტონისაგან. ფაბრიკის აგების ღირებულება საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით 585.900 მან. უდრის. ფაქტიური ღირებულება ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, მაგრამ დიდი განსხვავება არ უნდა იყოს ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულ ღირებულებისაგან.

ნატანების ჩაის ფაბრიკა (დროებითი ტიპის) ორსართულიანია და ნაშენია ხის მასალისაგან. საშრობი ღუმელის და საფერმენტაციო შენობა აგურისაა. ჩაის წარმოებაში ყველაზე მეტი ფართობი საჭიროა ჩაის მწვანე ფოთლის დასაჭკნობად უმნიშვნელო ნაწილი კი—დანარჩენი პროცედურისათვის. ნორმალური დაჭკნობისათვის საჭიროა ინტენსიური გამზეურება—გაშრობა. აჭარისტანის ტოპოგრაფიულ პირობებში არ არის აუცილებელი სამსართულიანი რკინა-ბეტონის ფაბრიკის აგება, როგორიც ჩაქვშია, ვინაიდან ჩაის გასამზეურებლად შეიძლება შესაფერი ადგილის გამონახვა ფაბრიკასთან. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია მარტივი კონსტრუქციის ერთსართულიანი ფაბრიკების აგება აჭარისტანში. ამ საკითხს სერიოზული მნიშვნელობა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია 100-დე ფაბრიკის აგება და ამ მხრით შესაძლებელია საკმაოდ დიდი თანხების გადარჩენა. ამჟამად „საქართველოს ჩაი"-ს აღებული აქვს ხაზი იმ მიმართულებით, რომ უფრო მსუბუქი ტიპის და ერთ-ორ სართულიანი საფაბრიკო შენობები აგოს. ამ საკითხებზე საჭიროა უფრო ღრმად დაფიქრება, რადგან სტანდარტიზაციის და ტიპიზაციის საკითხი მთელ რიგ სერიოზულ მოთხოვნილებებს გვიყენებენ.

საბინაო მშენებლობაში გვხვდება განსაზღვრული საცხოვრებელი სახლები, დროებითი და მუდმივი ტიპის ბარაკები აგურით, ქვით და ხის მასალით ნაშენი, „ცენტროჟილსოიუზის" და „ხორდ"-ის შესაკრები სახლები და წნელისაგან მოლობილი ბარაკები. საბინაო მშენებლობის დარგშიაც საჭიროა ტიპიზაციის და სტანდარტიზაციის საკითხების დამუშავება. წნელისაგან მოლობილი ბარაკი ნასაკირალში სავსებით აკმაყოფილებს საბინაო პირობებს, მასთან ასეთი ბარაკების გაკეთება ხელსაყრელია, რადგან საკმაო დეფიციტიან სამშენებლო მასალას გადავარჩენს. დროებითი ტიპის ხის ბარაკების აგება ოჩხამურში (ქობულეთი), სადაც მალარია ძლიერ არის გავრცელებული, არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს. უფრო რაციონალური იქნება მუდმივი ტიპის ბარაკების აგება მაღალ ადგილას, რომლებიც ყველა ტეხნიკურ და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს დააკმაყოფილებენ. ბარაკების ადგილის შერჩევა უნდა მოხდეს შრომის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

„საქართველოს ჩაის" წელს განზრახული აქვს დადგას „ცენტროჟილსოიუზ"-ის და „ნორდ"-ის 36 შესაკრები სახლი. ასეთი სახლების დადგმა სავსებით რაციონალურია, ოღონდ ჩვენს პირობებში ცოტა უფრო ძვირა ჯდება დიდი ზედნადები ხარჯების გამო, რაც გამოწვეულია მათი ჩამოტანით მოსკოვიდან და ლენინგრადიდან. ამიტომ „საქართველოს ჩაის" გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს შესაკრები სახლების წარმოება ჩაის რაიონების ცენტრალურ პუნქტებში—ნატანებში. კარგი იქნება, თუ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოც დაინტერესდება ამ საქმით, რადგან შესაკრები სახლები საჭიროა მეურნეობის სხვა დარგებისათვისაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა მასალა უნდა იქნეს გამოყენებული მშენებლობაში. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას ტეხნიკური და ეკონომიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. ვინაიდან ჩაი ადვილად ითვისებს ყოველგვარ სუნს გარემოსაგან, ამიტომ ფაბრიკის შენობისათვის ისეთი მასალა უნდა შევარჩიოთ, რომელსაც არავითარი სუნი არ ექნება და რომელიც ამავე დროს მალე არ დალპება და ობით არ დაიფარება. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ჩაის შრობის ძნელი პროცესის დროს ხდება ბევრი სინესტის გამოყოფა ჰაერში. ამიტომ ფაბრიკის შენობისათვის ხის მასალის გამოყენება აჭარისტანში არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს, მით უფრო, რომ ადგილობრივი ხე-ტყის მასალა დალპება, რუსეთის ხე-ტყეს კი ძლიერი ფისის სუნი აქვს. ასეთი უარყოფითი თვისება არ აქვს ბეტონს და აგურს, მაგრამ რადგან ცემენტი (ბეტონი) დეფიციტიანია, ამიტომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს აგურს, მით უფრო, რომ აჭარისტანში შენდება აგურის ქარხანა. სამშენებლო მასალის საკითხი ტეხნიკური და ეკონომიური თვალსაზრისით ყოველ ცალკე რაიონისათვის ცალკე უნდა დამუშავდეს. აქ უადგილო არ იქნება აღვნიშნოთ ერთი სახის სამშენებლო მასალა — სილიკატის აგური. სილიკატის აგურის წარმოების საკითხს საბჭოთა კავშირში სერიოზულ ყურადღებას აქცევენ, განზრახულია დიდი კაპიტალის დაბანდება წარმოების ამ დარგში (უნდა აშენდეს 50 ქარხანა). სილიკატის აგურის შემადგენლობა ასეთია: სილა 39 პროც. და კირი—7 პროც. 1 მილიონ სილიკატის აგურის გამოშვებას სჭირდება 42.000 მან., 1 მილ. აგურის პროდუქციას კი—52.000 მან. ამ წარმოების მოწყობა შეამცირებდა ცემენტის დეფიციტიანობას. ჩვენი მშენებლობის გაშლა და წარმატება დამოკიდებულია სამშენებლო მასალაზე. ამიტომ სილიკატის აგურის წარმოების საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ.

ნაგებობათა ღირებულების საკითხის შესახებ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ყველა სახის ნაგებობა ღირსების მხრით დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, ოღონდ ადგილი აქვს გადამეტებას ლიმიტებთან შედარებით. ეს გამოწვეულია ტრანსპორტის (საჭაპანო ტრანსპორტი) და მასალის გაძვირებით (მათი ხარისხის აგური 60 პროც. აღწევს). აგურს უმთავრესად ვღებულობთ ახალსენაკის მექანიკურ აგურის ქარხნიდან (ნოსირი) და ქუთაისის გამსახლის ქარხნებიდან. საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები აგურის ღირსების გასაუმჯობესებლად.

საკუთარი ტრანსპორტის (ფორდის საბარგო ავტომობილები) მოწყობა სავსებით დროული და მიზანშეწონილია, და აი რატომ: 1930-31 წელში კაპიტალურ მშენებლობისათვის განზრახულია 15 მილ. მან. გაღება (მოწყობილობის გარდა). სამშენებლო მასალას საშუალოდ მოხმარდება აღნიშნულ თანხის 60 პროც., რაც 9 მილ. მან. შეადგენს. აქედან ამ მასალის გადატანას საშუალოდ 20 პროც. ანუ 1.800.000 მან. დასჭირდება. 3 რაიონის სატრანსპორტო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სულ დასჭირდება 9 საბარგო ავტომობილი. მათი ღირებულება კი 50 ათას მან. არ აღემატება. საექსპლოატაციო ხარჯებიც რომ მივუმატოთ ამას, მაინც დარჩება ეკონომია ერთი მილიონი მან.

მშენებლობის ხელმძღვანელობა და მუშაობის სწორი ორგანიზაცია განსაზღვრავს მუშაობის ტემპს და კაპიტალის დაბანდების ეფექტს. ამ მხრით სამუშაოთა მწარმოებლები სამ დიდ რაიონში: 1) ჩაქვა—ქობულეთი, 2) ოზურგეთი—ანასეული და ნასაკირალი, 3) ზუგდიდის მაზრა) საგრძნობ გასაჭირს განიცდიან ტრანსპორტის დარგში. ამიტომ შესაფერი ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ „საქართველოს ჩაის" საბარგო და მსუბუქი ავტომობილების მიწოდებით. მუშაობა უმთავრესად სწარმოებს სამეურნეო წესით (70 პროც.) და მხოლოდ 30 პროც. მოიჯარადრეების საშუალებით. საგზაო მშენებლობა კი სწარმოებს სამეურნეო წესით. უმაღლესი ორგანოების დირექტივების თანახმად მუშაობა უნდა სრულდებოდეს საიჯარო წესით. ამიტომ „საქართველოს ჩაი"-მ უნდა გაადიდოს საიჯარო სამუშაოთა ხვედრითი წონა და ამ მიზნით სამუშაოები საფაბრიკო და საბინაო მშენებლობის დარგში უნდა გადასცეს საქ. სახ. სამრეწველო მშენებლობის საზოგადოებას, ხოლო საგზაო—საგზაო ტრანსპორტის საზოგადოებას.

მშენებლობა ამჟამად 100 პროცენტით უზრუნველყოფილია ხრეშით, სილით, ქვით, კირით და აგურითაც, თუ ხელშეკრულება აგურის ჩაბარებაზე შესრულდება (საქ. მუშ. და გლეხ. ინსპექციის მიერ მიღებულია შესაფერი ზომები). ხელშეკრულებების თანახმად მშენებლობა უზრუნველყოფილია აგრეთვე ტყის მასალით. ფაქტიურად ჯერ-ჯერობით მიღებულია 30 პროც. (საქ. მუშგლეხინის მიერ მიღებულია სათანადო ზომები). მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი ლურსმნით და სახურავი რკინით, ნაკლებად არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური მუშა ხელითაც, ვინაიდან აჭარისტანში არ არის მშენებელ მუშათა კადრი, ამიტომ საჭირო ხდება მუშების გამოწერა თბილისიდან და სხვა ადგილებიდან. მწვავედ სდგას წყლით მომარაგების საკითხი (ოჩხამურში, ნასაკირალში და სხვ.). „საქართველოს ჩაი"-მ უკვე მიჰყო ხელი წყალსადენების გაყვანას.

კაპიტალური მშენებლობის დასახულ გეგმის წარმატებით განხორციელება დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეუწყობენ ხელს ჩაის საქმით უშუალოდ დაინტერესებული ორგანიზაციები „საქართველოს ჩაი"-ს როგორც კარგი ღირსების მასალის თავის დროზე მიწოდებით, ისე კვალიფიციური მუშა-ხელის, სატრანსპორტო საშუალებების მომარაგებით და სხვ.

ინჟ. ზ. ვოლოხი.

თავს არხეინად გრძნობს

(„სოფლის კავშირი")

„სოფლის კავშირის" ერთ-ერთ განყოფილების თანამშრომლად ითვლება არშაკ ედიგაროვი. ის ცნობილი კულაკი იყო კახეთში,—იმდენად მდიდარი, რომ სხვათა შორის, ორი ეტლი ჰყავდა „სასეირნოდ". მხოლოდ რამოდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ედიგაროვს საკუთარი ღვინის ფირმა ჰქონდა („ჩვენი მარკა"). როცა შეატყო, რომ ვაჭრების საქმე ცუდად იყო, დაკეტა ფირმა და ბირჟის გარეშე მუშკოოპის ღვინის საწყობში მოიკალათა, როგორც „სპეცი". მაგრამ აქ დროზე გაიგეს მისი ვინაობა და გააძევეს, თუმცა ასეთი ქაღალდიც კი ჰქონდა, თითქოს ფირმა „ჩვენი მარკა" მისი არ იყო და ის მხოლოდ მოჯამაგირედ იდგა. ედიგაროვი არ დაიბნა. ნათლი-მამობით ეწყობა სოფლის კავშირში.

მას, როგორც ვაჭარს, დღესაც მართებს სახელმწიფო გადასახადი რამოდენიმე 100 მანეთი. დღესაც დიდის ასოებით წაიკითხავთ ხელისუფლების სპეციალურ განცხადებაში: არშაკ ედიგაროვი, ხმის უფლებას მოკლებული,—ამდენი და ამდენი მართებს სახელმწიფოს გადასახადიო.

რომ ფინმუშაკებისათვის თვალი აეხვია, მან საოჯახო ნივთები ყველა გაზიდა, თვითონ კი იატაკზე გაიშალა ლოგინი, თითქოს ასეთ სიღარიბეში ცხოვრობდეს. მიუხედავად ამგვარი „სიღარიბისა", მას შვილისთვის მასწავლებელი სახლში დაუდის. ის ახლა არხეინად გრძნობს თავს „ბებიების" წყალობით და კავშირის წიგნაკითაც კი სარგებლობს.

ე—ნი.

აპარატის წმენდას გადაურჩნენ

(საჩხერე)

არა ერთხელ დაწერილა, როგორც ადგილობრივ კედლის გაზეთებში, ისე ცენტრალურ პრესაშიც საჩხერის რაიაღმასკომში მოკალათებულ გადაგვარებულ თანამშრომლების შესახებ, მაგრამ მათ თავიდან მოცილებას არაფერი ეშველა, პირიქით, ისინი უფრო გათავხედდნენ.

1. პირველ ყოვლისა შევეხოთ ძველ ოფიცერს **მიშა გურულს**, რომელმაც მენშევიკების დროს „სახელი გაითქვა" ბოლშევიკებთან ბრძოლით, ამჟამად ის არის რაიაღმასკომის საფინანსო ნაწილის გამგე. იგი ცნობილია, როგორც წმინდა წყლის ბიუროკრატი, უსულო ჩინოვნიკი და ხულიგანი, ავალაპარაკოთ ფაქტები:

ა) წლის მარტში საჩხერის საბ. აპ. წმენდაზე მას დაუმტკიცდა, რომ ელსადგურის მუშას ხელფასის მოთხოვნის დროს მიმართა შემდეგი სიტყვებით—„რა საჭიროა შენთვის აბანო და აბაზანები, წადი მდ. ყვირილაზე და სტუნტრე თავი შიგ"-ო. მუშა-მოსამსახურეებს ეპყრობა უდიერად და ხელფასის გაცემას უგვიანებს თითქმის ყოველ თვე. მაგ., საჩხერის 7 წლედის მასწავლებლებმა უჩივლეს მას იმისათვის, რომ მათ აპრილის თვის ხელფასი მაისის თვის 20 რიცხვებშიაც ვერ მიიღეს. ამ ამბავმა კავშირის ყურადღებაც მიაღწია, მაგრამ ჩვენი „ფინანსისტი" ასე ისტუმრებდა მათ: „ვინ გკითხავთ თქვენ, ეს ჩემი საქმეა, როცა მინდა მაშინ გავცემ ხელფასს"-ო. არ იფიქროს ვინმემ, რომ აღმასკომის თავმჯდომარე არ აწერდეს უწყებებს და განცხადებებს სათანადო რეზოლიუციას, მაგრამ გურული ამბობს: „რა იცის აღმასკომის თავმჯდომარემ, ეს ხომ ჩემი საქმეა". ამის გამო ხშირად გაიგონებთ მუშა-მოსამსახურეების სამართლიან უკმაყოფილებას საფინანსო განყოფილებაში გამეფებულ უწესოების შესახებ და აღმასკომის თავმჯდომარეზედაც, რომ იგი თავის კალთას აფარებს გურულსო.

ა. წ. ივნისის ერთ-ერთ ღამეს ღვინით გარეტიანებული გურული მიდის საჩხერის რკ. გზის სადგურში, სადაც სადგურის უფროსის თანაშემწე ამხ. პ. მოდებაძე აგზავნიდა საქონელს, როდესაც ეს გურულმა დაინახა, იფიქრა, რომ შეიძლებოდა ამ გასაგზავნ საქონელში ყოფილიყო ისეთი რამე, რის გაგზავნაც, მისი აზრით, დაუშვებელი იქნებოდა. ჩხუბის გუნებაზე მოსულმა გურულმა შეუტია მოდებაძეს; როგორ ბედავ უჩემოდ საქონლის გაგზავნას, შეაჩერე ახლავე, თორემ პასუხისგებაში მიგცემო. მოდებაძემ შეატყო, რომ გურული მთვრალი იყო და ხმის ამოუღებლად განაგრძო მუშაობა. ამან კიდევ უფრო გააცეცხლა „შეურაცყოფილი" ოფიცერი და ერთი მაგრად მოუქნია მუჭი მოდებაძეს, მაგრამ რადგან უკანასკნელს დასცილდა, ინერციის ძალით თვითონ გურული გაიშხლართა იატაკზე. ამის შემდეგ დააყენა ერთი ალიაქოთი, რამაც გამოიწვია საქონლის გაგზავნის შეჩერება და 25 წუთით მატარებლის დაგვიანება. ამის გამო სადგურის უფროსმა ხიჩინოვმა გამოუძახა რკინის გზის პოლიტსამმართველოს, მაგრამ მალე შემთხვევით გაჩნდა რაიმილიციის უფროსი, რომელმაც ვერ შესძლო გურულის დაწყნარება და ის „ალბად და დააპატიმრა დიდი კაცის ხათრით, რომელიც მას მფარველობს" (რკინის გზის მუშების სიტყვები).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გურულმა მოლარე ქალი გადმოიყვანა თავის თანაშემწედ. ჯერ ერთი, მოლარეობაც უჭირდა ხსენებულ ქალს, სათანადო კვალიფიკაციის უქონლობის გამო, და ბუღალტრობას როგორ შესძლებს. შემდეგ: დასაშვებია თუ არა საფინანსო ნაწილში ერთად მსახურობდნენ გამგე და თანაშემწე ცოლ-ქმარი (ამბობენ, რომ ეს ქალი გურულმა ცოლად შეირთო). გასაკვირი არ იქნება, თუ აქ რამე ბნელი კომბინაციები მოხდება.

2, თვითონ ეს ახლად გამომცხვარი ბუღალტერი ქალი („ანნა ვისარიონოვნა") დაკავშირებულია ანტისაბჭოთა ელემენტებთან და თავისი ყოფაქცევით ბღალავს საბჭოთა მუშაკის სახელს.

3. შემდეგ დავასახელოთ მსუბუქი კავალერიის და კომკავშირის დაუძინებელი მტერი, შავსიელებსა და საერთოდ ანტისაბჭოთა ელემენტებთან დაკავშირებული **ალექსანდრე ტაბატაძე**.

ა. წლის მარტში საბ. აპ. წმენდაზე მსუბუქმა კავალერიამ დაუმტკიცა მას ფაქტებით, რომ ის არის მეშჩანინი და ბიუროკრატი, რისთვისაც გამწმენდ კომისიის თავმჯდომარემ მოუწოდა მას გამოსწორებისაკენ. მაგრამ გათამამებული მით, რომ დარჩა თავის თანამდებობაზე, ტაბატაძე გაიძახოდა: რა დამაკლეს წმენდაზე, როგორც მინდა, ისე მოვიქცევიო. წმენდამდე ხშირად იყო გაწერილი გაზეთებში, სადაც ბრალს სდებდენ ბიუროკრატიზმში, საქმის გაჭიანურებაში, კორესპონდენტთა დევნაში, ებრაელებისადმი უხეშად მოპყრობაში და სხვა, მაგრამ მაინც გაძვრა, რადგან აღმასკომის თავმჯდომარემ კარგად დაახასიათა: სპეცია და უნდა მოვეფეროთო.

ტაბატაძე არის შოვინისტი და განსაკუთრებით ებრაელების მოძულე. ვერ იტანს მისი „ფაქიზი" ნერვები ებრაელების ახლოს გაჩერებასაც, აი ფაქტი: ებრაელი ქალი თეთრუაშვილისა სთხოვს მდივანს სიღარიბის მოწმობას, რაზედაც იგი ეუბნება: მოიცადე ცოტა ხანს და მოგცემო. ებრაელის ქალიც იცდის, მხოლოდ უხდება გაჩერება ტაბატაძის ახლოს, რაც იწვევს მის მოუსვენრობას. ის მრისხანებით შეყვირებს ქალს, „გაეთრიე, ქალო, გარედ, რავა ჭაჯივით დამყუდებიხარ თავზე"-ო. მოხუცმა ქალმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ წამოდგა „სპეცი", მოკიდა მას ხელი და გარედ გააგდო. ღარიბი ებრაელი ხიხინაშვილი გარედ გააგდო იმავე ტაბატაძემ მხოლოდ იმიტომ, რომ ოთახში „დასცხა" მას.

ჩვენი „სპეცი" მუშკორის მდევნელიცაა. ერთ-ერთ ახკორის დათიკო მაისურაძეს სილა გააწნა, რადგან ამ ახკორმა მის შესახებ შენიშვნა მოათავსა „ახალგაზრდა კომუნისტში".

ზემოდ ჩამოთვლილ პირებს უნდა მივუმატოთ რაიაღმასკომის საქმის მწარმოებელი ქალი გალინა დეკანოსიძე. ადგილობრივი ორგანიზაციები აღმასკომში მის წამოყენების წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ საჩხერის რაიკომის ყოფ. აგიტპროპმა დავით მოდებაძემ მოახერხა მისი გაყვანა.

დეკანოსიძის ქალი შავსიელია, ვაჭრის შვილი და კომუნისტების ბრმა მოძულე, აი მისი სიტყვები: „ოხ, რა უხეში და უსინდისო ხალხია ეს კომუნისტები, თვით არაფერი იციან და ვინც იცის, იმგენს კი არ აყენებენო". უნდა ითქვას, რომ ეს „ქალბატონი" საბ. აპ. წმენდაზე არ გაატარა იმავე მოდებაძემ, რომელიც იყო გამწმენდ კომისიის წევრი. არ გაატარა იმიტომ, რომ იცოდა, თუ როგორ დაახასიათებდენ მას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ პირებს საბჭოთა აპარატში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

ბრაკელი.

ბოროტმოქმედი უნდა აილაგმოს

(სტუდენტთა სასადილო № 2)

პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს აქვს სასადილო № 2, რომლის გამგედ ითვლება ვასო სიხარულიძე. ეს ის სიხარულიძეა, რომელმაც ჯიმკარიანთან ერთად დამზღვევ სალაროდან 1.200 მანეთი გამოიტანა ყალბი საბუთებით, იგი სისხლის სამართლის მილიციას სპარსეთში გაექცა, მაგრამ იქიდან შეპყრობილი ჩამოაბრძანეს თბილისში, სასამართლომ მას მიუსაჯა რვა თვით დაპატიმრება. აქ საკვირველი ის არის, რომ პატიმრობის დროს სიხარულიძე სადამობით მსახურობდა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში და თვეში 200 მანეთს ღებულობდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ეწყობა ხსენებულ სასადილოს გამგედ, 80 მანეთიან ჯამაგირზე.

მაგრამ ასეთი ჯამაგირი მას აბა რას ეყოფა! და იგი ეძებს შემოსავლის სხვა წყაროს. და აი, სიხარულიძე პროლეტსტუდენტთა ბიუროს სახელით მიმართავს უგზავნის „საქსახვაჭრობას", მუშკოოპს და სხვა დაწესებულებებს და იქიდან ვითომდა სტუდენტების საჭიროებისათვის გამოაქვს დეფიციტური საქონელი—თეთრეული, შაქარი, ფქვილი, ბრინჯი და სხვ. ამ საქონელს იგი ჰყიდის კერძო ვაჭარზე, რომელმაც მას სამაგიეროდ „არუჟა" 500 მანეთად ღირებული ოქროს საათი და სამი დღე აქეიფა.

ახლა შეხედეთ ამ სასადილოს შტატს. სიხარულიძე შრომის ბირჟას არ სცნობს. მან სამსახურში მიიღო არაკავშირის წევრები: თავისი სიძე, რომელიც კავშირის წევრად გახადა (შემდეგ გაუშვა), ცოლის ნათესავი, რომელიც აგრეთვე წევრად მიაღებინა (მერე ისიც განთავისუფლა), ვიღაც ქალი ბერტა, თავისი და კატო და, ბოლოს, თავისი „ახლობელი" ქალი ვიღაც ნინო. ამგვარად, სასადილოში შინაური ხალხი მიიღო თანამშრომლებად, ამით იგი „ორ კურდღელს იჭერს": თავისიანებსაც „აპურებს" და ბნელი კომბინაციების წარმოებასაც იადვილებს.

ვასო სიხარულიძეს უყვარს მდიდრულად ცხოვრება. მან შეიძინა: 3 ნიკელის საწოლი, თითო 500 მანეთად, საწერი მაგიდა—300 მანეთად (მაშინ როცა ხელის მოწერა ძლივს იცის), საწერი მაგიდის ძვირფასი მოწყობილობა, „ტუალეტი"—300 მან., „შიფონერკა" 360 მან., ხალიჩები და მრავალი სხვა. ყოველივე ეს 6 თვის განმავლობაში. ამასთან მის ოჯახში ქეიფი ხშირი მოვლენაა. თავისთავად ცხადია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა ბოროტმოქმედებასთან, სახალხო ქონების მითვისებასთან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვასო სიხარულიძეს ასეთი თავგასულობა არ შერჩება და ის მალე საბრალმდებლო სკამზე იქნება წამოსკუპებული.

სტუდენტი.

გამფლანგველი ბუღალტერად

(№ 10 საბ.-საიჯ. კოო. პერატიული ამხ-ბა)

ყოფ. აზნაურ სერგო კლიმიაშვილს ამ რამდენიმე წლის წინად ჰქონდა თბილისში ე. წ. გასტრონომიული მაღაზია-სამიკიტნო. შემდეგ, რაღაც მანქანებით, იგი ეწყობა ამ.-კავკ. რკინის გზების ერთ-ერთი საწყობის გამგედ. აქ მან გაშალა თავისი „ნიჭი". შეუდგა საწყობის ქონების ფლანგვას და მოკლე ხანში მიითვისა რამდენიმე ათასი მანეთი. რევიზიამ აღმოაჩინა გაფლანგვა, კლიმიაშვილი დააპატიმრეს და ჩასვეს სადაც ჯერ არს.

წელიწადნახევრის შემდეგ კლიმიაშვილს ანთავისუფლებენ. მას სურს მოეწყოს სამსახურში, მაგრამ, როგორც გამფლანგველს, არსად ღებულობენ. იგი მაინც გულს არ იტეხს. თავის საკუთარ სახლში მან გახსნა სამზარეულო და შეუდგა სადილებით ვაჭრობას. გადის კიდევ რამდენიმე ხანი და გამფლანგველ კლიმიაშვილს ჩვენ ვხედავთ მოანგარიშედ „სამშენი"-ს ნატახტარის განყოფილებაში. რა გზით მოეწყო ყოფილი მიკიტანი და გამფლანგველი მოანგარიშედ, არავის უწყის. აქ მალე გაუგეს მას კაი კაცობა და გამოაძევეს.

მაგრამ „სამშენი"-დან გამოძევების მეორე დღესვე კლიმიაშვილს ჩვენ ვხედავთ № 19 საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის ბუღალტრად. დღეს აქ განაგრძობს კლიმიაშვილი თავის „მოღვაწეობას" და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხსენებული ამხანაგობა მალე იხილავს ამ „მოღვაწეობის" შედეგს.

გამფლანგველობის გარდა კლიმიაშვილს აქვს სხვა „დადებითი" მხარეებიც. ის სახლის მფლობელია; მას თბილისში (ყიფიანის ქუჩა, № 21) აქვს საკუთარი ორსართულიანი სახლი, რომლის $^{9}/_{10}$ გაქირავებულია. ს. კლიმიაშვილი ფართოდ სარგებლობს სახლის პატრონის უფლებით—მდგმურების აწიოკება, ლანძღვა-გინება, გამუდმებული ჩივილი და დავა სასამართლოში—აი, კლიმიაშვილის ხელობა. კლიმიაშვილი ჰყიდის ბინებს დიდ ფასებში, შემდეგ იწყებს მდგმურების შევიწროვებას, რათა აიძულოს მდგმური დასცალოს ბინა, რომ ეს ბინა ხელმეორედ გაჰყიდოს.

აი, ასეთია № 19 საბ. საიჯ. კოოპ. ამხანაგობის „ბუღალტერი" კლიმიაშვილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამწმენდი კომისია განთავისუფლებს ამხანაგობას ამ ხორცმეტისაგან.

მ. ჩ.

ულირსი პენსიონერი

(ბანძა, სენაკის მაზრა)

ბანძაში დიდი და პატარა ყველა კარგად იცნობს ისლამ ფალავას, როგორც თავაწყვეტილ ავანტიურისტს და ბნელი წარსულის მქონეს.

ჯერ კიდევ 1905 წელში ისშეიარაღდა და რაღაც მახინაციებით წითელ რაზმში ჩაეწერა, იმავე წლის 25 ნოემბერს ბანძის ორგანიზაციამ გადასწყვიტა ადგილობრივი ჩაფრების განიარაღება. ეს გაიგო ფალავამ და წინასწარ აცნობა ჩაფრებს, რომლებსაც სენაკიდან გამოეშველათ დამხმარე ძალები და კარგად მომზადებულიყვნენ დასახვედრად. თვით იმ დღეს ფალავა ხონში გაიპარა, ვინაიდან იცოდა, თუ როგორ მოაწყო საქმე და რა მოხდებოდა. წითელი რაზმელები, ორგანიზაციის დადგენილების თანახმად, თავს დაესხნენ პოლიციას და კიდევაც განაიარაღეს, მაგრამ ამ დროს მას სენაკიდან მოუსწრო დამხმარე ძალამ, და იქვე დახოცეს მაშინდელი ორგანიზაციის საუკეთესო მებრძოლი წევრები—სამი კაცი და რამოდენიმე დასჭრეს.

1907 ან 1908 წელში ფალავა რაღაც ბოროტმოქმედებისათვის ციმბირში გაგზავნეს და იქიდან დაბრუნდა თებერვლის რევოლიუციის დროს, იმ თავიდანვე სათავეში ჩაუდგა მენშევიკურ ორგანიზაციას და საშინლად უსწორდებოდა კომპარტიის წევრობაში ოდნავ შემჩნეულ ამხანაგებს. მერე დაინიშნა ბანძის მენშევიკურ გვარდიის შტაბის თავმჯდომარედ და ვინ მოსთვლის ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს რა უბედურება დაატეხა თავს გლეხობას.

მენშევიკურ ხელისუფლების უკანასკნელ ხანებში, 1921 წლის თებერვალში, გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ისლამ ფალავას განკარგულებით და უშუალო მონაწილეობით დახვრეტილ იქნენ ფრონტიდან დაბრუნებული და თავიანთ სახლებში მიმავალი ჯარის კაცები გოგოშიძე და მაისურაძე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ფალავამ თავი აარიდა ხალხის შურისძიებას და სადღაც გაიპარა. დიდხანს არაფერი სჩანდა მის შესახებ, ხოლო ბოლოს კი მოვიდა ცნობა, რამაც ყველა გააკვირვა და აღაშფოთა. ფალავა მშვენივრად დაბინადრებულა ბორჯომში, სადაც მიუღია მიწა, სახლი და მოუწყვია ჩინებული მეურნეობა. ეს კიდევ არაფერი. მას მოუხერხებია თვიურად 150 მანეთის პენსიის მიღებაც. ასეთი ბნელი წარსულის მქონე, ყოფილი თავადი ისლამ ფალავა ახლა ცხოვრობს განცხრომით.

გასაოცარია—რანაირად ან ვისი დახმარებით გამოიწყო ასე საქმე ფალავამ. ნუ თუ რევოლიუციის ჯალათობისათვის დაიმსახურა მან პენსია? ცხადია, რომ მან ამისათვის დაამზადა ყალბი საბუთები და სხვა ბნელ ხრიკებს მიმართა. ეს საქმე სასწრაფოდ უნდა იქნას გამოკვლეული. ისლამ ფალავას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს.

ვასო.

ინსტრუქციების ენა რკინის გზაზე

არც ერთ უწყებას იმდენი ინსტრუქციები და ბლანკები არ მოეპოვება, რამდენიც რკ. გზას. ამ მხრივ რკ. გზა სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებიდან ყოველთვის განირჩეოდა და იქცევდა ყურადღებას.

საბჭოთა წყობილების დროს რკ. გზის აპარატის ამ არანორმალურობასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება. გზათა სახალხო კომისარიატმა მხოლოდ 1928 წელს მოახერხა ე. წ. „ბლანკებისა და საანგარიშგებო დოკუმენტების" ნომენკლატურის გადათვალიერება, რასაც შედეგად მოჰყვა მათი რიცხვის შემცირება, შინაარსის შემოკლება და აგრეთვე გამარტივება.

ბლანკებს გარდა, რკინის გზის აპარატის მუშაობის დედა-ბოძია სხვადასხვაგვარი ინსტრუქციები, დებულებები, წესები, ბრძანებები, ხელშეკრულებები, ე. ი. ყოველივე ის, რაც იბეჭდება ან რის გამრავლებაც სხვაგვარი წესით ხდება.

ინსტრუქციების გამარტივება და გადაკეთება უნდა მომხდარიყო საერთოდ ანგარიშგების ფორმის შეცვლასთან ერთად. მაგრამ ეს პარალელური ცვლილება ერთბაშად არ ხდება. ესა თუ ის ინსტრუქცია იცვლება, ჩვენ ამას ვხედავთ, მაგრამ ხდება თუ არა მისი გამარტივება, არქაიული ფორმებისა და გამოთქმების თანამედროვეობასთან შეფარდებული ენით გამოხატვა? ეს არ ხდება, ამას ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებთ.

რკინის გზის ინსტრუქციების ენა ძველებურია, ძველი სპეცების ცხური კარჩაკეტულობის გამომხატველია. ამ ინსტრუქციების ენა გაუგებარია მუშებისა და მოსამსახურეთათვის, ის აშკარა მწიგნობრულია და ატარებს ტენდენციას, რომ თითქოს ტეხნიკური აზრის სხვაგვარად გამოთქმა მისი მაღალი ღირსების დამცირებას მოასწავებდეს.

მაგალითებისათვის შორს არ წავალთ. აიღეთ სალიანდაგო განყოფილების რომელიმე ინსტრუქცია და ამაში ნათლად დარწმუნდებით. ექსპლოატაციის დარგის მთავარ და უმცროს კონდუქტორების ინსტრუქციაში არის ადგილები, რომელთა გაგებას კონდუქტორები ვერ შესძლებენ, განსაკუთრებით იქ, სადაც ლაპარაკია მანევრების წარმოებაზე. ესევე ითქმის ელექტრო-ტეხნიკის განყოფილების ინსტრუქციებზედაც.

ხდება აპარატის წმენდა, ჩატარდა მისი რეორგანიზაცია, განყოფილებებმა გააკეთეს საანგარიშო მოხსენებები მუშათა ბრიგადების თანდასწრებით, მაგრამ არავის თავშიაც არ მოსვლია ამ საკითხის წამოყენება.

ტეხნიკა ფართო მასისათვის—ეს ლოზუნგი ჯერ კიდევ დიდ ბრძოლას მოითხოვს, რომ დაიმკვიდროს თავისი უფლება. რკინის გზის „ქაღალდთა სამეფოს" დარგშიაც უნდა შევიტანოს რაციონალიზატორულ ღონისძიებათა ნაკადი და მოხდეს მწიგნობრული და გაუგებარი „სიტყვიერების" ხალხური და პოპულარული ენით გამოხატვა. რკინის გზის ხელმძღვანელო ისე უნდა იწერებოდეს, რომ ის გაიგოს მისმა წამკითხველმა აგენტმა, ვისთვისაც ის იწერება, და აგრეთვე ყველა სხვა დარგის აგენტებმაც.

მეთვალყურე.

საქმის გაჭიანურების ნიმუში

(ბათომის ფ.-ტელეგ. კანტორა)

ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ყოფილ ხელმძღვანელების უხეირობასა და უთავბოლობაზე (გადახარჯვებზე და სხვ.) გაზეთებში ბევრი დაიწერა. სათანადო ორგანოებმა მიიღეს ზომები და ყოფილი გამგე და მისი თანაშემწე განთავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან, პასუხისგებაში მიცემით.

ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას მოევლინა ახალი გამგე ვინმე კავჟარაძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ დაწესებულების აბნეულ მდგომარეობის მოგვარება და გადახარჯვების დაფარვა. მაგრამ მან უფრო არია საქმე. ჩამოსვლისთანავე კავჟარაძე შეუდგა დამნაშავე თუ უდანაშაულო თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნას. ამით ის თითქო მიზნად ისახავდა ყოფილი გამგის მიერ გაწეული გადახარჯვების ასანაზღაურებლად მომუშავეების გაწევას, მაგრამ გამოვიდა წინააღმდეგი: ჯერ ერთი, თანამშრომლები მან დაითხოვა წინასწარ გაუფრთხილებლად, რამაც ზედმეტი ხარჯები გამოიწვია, შემდეგ—უმიზეზოდ მოხსნილი თანამშრომელთაგან ზოგიერთები ისევ უკან იქნენ მიღებული სამსახურში. ამასთან ახალმა გამგემ ძმა-ბიჭურად ისე მოაწყო საქმე, რომ ზოგიერთი თანამშრომლები პროვინციიდან გადმოიყვანა ბათომში და ბათომიდან პროვინციაში, და ამაზედაც დაიხარჯა საგრძნობი თანხა. თვით კავჟარაძემ ამ ორნახევარ თვის განმავლობაში ხელფასად და დღიურები აიღო 2.250 მანეთი. ამას დაუმატეთ მის მიერ ჩამოყვანილი ორი რაციონალიზატორზე გაწეული ხარჯი 1.200 მანეთი, რომელიც ამ უკანასკნელებმა ჩაუშვეს ჯიბეში სრულიად უშრომლად. ყოველივე ამის შედეგად გადახარჯვა ამჟამად უდრის 22.000 მანეთს.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კომუჯრედის მდივნის [illegible] მოქმედებაც. როგორ უყურებდა ის ამ მტაცებლობას და უგეგმო მუშაობას? [illegible] აქლემისებური მოთმინებით ყველაფერზე ეთანხმებოდა ყოფილ ადმინისტრაციას და ფარავდა მის უხეირობას. მხოლოდ ახლა, დაგვიანებით აგინებს ძველ ადმინისტრაციას. საკვირველია, რატომ არ აღიმაღლა ხმა თავის დროზე? ეს კიდევ ცოტაა: ის არაფერს ამბობს ახალ ადმინისტრაციაზე, თუმცა ამჟამად არანაკლებ უმსგავსოებას და დანაშაულებრივ ხელგაშლილობას აქვს ადგილი. ასეთი პარტმუშაკი არაფრად ვარგა.

ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში შექმნილ მდგომარეობას ისევ უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

კავალერისტი.

კოლექტივის დაშლა სურს

(სოფ. ჭალა, ოზურგეთის მაზრა)

1930 წლის იანვარში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო არტელი „პირველი მერცხალი", რომელიც აერთიანებს 26 ღარიბ გლეხს. არტელში შემოძვრა ყოფ. მენშევიკი, მენშევიკური გვარდიის წევრი ივანე სიხარულიძე, რომელიც კოლმეურნეობის შიგნით დამრღვეველ მუშაობას აწარმოებს და ებრძვის კოლმეურნე გლეხებს.

მან შარი მოსდო კოლექტივის წევრს, კომკავშირელს—ინარაძეს, რომელიც იძულებული გახდა არტელში მუშაობისათვის თავი გაენებებინა. მან გალახვა მოუნდომა კომკავშირელ ალ. ასათიანს, მაგრამ გლეხობამ ხელი შეუშალა. ხშირად ლანძღავს და აგინებს კოლექტივის წევრებს და სხვ.

სიხარულიძე არ ემორჩილება გამგეობის და საბჭოს გადაწყვეტილებებს. მაგ., ა.-წ. 5 მარტს კოლექტივს, თანახმად კრების დადგენილებისა, უნდა დაემუშავებია ინარაძის ყანა, სიხარულიძემ კი მოინდომა პირველად თავისი ყანის დამუშავება. ამაზე არტელის წევრები არ დასთანხმდნენ, რის გამო მან მათ თვითნებებს და ჯიუტ ხალხი უწოდა. ამასთან დაკავშირებით მთელი დღე გაცდენილ იქნა.

სიხარულიძე სიმინდის განაწილების დროს შეძლებულებს იცავს და ღარიბებს ეუბნება: „შენ რომ სიმინდი მოგცე, დაგიკარგება [illegible], რადგან შენ სად გაქვს ფული, რომ გადაიხადო"-ო. სიმინდი დაურიგა შეძლებულებს: სურგულაძეს და აბულაძეს.

ხშირად ივანე სიხარულიძე აშინებს გლეხობას; მაგ., გლეხობა თავისი სურვილით უნდა გასულიყო სამუშაოდ ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სიხარულიძემ კი ჩამოუარა სოფელში გლეხობას, ძალით მოაწერინა ხელი და ემუქრებოდა: თუ არ იმუშავებთ, ციმბირში გადაგასახლებენო.

სიხარულიძეს [illegible] ეჯავრება პარტიისა და კომკავშირის წევრები და [illegible] ინტრიგას უწყობს მათ.

მისი „საქმიანობა" არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული პრესაში, რის გამო მან 15 დეკემბერს ჭალის კოოპერატივში გალახვა მოუნდომა გლეხკორს.

კოლექტივის კრებებზე ხშირად ისმება საკითხი ივანე სიხარულიძის შესახებ, რომელსაც მუდამ დღე ჩხუბი აქვს კოლექტივის წევრებთან, და კოლექტივი სიხარულიძის მიერ მოწყობილი ინტრიგების გამორკვევას უნდება. ყოველივე ეს კარგად მოეხსენება ადგილობრივ თემსაბჭოს და კოლმეურნეობათა კავშირს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. სიხარულიძეს კოლექტივის დაშლა სურს, ის კლასიური მტრების აგენტია. მოვითხოვთ მის გარიცხვას არტელიდან.

არტელის ათი წევრი.

მოუწესრიგებელი სასადილო

როდესაც სახალხო კვების შემოწმება მიმდინარეობდა, რატომღაც არავის მიუქცევია ყურადღება მუშკოოპის № 16 სასადილოსთვის (სასტ. „ორიანტთან") ეს სასადილო სამი წელია, რაც გაიხსნა, მაგრამ დღემდე არ არის წესიერად დაყენებული.

გასულ წელს ხსენებულ სასადილოში გადაკეთეს ღუმელი, რაც დაჯდა ოთხი ათასი მან. ღუმელი რამოდენიმე თვის შემდეგ ისევ ჩაინგრა და ორჯერ კიდევ იქნა შეკეთებული, რაზედაც დამატებით დაიხარჯა საგრძნობი თანხა, მაგრამ დღეს ისევ გადასაკეთებელია.

მთელი წლის განმავლობაში უყურადღებობით შეფერხებული იყო ცხელი წყლის მომარაგება, რაც აფერხებდა ნორმალურ მუშაობას. ეს საქმე დღესაც მოუწესრიგებელია.

ამ რამოდენიმე თვის წინად სასადილოსთან, შიგ ბუფეტში, გახსნეს სიჩაიე და ამისთვის მოაწყვეს ელექტრონის ფირები. ამაზე დაიხარჯა ასეული მანეთები. ერთი კვირის შემდეგ ფირები გააუქმეს. შემდეგ დადგეს „ქეროსინკები", რომლენიც ხშირად ბოლავენ და მთელ სასადილოს აჭუჭყიანებენ.

სასადილოს აქვს ყოფ. მოიჯარადრისაგან დარჩენილი უცნაური სკამები, რომელთა შეკეთებაზე, თითქმის ყოველ თვე, იხარჯება 30-40 მანეთი. ამ შეკეთებაზე გაღებული ფულით შეიძლებოდა ახალი სკამების ყიდვა.

მთელი წლების განმავლობაში გვიკლებდენ ქუჩის „ავარები", იტაცებდენ როგორც საჭმელს, ისე ინვენტარს. მაგრამ ამის წინააღმდეგ არავითარი ზომა არ ყოფილა მიღებული. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ მათ მიერ ამ ერთი თვის წინედ გატეხილ იქნა ოთხას მან. ღირებული კარის შუშა.

მუშკოოპის გამგეობას ამ სასადილოსათვის ჰყავს დაქირავებული ექიმი, რომელიც ტყუილად იღებს ჯამაგირს, რადგან ის კვირაში ერთხელაც არ შემოივლის სასადილოში.

სასადილოში არის ორი მოლარე, რომელთაც სამუშაო არაფერი აქვთ, რადგან თვით საჭმლის მიმტანნი იღებენ ფულს მუშაობის გათავებამდე, შემდეგ ფულს აბარებს გამგეს, რომელსაც მიაქვს გამგეობაში.

ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა მოსადილეთა რიცხვი. მიმტანლები ძალზე არიან დატვირთული და მომხმარებლებს უხდებათ ლოდინი, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ამასთან მოსადილეთა სიმრავლით სარგებლობენ ზოგიერთები და იპარებიან სადილის ფულის გადაუხდელად. დანაკლისს მიმტანლებს ახდევინებენ.

ამ ნაკლოვანებებზე მივაქცევთ სათანადო ორგანოების ყურადღებას. მათ აღმოსაფხვრელად დროზე ახლა მაინც უნდა მიიღონ ზომები.

ისარი.

ტყიბულის მუშკოოპის გარშემო

„კომუნისტი"-ს 24 ივნისის №-ში ჩვენ ვკითხულობთ საკმაოდ ვრცელ წერილს ტყიბულის მუშკოოპის მუშაობაზე. წერილი წარმოადგენს ხსენებულ მუშკოოპზე მსუბუქი კავალერიის „თავდასხმის" შედეგების გადმოცემას.

რომ მსუბუქმა კავალერიამ საკმაოდ საგულისხმო ნაკლოვანებები აღმოაჩინა ტყიბულის მუშკოოპის მუშაობაში და მიუთითა მათ გამოსწორებაზე, ეს უდაოა, მაგრამ, ამასთან ერთად, ზოგიერთი ფაქტები აშკარად დამახინჯებულია, ან ზერელედაა შეფასებული და აქედან დასკვნაც ასეთივეა გამოტანილი.

„წერილში ლაპარაკია, რომ ცეკავშირის ინსტრუქტორს ღიბრაძეს თვითკრიტიკა არ მოსწონს. ნამდვილად კი ღიბრაძე ხელს უწყობს თვითკრიტიკის გაშლას და თავის მუშაობას მთლიანად ამაზე ამყარებს, მაგრამ იგივე ღიბრაძე ებრძვის კოოპერაციის საქმეში უთავბოლო ჩარევას და მის მმართველ და საკონტროლო ორგანოების აბუჩად აგდებას. როდესაც მსუბუქი კავალერია მოუმზადებლად და უგეგმოდ თავს ესხმის მთელ მუშკოოპის აპარატს, უშუალოდ ბეჭდავს წინა დღით მაღაზიებს და შემდეგ უდგება მათ აღწერას. მთელი აპარატი განცვიფრებულია, მაგრამ ვინ რას იტყოდა,—ამას ხომ ბოროტების მიმჩქმალველად ჩაითვლიდნენ (გამგეობის განცხადება). შეუდგენ აღწერას. მაგრამ ზოგიერთი მაღაზია 4-6 და 7 დღეც იყო დაკეტილი. ზარალს რომ თავი დავანებოთ, წევრების უკმაყოფილება? ეს კიდევ არაფერი: მსუბუქი კავალერიის წევრებმა მოასწრეს „თავდასხმის ხარჯებში" 60 მანეთის სალაროდან გატანაც. ასეთი მოქმედების წინააღმდეგ მე მართლაც გავილაშქრე. ამაზე მე ვილაპარაკე ადგილობრივ პარტიის რაიონულ კომიტეტს, რომელმაც აღმითქვა ყოველგვარი დახმარება და შედეგებისათვის გამოსწორება. ნუთუ ეს არის თვითკრიტიკის ჩახშობა?

უთუო ფაქტი: მსუბუქმა კავალერიამ მხოლოდ საბუთს გადაავლო თვალი, მას არ [illegible] ჯამაგირის ანგარიშში 15 მანეთის გამოცემის ხელწერილი კი. მხოლოდ 42.000 მან. დებიტორთა დავალიანება რატომ? ვფიქრობ, რომ დებიტორთა სიაში მსუბუქი კავალერიის წევრებმა თავიანთი თავიც დაინახეს და ამიტომ 42.000 მანეთის თვალი აარიდეს.

ყოველივე ეს გამუქებულ იქნა ტყიბულის რაიონულ პარტიის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე და პრეზიდიუმმა შესაფერი დადგენილება გამოიტანა ასეთი „თავდასხმის" წინააღმდეგ.

ცეკავშირის ინსტრუქტორი ქუთაისის ოლქში: ა. ღიბრაძე.

გამოძახილი წერილებზე

ბრალდებები არ დადასტურდა

ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო შენიშვნა, სადაც თბ. მილიციის მე-4-ე რაიონის უფროსის მოადგილის აკ. დათუაშვილის წინააღმდეგ წამოყენებული იყო სხვადასხვა ბრალდებები. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან სჩანს, ეს ბრალდებები სინამდვილეს არ შეეფერებიან.

ავიაციის თავდადებული მუშაკი

მიმდინარე წლის ივლისში შესრულდა 20 წელი, რაც ავიაციის დარგში მუშაობას შეუდგა ამ საქმის იშვიათი ენტუზიასტი და პიონერი, უძველესი ავიატორი ბესარიონ ქებურია. საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს ამ ერთად-ერთ იშვიათ იუბილეს, რომელიც დიდი ყურადღების ღირსია.

ჩვენ მრავალი დამსახურებული ადამიანი მოგვეპოვება მეცნიერების, ხელოვნებისა და სხვა დარგებში, მაგრამ ისეთ ახალ და თანაც საშიშარ დარგში, როგორიც ავიაცია არის, ისიც ასეთ ხანაში შესული და სტაჟიანი ავიატორი საბჭოთა ავიაციას მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ჰყავს — ერთ-ერთი მათგანი არის ქებურია.

ამხ. ქებურია გაიტაცა ავიაციამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ავიაციის მოღვაწეები, მსოფლიოს მასშტაბით, რამდენიმე კაცს უდრიდა.

ავიაციის დარგში ოცი წლის პრაქტიკული სამსახური — ეს თითქმის თვით ავიაციის მთელი ისტორიაა.

ჯერ კიდევ 1909 წელს თბილისელებმა იხილეს ბ. ქებურიას ჰაერში ნავარდი საბურთალოს მთებიდან საკუთარი კონსტრუქციის ბამბუკის პლანერზე.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ცნობილი მფრინავი ბლერიო გადაფრინდა ლამანშზე, ბ. ქებურიამ მიატოვა პლანერი და გაემგზავრა პარიზში, რომ იქ შეესწავლოს თეორეტიულად და პრაქტიკულად საფრანგეთის ავიაციის მიღწევები.

მან ისე წარმატებით დაამთავრა სკოლა „ბლერიო“, რომ აპარატის არც ერთი ნაწილი არ გაუტეხია, რაც იმ დროს მოწაფის უნარიანობის მაჩვენებელ ნიშნად ითვლებოდა.

საფრანგეთიდან ბ. ქებურია ბრუნდება ბლერიოს აპარატით და აწყობს მთელ რიგ საუცხოვო ფრენას ვარშავაში, კიევში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ყაზანში, სარატოვში, ასტრახანში, ბაქოსა და თბილისში. თბილისში მას მოსდის მთელი რიგი მარცხი იმის გამო, რომ მეტისმეტად გაცვეთილი აღმოჩნდა მოტორი და მოხდა ბლერიოს აპარატის დეფორმაცია.

მაშინ ბ. ქებურია უარს ამბობს ბლერიოს აპარატის ხმარებაზე და იშვიათი შეუპოვრობითა და დაჟინებით შეუდგება საკუთარი კონსტრუქციის ჰაეროპლანის შენებას, ისეთი აპარატის, რომელიც სრულიად განირჩეოდა მაშინ არსებულ ყველა აპარატებისაგან, როგორც თავის აეროდინამიური თვისებებით, ისე თავის სილამაზის, სიმსუბუქისა და ადვილი ფრენის მხრივ.

1910 წელს ეს იყო რუსეთში პირველად აგებული ჰაეროპლანი, რომლითაც მან მოაწყო მთელი რიგი მოხდენილი საჩვენებელი ფრენა თბილისში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში და დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ქალაქებში.

ასეთია ბ. ქებურიას დამსახურება ავიაციის წინაშე.

იმპერიალისტური ომის დროს ბ. ქებურია მობილიზაციის წესით გაწვეული იყო ოსმალეთის ფრონტზე, სადაც განაგებდა კავკასიის აეიორაზმის ტექნიკურ ნაწილს.

ომის დამთავრების შემდეგ, როცა დაბრუნდა ფრონტიდან, მან წინადადება მისცა მენშევიკურ მთავრობას ამიერ - კავკასიაში საჰაერო მიმოსვლის მოწყობის შესახებ, მაგრამ უარი მიიღო და ამიტომ ხელი მიჰყო მეცნიერული ავიაციის შესწავლას.

ამიერ - კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბ. ქებურია იყო ერთი თავგამოდებული დამცველთაგანი „ამიერკავკასიის საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის“, რომლის გამგეობის წევრადაც იქნა ის არჩეული. განსაკუთრებით დიდი ენერგია გამოიჩინა ბ. ქებურიამ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების დაარსებაში, სადაც მან მრავალ რიცხოვან ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვის საშუალებით საბჭოთა ავიაციის განვითარების მნიშვნელობის შესახებ აღეული ათასობით წევრი შესძინა ამ საზოგადოებას.

ავიაციის დარგში დაუღალავ თავგანწირულ მოღვაწეობის აღსანიშნავად ბ. ქებურიას სათანადო ორგანოები უმართავენ იუბილეს.

ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ცაკის წინაშე ბ. ქებურიასათვის დამსახურებული მფრინავის სახელის მინიჭების შესახებ.

ცვალებადელთა საერთო შეკრება

ამჟამად მეორე ქართ. საარტილერიო ლეგიონი ემზადება ლეგიონზე მიწერილ ცვალებად შემადგენლობის მორიგ საერთო ტერშეკრებისათვის.

ლეგიონზე მიწერილი ყველა უფროსი და საშუალო ცვალებადი მეთაურები შეკრების გასავლელად უნდა გამოცხადდნენ ლეგიონის შტაბში (თბილისში) ა. წ. 6 აგვისტოს დილის 8 საათზე.

მეორე ქართ. დივიზიის არტპარკზე მიწერილი ცვალებადი უფროსი, საშუალო და უმცროსი შემადგენლობა უნდა გამოცხადდეს შეკრებისათვის არტლეგიონის შტაბში (ცეტკინის ქ. №119) 18 აგვისტოს დილის 8 საათზე.

ლეგიონზე და დივიზიის არტპარკზე მიწერილ მთელ ცვალებად რიგის შემადგენლობას, (წითელ არმიელები) დაბადებულთ 1903, 1904, 1905 და 1906 წლებში, ევალებათ გამოცხადდნენ საერთო შეკრების გასავლელად ქვემოდ ნაჩვენებ შესაკრებ პუნქტებში: თბილისის რაიონი, ცეტკინის ქ. № 119, 19 აგვისტოს დილის 7 საათზე; ქუთაისის რაიონი, ქუთაისი, არხის ქ. წვევამდელთა მზადების პუნქტი—18 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე; ხონის რაიონი, ხონის წვევამდ. პუნქტი.—17 აგვისტოს საღამოს 7 საათზე და სამტრედიის რაიონი, ქალაქის კლუბში, 18 აგვისტოს, დილის 9 საათზე.

ლეგიონის მთელი ცვალებადი შემადგენლობის პარტიის წევრები და კანდიდატები უნდა გამოცხადდნენ ლეგიონის შტაბში (თბილისში) 15 აგვისტოს დილის 8 საათზე.

17 და 18 აგვისტოს გამოცხადებულებმა უნდა იქონიონ თან ერთი დღის საგზალი.

ტერ-რწმუნებულებს ევალებათ მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ადგილი არ ექნეს დეზერტირობას და შეკრება უზრუნველყოფილი იქნეს სრულ ასი პროცენტით.

გამოვიდა და ურიგდება ხელისმომწერლებს
ჟურნალი
ბოლშევიკი
№ 4
შემდეგი შინაარსით:
1. მე XVI ყრილობა—მეთაური; 2. ე. ბედია პარტგანათლების ამოცანები საქართველოში; 3. გ. ხარუხანოვი—საკოლმეურნეო მოძრაობის ნაკლოვანებანი; 4. პ. აფხაძე—სახალხო განათლების სისტემის შესახებ სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში; 5. ქ. გორდელაძე—ტროცკიზმის მეთოდოლოგიის საფუძვლები. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 6. შ. დუდუჩავა დიალექტიური მეთოდოლოგიის დასაცავად.

საბჭოთა მეურნეობები ქალაქების მიდამოებში

როგორც ირკვევა, წელს ამიერ - კავკასიის ქალაქების მიდამოებში საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გეგმა შესრულდება მხოლოდ 55-60 პროცენტით. გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ამ მეურნეობებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის მეტად გაჭიანურება და საშენებელი მასალის მიწოდების მოუგვარებლობა. მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ქალაქის მიდამოების საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა მტკიცე ნიადაგზე შესდგა.

აზერბეიჯანში, ბაქოს ცენტრალურმა მუშკოოპმა უკვე მოაწყო ბოსტანი 372 ჰექტარზე. 7 სარძეო ფერმა 400 ძროხით და მეღორეობის მეურნეობა 2.580 ნასუქი ღორით.

საქართველოში დაიწყო დიდი მუშაობა სოღანლუღის საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად 5.200 ჰექტარზე. იქვე ეწყობა საძროხე 1.200 ძროხისათვის. ამ მეურნეობაში წელს ბოსტანი უნდა გაეშენებიათ 400 ჰექტარზე, მაგრამ ნაკვეთების გამოყოფის დიდად გაჭიანურების გამო ვეღარ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, მუშკოოპმა გლეხებთან კონტრაქტაცია მაინც დასდო 212 ჰექტარ ბოსტანზე. მუშკოოპს ჯერ-ჯერობით შეძენილი ჰყავს მხოლოდ 100 სული ძროხა და 811 ნასუქი ღორი.

ქუთაისის მუშკოოპს აქვს ფერმა 150 ძროხით და 200 ჰექტარი ბოსტანით. ბორჯომში დიდის დაგვიანებით დაიწყო სარძეო ფერმის მშენებლობა 100 სული ძროხისათვის.

სომხეთში ქალაქების მიდამოებში საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გეგმა შესრულებულ იქნა გადაჭარბებით. „აიკოპ“-ს წელს უნდა ჰქონოდა 103 ჰექტარი ბოსტანი, ფაქტიურად აქვს 118 ჰექტარი. რაც შეეხება სარძეო მეურნეობების მოწყობას, ამ საქმეს შეუდგნენ დიდი დაგვიანებით, რის გამოც მხოლოდ 1 ფერმა მოაწყვეს 100 მეწველი ძროხით.

ახალ სამეურნეო წელიწადს ქალაქის მიდამოების საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა დაჩქარებული ტემპით უნდა წავიდეს. ამ მშენებლობის საჭიროებათათვის გადადებულია 15 მილიონი მანეთი. გასულ წელს კი 6 მილიონი მანეთი იყო გადადებული. ეს თანხა საგრძნობლად წასწევს წინ ქალაქის მიდამოების საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას. ბაქოს ცენტრალური მუშათა კოოპერატივი მეწველი ძროხების რაოდენობას 3.200-მდე აიყვანს, წლის განმავლობაში გასუქებული იქნება 14.000 ღორი, ბოსტნის სივრცე აყვანილი იქნება 1.000 ჰექტარამდე. გარდა ამისა, განჯაში და კასპიის სანაოსნო საზოგადოების განკარგულებაში მყოფი ბოსტნების სივრცე აყვანილი იქნება 100 ჰექტარამდე.

კუბაში ეწყობა დიდი მეფრინველეობის მეურნეობა 10.000 ფრთა ფრინველით, რომლებიც წლიურად 100.000-მდე წიწილას მოიცემიან.

საქართველოში ახალი საბჭოთა მეურნეობები მოეწყობა ბათომსა და სოხუმში. თითოეულ ამ მეურნეობას ეყოლება 100 სული მეწველი ძროხა.

ქუთაისში მეწველი ძროხების რაოდენობა აყვანილი იქნება 200-მდე, ხოლო ბორჯომში —150-მდე.

თბილისის და ქუთაისის საბჭოთა მეურნეობებში გაძლიერდება მეღორეობა და მეფრინველეობა (თითოეულ მეურნეობას ყოველწლიურად ეყოლება 5.000-მდე ნასუქი ღორი და 80.000-მდე ფრთა წიწილა).

სომხეთში, ლენინაკანში ეწყობა ახალი საბჭოთა მეურნეობა 200 სული მეწველი ძროხით. ერევნის მეურნეობაში ბოსტნების სივრცე აყვანილი იქნება 250 ჰექტარამდე, ხოლო მეწველი ძროხების რაოდენობა — 350-მდე.

გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებში დაიწყება შინაური კურდღლის მოშენება (ადს).

მუშკოოპის მშენებლობის საკონტროლო ციფრები

თბილისის მუშკოოპმა შეიმუშავა კაპიტალური მშენებლობის საკონტროლო ციფრები 1930-31 წლისათვის.

საკონტროლო ციფრების მიხედვით საანგარიშო წლის განმავლობაში კაპიტალურ მშენებლობაზე მუშკოოპმა უნდა დახარჯოს სულ 13.967.000 მანეთი. აქედან სავაჭრო წერტების გაფართოებაზე, საწყობების მშენებლობაზე და სხვ. დაიხარჯება 2.079.000 მანეთი; საწარმოოთა მშენებლობაზე (ფაბრიკა-სამზარეულოები, პურის ქარხნები და სხვა) დაიხარჯება—5.301.000 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო ბაზის შექმნაზე (საბჭოთა მეურნეობანი—5.635.000 მანეთი და კულტმუშაობაზე—400.000 მანეთი.

სამრეწველო საქონელი პურის დამზადებისათვის

25 ივლისისათვის პურის დამმზადებელ რაიონებში შეტანილ იქნა: აზერბეიჯანში — 788.000 მანეთის, სომხეთში — 208.000 მანეთის და საქართველოში — 375.000 მანეთის სამრეწველო საქონელი. ამრიგად, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში პურის დამამზადებელი რაიონები სავსებით უზრუნველყოფილი არიან სამრეწველო საქონლით. (ადს).

ასვლა თეთნულდის მწვერვალზე

1-ლ ივლისს, თეთნულდის მწვერვალზე ასასვლელათ თბილისიდან სვანეთისაკენ გაემგზავრენ გასულ წელს თეთნულდის მწვერვალზე ასვლის დროს დაღუპულ სიმონ ჯაფარიძის და-ძმა — **ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები** და მთამსვლელობის ცნობილი მცოდნე და გამოცდილი მეგზური **იაგორ კაზალიკაშვილი.**

თბილისიდან გამგზავრების წინ მათ შეიმუშავეს შემდეგი მარშრუტი: თბილისი - ქუთაისი - ცაგერი - ლატფარის გადასავალი - სოფ. ადიში და შემდეგ მწვერვალი. სოფ. ადიშში მათ შეუერთდნენ ის სვანები, რომელნიც გასულ წელს ეძებდნენ დაღუპულ სიმონ ჯაფარიძის და პიმენ დვალის ნეშტებს.

11 ივლისს სოფ. ადიშიდან მწვერვალზე ასასვლელად გაემგზავრენ — ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, იაგორ კაზალიკაშვილი, გოჯი ზურეშიანი, რომანოს ავალიანი და ადსილ ავალიანი. იმ დღეს ცუდი ამინდის გამო მათ ვერ მოახერხეს მწვერვალზე ასვლა. 12 ივლისს მწვერვალზე ასასვლელად გაემგზავრა მარტო ალიოშა ჯაფარიძე, რომელმაც მწვერვალს მიაღწია ნაშუადღევს. ალიოშა ჯაფარიძის ასვლას მწვერვალზე სოფ. ადიშიდან დურბინდებით თვალყურს ადევნებდნენ სვლის დანარჩენი მონაწილეები.

14 ივლისს იაგორა კაზალიკაშვილის წინადადებით მწვერვალზე ხელახლა ასასვლელათ გაემგზავრენ — ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, თვით იაგორ კაზალიკაშვილი და სვანი ადსილ ავალიანი. კარგმა ამინდმა მათ ხელი შეუწყო და ნაშუადღევს 3 ნახევარ საათზე ყველანი მწვერვალზე იყვნენ. მწვერვალზე მათ დაჰყვეს 50 წუთი. ამ დროის განმავლობაში გაზომილ იქნა მწვერვალის თართობი, გადაიღეს სურათები და გააკეთეს ასვლის დამადასტურებელი ნიშანი.

კავკასიონის მწვერვალებს შორის — თეთნულდი ყველაზე უფრო სახიფათო და მრისხანე მწვერვალია. მასზე ასვლა თავის თავად ძნელი არაა, მაგრამ საკმაოა ერთი ნაბიჯი ცუდათ გადასდგას კაცმა, რომ დაიღუპოს. ამიტომ ის, ვინც თეთნულდზე ასვლას მოინდომებს, უნდა დაემყაროს მხოლოდ საკუთარ ძალებს და გამოცდილებას.

თეთნულდის თავისებურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ფეხის დაცემის შემთხვევაში არ არსებობს თავის შეკავების არავითარი საშუალება. თეთნულდის მწვერვალზე ამსვლელი განწირულია იმ შემთხვევაშიაც, თუ იგი გზაში ავათგახდა ე.წ. მთის ავადმყოფობით. ავადმყოფის ჩამოყვანა იქიდან შეუძლებელია.

თეთნულდის მწვერვალზე მხოლოდ მეორეთ შესდგა ადამიანმა ფეხი. პირველად მწვერვალზე ავიდა ცნობილი ინგლისელი ალპინისტი ფრეშფილდი (არჩეულია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრათ). ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილი იყო, თითქოს თეთნულდის მწვერვალი წარმოადგენდა სამწახნაგოვან პირამიდას, სადაც დადგომა შეეძლო მხოლოდ რამოდენიმე კაცს.

უკანასკნელი ასვლის დროს კი აღმოჩნდა, რომ მწვერვალი წარმოადგენს ოთხ წახნაგოვან წაკვეთილ პირამიდას, რომელიც შეიცავს 40 მეტრის სიგრძის და სამი მეტრის სიგანის ფართობს. მწვერვალზე ერთდროულად დადგომა შეუძლია ასამდე კაცს. სიმაღლის გამზომი აპარატის ჩვენებით მწვერვალის სიმაღლე უდრის არა 4.855 მეტრს, არამედ 4.900 მეტრს.

მწვერვალის ქვემოთ აღმოჩენილ იქნა გამოქვაბული ადგილი, სადაც შეიძლება ღამის გათევა. გამოქვაბულს უწოდეს „სიმონ ჯაფარიძის სახელობის თავშესაფარი“.

ამჟამად, თეთნულდის მწვერვალზე ასასვლელად წასულია საქ. გეოგრაფიული საზოგადოების ალპინისტური ექსპედიცია.

დ. ლ.

პურის სპეკულიაციის წინააღმდეგ

დადგენილება № 13

თბილისში საჭაპანო საშუალებით ხორბლისა და ქერის შემოზიდვისა და შემოტანის აკრძალვის შესახებ

ამიერ - კავკასიის ცაკის 1924 წლის 26 ივლისის დადგენილების მუხ. 13-ის პუნ. „მ“-ის თანახმად „ა.-კ. ს.ფ.ს.რ.-ის შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა კერძო პირთ, მათ შორის გლეხებსაც, შემოზიდვა და შემოტანა საჭაპანო საშუალებით თბილისში 5 ფუთზე მეტი ხორბლისა და ქერის — როგორც თავის საჭიროებისათვის, ისე გასაყიდათაც.
2. თბილისის საოლქო აღმასკომის სავაჭრო განყოფილებას ევალება იქონიოს ფხიზელი მეთვალყურეობა ამ დადგენილების შესრულებისათვის.
3. ამ დადგენილების დამრღვევი პირი დაჯარიმებული იქნება ადმინისტრატიული წესით 100 მანეთამდე, ან მიეცემა მას იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე, ხოლო თუ განმეორებით იქნება ჩადენილი — პასუხისგებაში იქნება მიცემული თანახმად ს.ს.ს.რ.-ის სისხლ. სამართ. კოდექსის მე-3 მუხლისა.

საქ. საბჭოთა სოც. რესპ. ვაჭრობის სახალხო კომისარი **ელერდაშვილი.**
საქმეთა მმართველი **დოლიძე.**

ხრამის ჰიდრო-ელსადგური

ა.-კ. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მოიწონა მდინარე ხრამზე ჰიდრო-ცენტრალის აგების პროექტი. უკვე ჩატარებულმა ტოპოგრაფიულმა და გეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ აქ მეტად ხელსაყრელი პირობებია ჰიდრო-ცენტრალის ასაგებად. ა.-კ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ბარმაქსიზის წყლათსაცავის აგებას, რომელსაც ზამთარში მეტად დიდი წნევა ექნეს და საშუალებას მოგვცემს მოვაწესრიგოთ ამიერ-კავკასიის ჰიდრო-ელსადგურის ჯგუფის მუშაობა.

ახალი სასწავლებლები თბილისში

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებამ 1930-31 სამოსწავლო წელში თბილისში ხსნის: შვიდ პედაგოგიურ ტექნიკუმს, სამ აგროტექნიკუმს, ორ კოოპერატიულ ტექნიკუმს, 1 ელ.-ტექნ., 1 გეოლოგიურ ტექ. 2 საალმშ.-ტექ. ტექნიკუმს, 1 ავტომოტოტექნიკუმს, ფინანსიურ ტექნიკუმს, ერთ კომუნალური მეურნეობის ტექნიკუმს, ერთ სტატისტიკურ ტექნიკუმს, ერთ სამხატვრო ტექნიკუმს, და ერთ საგზატკეცილო ტექნიკუმს.

გარდა ტექნიკუმებისა ახალ სამოსწავლო წელში თბილისში იარსებებს 31 საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედი შრომის სკოლა მეტალურგიული და ხის დამმუშავებელი წარმოების, განხრით.

ამასთანავე იარსებებს 81 პირველი საფეხურის სკოლა.

ჭადრაკი

მაესტრო ი. როხლინი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის ცნობილი მოჭადრაკე მაესტრო როხლინი, რომელიც მოვლინებულია ამიერ-კავკასიაში საკავშირო საჭადრაკო სექციის საბჭოს აღმასბიუროს მიერ ამიერ-კავკასიის საჭადრაკო საქმის დაყენების და მისი მდგომარეობის დასათვალიერებლად და მოსაწესრიგებლად. მაესტრო როხლინი ერთ-ერთი ენერგიული და აქტიური მუშაკთაგანია საკავშირო საჭადრაკო ორგანიზაციებში, ამასთანავე ერთად იგი მოჭადრაკეთა შორის მეტად საინტერესო ერთეულს წარმოადგენს. მის თამაშს ახასიათებს: საკმაოდ განვითარებული კომბინაციური აღმაფრენა, გამომდინარე პოზიციის სწორი შეფასებიდან.

დღეს, 2 აგვისტოს, საღამოს 8 ნახ. ს. ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, ამხ. როხლინი თბილისის მოჭადრაკე აქტივისათვის გააკეთებს მოხსენებას: საკავშირო ცენტრალურ აღმ. კომ. არსებულ ფიზ. საბჭოს საჭადრაკო-საშაშო სექტორის პირველი პლენუმის შედეგების შესახებ. პლენუმი მოწვეული იყო მოსკოვში ა. წ. 15 ივლისს. მოხსენების შემდეგ ჩატარდება მაესტრო როხლინის ერთდროული სეანსი ჭადრაკში. როხლინის თბილისში ყოფნის დროს საჭ.-საშაშო ბიუროს განზრახული აქვს მოაწყოს შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: სამი მაესტრო: როხლინი, ნენაროკოვი და გოგლიძე და სმოროდსკი, სოროკინი ან ვეიზერი. საჭ.-საშაშ. ბიურო მოუწოდებს თბილისში არსებულ ყველა საჭადრაკო წრეების წევრებს დაესწრონ როხლინის მოხსენებას.

უწესრიგობას ფუნიკულიორზე ბოლო უნდა მოეღოს

ამას წინად თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გამოჰყო სპეციალური კომისია სანიტარულ ექიმის ლ. წერეთლის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა ფუნიკულიორის სანიტარული მდგომარეობის გამოკვლევა.

კომისიამ გამოკვლევა უკვე ჩაატარა და იქ აღმოაჩინა მრავალი ნაკლოვანებანი.

გამოირკვა, რომ ფუნიკულიორზე არსებული მუშკოოპის სასადილო სარგებლობს ფარულად დაკლული საქონლით, რომელსაც სანიტარული ზედამხედველობა არ სინჯავს. სასადილოს გაევს ცარიოვს ხელშეკრულება ჰქონია დადებული კერძო პირ გელაშვილთან, რომელიც სასადილოს აწვდის საკლავ საქონელს. შემოწმების დღეს კომისიამ სასადილოში აღმოაჩინა 6 დაკლული და შეუმოწმებელი ცხვარი.

სასადილოში გამეფებულია ანტისანიტარია. როგორც თვით სასადილო, ისე მის მიერ დაკავებული ტერიტორია ნაგავითაა სავსე. სასადილოდან გატანილ ნაგავს იქვე მახლობლად ყრიან და ეს ხელს უწყობს სხვადასხვა პარაზიტების გამრავლებას. ნაგავში განსაკუთრებით ძლიერად არის მოშენებული მღრღნელები (თაგვები, ვირთხები), რომლებიც პირდაპირ ანადგურებენ ფუნიკულიორზე ახალ გაშენებულ ნორჩ მცენარეულობას. ამ მცენარეულობას არც სასადილოში მოსამსახურე პერსონალი ეკიდება სათუთად. ისინი მათ [illegible] ასხამენ ცხელ ნარეცხ წყალს, რის გამო მცენარეულობა ხმება.

დიდ უხერხულობას წარმოადგენს ფუნიკულიორზე წყლის უქონლობა, ხოლო ფუნიკულიორის სადგურიდან 300-400 მეტრის დაშორებით მოიპოვება მშვენიერი ღირსების წყაროს წყალი. მისი გაიოყვანა მილებით არც ისე დიდ ხარჯებს მოითხოვდა, რომ ამაზე აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას თავის დროზე ეზრუნა. ეხლა კი, უწყლობის გამო [illegible] ეპიდემიური ავადმყოფობის გავრცელება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სანიტარული ზედამხედველობა ფუნიკულიორზე ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას.

დასასრულ—ხულიგნობის შესახებ. კომისიას მრავალი საჩივრები წარუდგინეს იმის შესახებ, რომ ფუნიკულიორი აკლებული აქვს ხულიგანთა ერთ ჯგუფს. ექვსი ხულიგანი კი ფუნიკულიორის სრული ბატონ-პატრონია. მათთვის ხმის გაცემა ვეროვის გაუბედნია, რადგან ყველა ისინი დაიებით არიან შეიარაღებულნი და არავის არ ინდობენ. ყველა მათ ფუნიკულიორზე მომუშავენი პირადათ იცნობენ, მაგრამ შიშით კრინტის დაძვრას ვერ ბედავენ. ხულიგნები აწიოკებენ ხალხს, აყენებენ შეურაცხყოფას ქალებს და სცემენ მამაკაცებს. ხოლო მილიცია მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ ღებულობს. აქამდე არ მოსულა თბილისის ადმინისტრატიულ განყოფილებას აზრად, რომ ფუნიკულიორზე მოეწყო მილიციელთა საგუშაგო.

ამის შემდეგ მაინც მართებს მას გამოფხიზლება და ხულიგნების წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღება. აუცილებელია ფუნიკულიორზე მილიციის საგუშაგოს მოწყობა, რომ იქ ასულ ხალხს თავისუფლად შეეძლოს დასვენება.

ფუნიკულიორზე არსებული არანორმალური მდგომარეობა დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს და პირველ რიგში თბილისის აღმასკომმა და მუშკოოპის გამგეობამ უნდა მიიღონ ამ მიმართულებით საჭირო ზომები.

ა. ქ.

ქრონიკა

ამხ. იაკოვლევის ჩამოსვლა

31 ივლისს დღის 4 საათზე მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მიწად-მოქმედების სახ. კომისარი ამხ. იაკოვლევი. ამხ. იაკოვლევს რკინის გზის სადგურზე შეხვდნენ ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა, ა.-კ. მიწადმოქმედების სახ. კომისარი ამხ. ერზნკიანი, საქ. მიწადმოქმედების სახ. კომისარი ამხ. ს. ჯუღელი და სხვ. საღამომდე ამხ. იაკოვლევი გაეცნო სას.-სამ. კამპანიის მიმდინარეობას და შემოდგომის თესვისათვის მზადებას. იმავე დღეს ღამის 10 საათზე ამხ. იაკოვლევი გაემგზავრა ბორჯომში.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა საქალაქო კრება

ორშაბათს, 4 აგვისტოს, მეღითონეთა კლუბში (პლეხანოვის პრ. 171) საღ. 7 საათზე შესდგება თბილისის საინჟენერო-ტეხნიკურ ძალების საერთო საქალაქო კრება პერიფერიების წარმომადგენელთა თანდასწრებით. კრებაზე მოხსენებას გაკეთებს ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **შ. ელიავა.** მოხსენების თემა: „სოციალისტური მშენებლობა და საინჟენერო-ტეხნიკური ძალების მონაწილეობა აღმშენებლობაში“.

სამეცნიერო-ტეხნიკური საზოგადოება

ამ.-კავკ. და საქ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოებთან დაარსდა გაერთიანებული სამეცნიერო-ტეხნიკური საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ტეხნიკური ძალების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ხელის შეწყობას. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ხ. ბაბლიძე.

უტილნედლეულის სამდღიური

8, 9 და 10 აგვისტოს თბილისში ჩატარდება საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვების სამდღიური.

განუწყვეტელ 5 დღიან კვირაზე გადასვლა

3 აგვისტოს საქ. ს.მ.უ. საბჭოში შესდგება თათბირი ზოგიერთი დაწესებულებათა განუწყვეტელ 5 დღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ. თათბირზე შემუშავებული იქნება იმ დაწესებულებათა საბოლოო სია, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნენ გადაყვანილი განუწყვეტელ 5 დღიან კვირაზე.

ნავთის ჭაბურღილი ნავთლუღში

მომავალი კვირიდან ნავთლუღში დაიწყება მუშაობა ნავთის ამოსაღები ჭაბურღილის ამოსაღებად. სამუშაოებს უხელმძღვანელებს „საქართველოს ნავთი“-ს ტრესტი.

დამზადებულია 842,6 ტონა მატყლი

საქართველოს ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, 20 ივლისისათვის საქართველოში დამზადებული იყო 842,6 ტონა გაზაფხულის მატყლი, შესრულებული იყო გეგმის 92,3 პროც. აქედან მესაქონლეთა კავშირის დამზადებული ქონდა 794 ტონა, ცეკავშირს —9,1 ტონა, საბჭოთა მეურნეობის ტრესტს — 30,3 ტონა და „სოიუზმიასო“-ს — 5,8 ტონა მატყლი.

მუშათა ბრიგადა ხილ-ბოსტნეულის დამზადებაზე

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ საქართველოს მუშგლეხინთან ერთად გამოჰყო 5 მუშათა ბრიგადა და გაგზავნა ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხილ-ბოსტნეულის დამზადებისათვის თვალყურის სადევნებლად.

სამრეწველო საქონელი მეოთხე კვარტალისათვის

ამიერ - კავკასიის მუშათა მოსამარაგებლად მეოთხე კვარტალში „ზაკსოიუზ“-მა გამოჰყო 2.005.000 მანეთის მზა ტანისამოსი, 1.090.000 მანეთის ფეხსაცმელი, 675.000 მანეთის გალანტერეია, სატრიკოტაჟო ნაწარმოები, ქსოვილი და სხვ. (ადს).

დეფიციტიანი საქონელი ბაზარზე

უკანასკნელ დროს კერძო ბაზარზე გაჩნდა დიდძალი ფეხსაცმელი, მანუფაქტურა, შეკერილი ტანისამოსი, საპანი და სხვა საქონელი, რასაც კოოპერაცია ღებულობს გეგმიანი მომარაგების წესით. ამ დეფიციტიან საქონელს ხშირად ჰყიდიან ზოგიერთი შეუგნებელი მუშა-მოსამსახურეები, რომლებსაც ეს საგნები ეძლევა მტკიცე ფასებში, მაგრამ შესაძლებელია, რომ საქონელი სხვა გზითაც გადიოდეს ბაზარზე, სახელდობრ კერძო პირებს სხვადასხვა ხრიკებით გაჰქონდეთ მუშკოოპის მაღაზიებიდან. საჭიროა მტკიცე ზომების მიღება იმის წინააღმდეგ, რომ დეფიციტიანი საქონელი კერძო ბაზარზე არ გადიოდეს.

„წითელი მკერავი“

1 აგვისტოს გამოვიდა ნაბეჭდი გაზეთის „წითელი მკერავი“-ს პირველი ნომერი. გაზეთს უშვებენ „მკერავი“-ს პირველი და მეორე ფაბრიკის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

თბილისის აღმასკომში

◆ **მოძრავი საექიმო პუნქტი პურის დამზადების რაიონებში.** თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა გაგზავნოს მოძრავი საექიმო პუნქტი თბილისის ოლქის იმ რაიონებში, სადაც პურის დამზადება სწარმოებს.

◆ **ქალთა მოსამზადებელი კურსები.** აღმასკომმა დაადგინა გახსნას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეების და საბჭოების აქტიურ წევრ ქალთა მოსამზადებელი 1 თვიანი კურსები.

სხვადასხვა

— **სტუდენტთა აკადემიური ექსკურსია.** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აწყობს სტუდენტთა დიდ აკადემიურ ექსკურსიას. ექსკურსიის მარშრუტის დამუშავება ამჟამად სწარმოებს.

— **ამხ. ბორის ძნელაძის ძეგლი.** თბილისში გადაწყვეტილია დაიდგას ამხ. ძნელაძის ძეგლი. ძეგლის დასადგამი ხარჯების ნაწილს კისრულობს თბილისის აღმასკომი.

◆ **კვირას, 3 აგვისტოს** საღ. 7 საათზე ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დანიშნულია რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელის ამხ. **სანდრო ახმეტელის** მოხსენება შემდეგ თემაზე: „რუსთაველის თეატრი საკავშირო ოლიმპიადაზე“.

რკინისგზებზე

სამგზავრო ტარიფის გადიდება

ა.-წ. 1 აგვისტოდან საბჭოთა კავშირის ყველა რკინის გზებზე მატარებლებით მგზავრობის ტარიფი გადიდებულია 25 პროცენტით. ამავე რაოდენობით დიდდება პლაცკარტების და სიჩქარის ღირებულება.

ტარიფის გადიდება არ ვრცელდება ქალაქის მახლობლად მოძრავ მატარებლებზე (როგორიცაა: თბილისი-გორი, ბათომი ნატანები და სხვა). [illegible] რჩება აგრეთვე სამხედრო ტარიფი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ 25 პროცენტით დიდდება ღირებულება სამხედრო ბილეთებზე გაცემული პლაცკარტების რბილ ვაგონებში დასაწოლად და სისწრაფის საფასური.

ახალი ტარიფი უკვე გატარებულია ცხოვრებაში.

შემთხვევები

დაჯახება

პლეხანოვის და ალექსეევის ქუჩის კუთხეში, სამხედრო ავტო-მანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი გრატიაშვილი, დაეჯახა ტრამვაის ვაგონს და ეტლს. ეტლი საგრძნობლად დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა, დაჯახების მიზეზის გამოკვლევა სწარმოებს.

დაპატიმრება

ქურდობისათვის დააპატიმრეს ივანე მერკულოვი (დიდუბის შესახვევი 10) და ბელაბეგ კოლოზოვი.

ქურდობა

გაქურდეს ვარა დავითაშვილის ბინა, წაღებულია 2000 მანეთის ნივთები ვალერიან დერბიზოვის ბინიდან მოიპარეს 100 მანეთის ნივთები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის „26“ კომუნარის სახელობის რაიკომი წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას კ.პ. (ბ) უჯრედების ჯგუფური დახურული კრებები, რომლებზედაც უნდა დაისვას საკითხი საკ. კ.პ. (ბ) მე-16 ყრილობის შედეგების შესახებ. 1. ტყავის ქარ. № 1, ტყავის ქარ. № 2, ფეხსაცმელების ფაბრიკა, ა.-კ. საუტილიზ. სამ., ბამბის ფაბრიკა, ბამბის სართავი ფაბ., საპნის ქარ., მკერავი № 2, მაკარონის და საგალეტო ფაბრიკები. კრება შესდგება ტყავტრესტის საზაფხულო კლუბში დღის 3 საათზე. მომხსენებელი ამხ. იაკოვლევი. 2) მე-2 ზეთის სახდელი ქარხ., სასურსათო ბაზა, კოლექტივი 8-3, უსტანოვკა, საავადმყოფო, იზოლიატორი, მასწავლებელთა უჯ., საწყობი № 7, საბინ.-საიჯარო კოოპ.ამხ.-ბა, კრება შესდგება რაიკომის შენობაში საღ. 6 საათზე, მომხსენებელი ამხ. იპპო. 3. არსენალი, საწყობი № 24, მკერავი № 1, მშენებლები № 2, სანტეხი, ძეხვის ქარხ., საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, შინამრეწვ. მეღითონეები, სახ. ტრანსპორტი, საყალიბო, ა.-კ. საფეიქრო გაერთიანება, საქ. სამრეწ. მშენებელ. სახ., კოლექტიური ფეხსაცმელი, შინამრეწვ. საზაფხულო კლუბში საღ. 6 საათზე, მომხსენებელი ამხ. გორდელაძე. 4. ა.-კ. ვაჭრ. სახ. კომისარ., საქ. ვაჭ. სახ. კომ., საქ. სმუს, ა.-კ. მეხილეობა-მებოსტნეობათა კავშ., ტყავის სინდიკატი, „სოიუზხლები“, „სოიუზმიასო“, საფეიქრო სავაჭრო საქ. საზ., ღარიბ ებრაელთა კომ., ა.-კ. სამთოქიმ. ტრესტი, „რუდმეტალტორგ“-ი, — სახალხო მეურნეობის კლუბში, საღ. 6 საათ. მომხს. ამხ. რუხულ ახუნდოვი.

სახკინმრეწვის თეატრები
საზაფხ. ეთერი (სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
კლოუნ ჟორჟის ბენეფისი
ზ. კურდიუმოვას და რეპნინის მონაწილეობით.
საზაფხ. აპოლო (დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს 15 წ.
მხატვრული ფილმი
ღამის მეეტლე
მთ. რ-ში ბუჩმა და დესიმეტიერი.
სპარტაკი (ყოფ. არფასტო) I-ლი სეანსის დასაწყისი 7 ს.
საუკეთესო სურათი
პარიზელი მეწაღე
მთ. როლში ფ ნიკიტინი
საზაფხულო პალასი 1-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.
უცხოეთის ახალი ფილმი
სამი ჯიბი
რეჟისორი რიხარდ ეიხბერგი. ოპერატორი ჰენრიხ გერტერი. 0—2

მასწავლებლები
უმაღლესი ცოდნით
ამზადებენ მოწაფეებს:
სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად.
პირობების გაგება 4—7 საათამდე.
კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2.
(ყოფ. პიროგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 25—25

კინო-სპარტაკი
(ყოფ. არფასტო)
დღეს, 2 აგვისტოს,
საუკეთესო სურათი
პარიზელი მეწაღე
მთავარ როლში ფ. ნიკიტინი
დადგმა რეჟ. ერნერის
ნ. 1151

მალე!
ამერიკული კომედია
კარპერ-ბროსის ნაწარმოები
მაიმუნების თეატრი
გროტესკი 7 ნაწილად
მთავარ როლში სიდ გაილინი
ნ. 1153

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
(ყ. სტელა)
შაბათს, 2 აგვისტოს, გაიხსნება სიმფონიური კონცერტების სეზონი
პირველად ცნობილ დირიჟორ
ა. ა. ეიხენვალდის
გასტროლი სოლისტ ე. კაპელნიცკის (ვიოლონჩელი) მონაწილეობით. პროგრამა შესდგება მთლიანად გლაზუნოვის ნაწარმოებებიდან. სიმფონია № 5. სცენები ბალეტიდან. სტენკა რაზინი და სხვ.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი საღ. 9 საათ. ნ. 1152

საქარ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის გამგებლობაში მყოფ თბილისის
საზ. კვების ტეხნიკუმში
მიღების წესები 1930/31 წელში
(სახალხო კვების ტეხნიკუმი დროებით მოთავსებული იქნება თბილისის სამრეწველო ეკონომიურ ტეხნიკუმში, კეცხოველის ქ.)
ტეხნიკუმში მიღებული იქნებიან 7 წლედის კურსდამთავრებულნი უგამოცდოთ, ასაკით 16-დან 21 წლამდე.
ტეხნიკუმში განცხადებები უნდა იქნენ შეტანილი 30 ივლისიდან 25 აგვისტომდე.
განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:
1. მოწმობა განათლების შესახებ; 2. სოციალური მდგომარეობის შესახებ; 3. საარჩევნო უფლებების და შრომის სტაჟის მოწმობა, ტეხნიკუმში შემსვლელის, ან მისი მშობლების; 4. მეტრიკული ამონაწერი; 5. სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების; 6. ჯანმრთელობის; 7. ორი ფოტოგრაფიული სურათი.
ტეხნიკუმში სწავლის კურსი 3—წლიანია. ტეხნიკუმში სულ მიღებულ იქნება—70 კაცი.
მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბრიდან.
მოწაფეების განსაზღვრული რაოდენობა უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით, საცხოვრებელი ბინით ტეხნიკუმი არ უზრუნველჰყოფს, განცხადება (შეიძლება ფოსტითაც) საჭირო საბუთების თანდართვით, საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებულ კადრების სექტორის სახელზე. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 31.
საქ. ვაჭრ. სახ. კომისარი—შ. ელერდაშვილი.
კადრების სექტორის ხელმძღვ. ნ. ბულეიშვილი.
4145

სახელმწიფო ბანკის, ქალ. საავენტოს და სამრეწველო ბანკის აპარატის
შემმოწმებელი და გამწმენდი
კომისია
აუწყებს მოქალაქეებს, რომ 2 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე სახ. ბანკის კულტ. კუთხის სადგომში (აღმასკომის, № 5) შესდგება აღნიშნულ დაწესებულებების თანამშრომელთა
საერთო კრება
რომელზედაც კომისია გააკეთებს მოხსენებას აპარატის შემოწმების შედეგების შესახებ.
ნ. 1149 სახ. ბანკის შემმოწმებელი კომისია.

საქ. სახ. სას.-სამ. ინსტიტუტის
მებაღეობის ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტთა საექსკურსიო სამეული აცხადებს, რომ ა/წ. 15 აგვისტოს ეწყობა ხსენებულ კურსის სტუდენტთა
სამოსწავლო ექსკურსია
მებაღეობის—მევენახეობის და მეღვინეობის ყირიმის მთავარ რაიონებში.
რისთვისაც ყველა სტუდენტები, რომლებიც ჩაწერილი არიან ექსკურსიის საორენტაციო სიაში, ხელახლათ უნდა გატარდენ აღრიცხვაზე ამხ. ტერენტი გველესიანთან (ყიფიანის ქუჩა, № 5) ა/წ. 12 აგვისტომდე, აგრეთვე კონტრაქტაცია ქმნილ სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ 80 მანეთი (მოსამსახურეებმაც), სტიპენდიანტებმა 40 მანეთი, არა კონტრაქტანტები და არა სტიპენდიანტები კი უზრუნველყოფილი იქნებიან (პირად მოთხოვნილების საგნების გარეშე).
უკანასკნელათ ვსთხოვთ ექსკურსიაში მონაწილეთა მსურველ ამხანაგებს მხედველობაში იქონიონ ზემოთ აღნიშნული ცნობები, წინააღმდეგ შემთხვევაში, არავითარ პრეტენზიებს 12 აგვისტოს შემდეგ არ მიექცევა ყურადღება.
ექსკურსია გასტანს 25—30 დღემდე.
4159 საექსკურსიო სამეული.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:
პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვ. მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდ და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10
ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1
ა. პაატაშვილი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მიღება საღამოს 7—8 საათ. ყაზბეგის და ბარნოვის (გუნიბის) ქ. კუთხე № 41/43. 25—1
ლოგოპედი ა. ა. პაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—
პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—91 3—1

ღრმად დამწუხრებული ოჯახი და ჭირისუფალნი ამით ვაცნობებთ საზოგადოებას და მეგობარ ნათესავებს, რომ მათთვის დაუვიწყარ და უდროოდ დაკარგულ
ნოე ივანეს ძე მინდაძის
დასაფლავება დანიშნულია დღეს, 2 აგვისტოს (ნაცვლად წინად გამოცხადებულ 1 აგვის.). გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს კლინიკის პროზექტურიდან კუკიის სასაფლაოზე.

საქართველოს სახვაჭრობის და „მრეწმშენმომარაგების“ ადგილკომი, კომუჯრედი და ახალგაზრდა ლ. კ. კ-ის უჯრედი გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის პეტრე ზარქიძის ვაჟის
პატარა შოთას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 2 აგვისტოს, დღის 5 საათ. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ვლადიმირის ქ. № 27. (ე)

საქართველოს სახვაჭრობის და „მრეწმშენმომარაგების“ თანამშრომელნი: ვ. არეშიძე, კ. ლაზარევი, ა. ჯაფარიძე, ნ. გიორგაძე, ლ. კორქაშვილი, მ. მასხარაშვილი, ვ. როყუა, ვ. ჯანელიძე, ა. ქყონია, ვ. კვალიაშვილი, ი. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ტ. ოგანოვი, გ. გერსამია, ს. ნოდარიძე, ა. დავითაშვილი, რ. გალუსტიანი, ლ. გურგენიძე, გაბუნია, ა. ასრიევი, შ. ხიკოლაიშვილი, კ. ბოკუჩავა, ა. გრიგორაშვილი და გ. მესხი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის პეტრე ზარქიძის ვაჟის
პატარა შოთას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 2 აგვისტოს, დღის 5 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ვლადიმირის ქ. № 27 (ე)

გულმოკლული დედა ელისაბედი, ძმა გიორგი, ცოლით ოლღათი ნუკრაძეები, და ოლღა იუწყებიან მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ
ალექსანდრა (საშა) ედიშერის ასული ნუკრაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 საათზე. დაკრძალვა კვირას, 3 აგვისტოს, 6 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან ახალ პროექტის ქუჩა № 3. 4162

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მეუღლე დარია, შვილები: ოლა, ვერა, თამარი, ნინა, ელენე და სიძე ნესტორ ჩიკვაიძე იუწყებიან, ძვირფასი
იოსებ გიორგის-ძე ბაბუნიძეს
ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. თელავში, კვირას, 3 აგვისტოს, 4 საათზე. 2—1 4142

დამწუხრებული ქვისლები: სტოპა ი[illegible]რამაშვილი, აკაკი ტაბიძე, ვალიკო კუხალეიშვილი, დეიდები: კატუშა, ნინა, თამარი, ლიზა, დეიდაშვილები: თამარი, ევა, ავთანდილი და ნათელა პაპა ვანი და ბაბო, სონა ორთუანდოვები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პატარა
შოთიკო პეტრეს-ძე ზარქიძე
გამოსვენება დღეს, 3 საათზე ბინიდან ვლადიმირის ქ. № 27. 4143

დამწუხრებული შვილები: იაკიმე მეუღლე ლაისოთი, კოლია, ფილიპე და ანეტა თავის ქმარშვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 14 ივლისს, გარდაიცვალა მათთვის საყვარელი
ბესარიონ მოსეს-ძე პეტრიაშვილი
4166

საჭიროა
გამოცდილი
წარმოების მცოდნე
ბუხჰალტერი
ანგარიშების წარმოება ქართულად.
მთიელთა კულტ-საზოგადოება
რუსთაველის პროსპ. 38.
2—2 4040

ექიმი
ი. მჭედლიშვილი
წასულია
ავადმყოფების მიღებას განაახლებს სექტემბრის პირველ რიცხვებში. 25—1

პროფესორი
გრ. მუხაძე
წასულია თბილისიდან და დაბრუნდება სექტემბრის პირველ რიცხვებში. 13—1

დაიწყო ავადმყოფების მიღება
ახალ ბინაზე
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტრო-სინათლის კაბინეტი
პეტრიაშვილის ქუჩა (უდელის) № 11,
მიღება საღ. 7—8 ს. ტელეფ. 21—45

თანახმად სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1925 წლ 13/7 № 12 ცირკულიარისა ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. არონი ისაკის ძე მელცერმა თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე და სახელდობრ ლიუბარტოვიჩ არქადი-ზედ. 4163

თანახმად სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1925 წლ. 13/7 № 12 ცირკულიარისა მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქალაქე ალექსანდრე ივანესძე ანდრიანცმა თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე ანდრეევზე. 4156

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ. ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

გამოვიდა
კონსტანტინე გამსახურდიას
ნოველების წიგნი
„მარცხენა თვალით“
წიგნი იყიდება „სახელგამის“, „ზაკკნიგას“, „შრომას“ და „ქართული წიგნის“ მაღაზიებში და აგრეთვე ა.-კ. გაზეთების კიოსკებში.
ნ. 1150

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად
— ბოლცის წიგნ. № 9004—ალექსანდრე ჯებაშვილის სახელზე. 4157
— დაზღვევ სალაროს წიგნ. № 84—მარიამ ქავჯაიას სახელზე. 4169
— სამხ. საალრ. ბარ., გაცემ. სენაკის სამხ. კომის. მიერ—პარმენი ფილიპეს-ძე ჩაჩიბაიას სახელზე. 4167
— მუშკ. საწ. წიგნ. № 37197 ლაზარე კობიაშვილის სახელზე. 4168
— კავშ. წიგნ. № 60840 და საალრ. ტეხნ. სპეციალისტთა წიგნ. № 6401—პავლე რომანის-ძე ხვედელიძის სახელზე. 4161
— სომწიფის მოწმ. № 737 7-დ წლ. დამთავ.—გიორგი გოზალიშვილის სახელზე. 4165
— სამხ. წიგნ. № 23—ერემია ქანთალაძის სახელზე. 4160
— ხმის უფლების მოწმ. — პავლე ფილიპეს ძე ქოიავას სახელზე. 4158
— წიგნაკი № 1044, პირად. მოწმ. № 2636 ანნა ფხაკაძის სახ. 4154
— სამხ. საალრ. ბილეთი—არჩილ კოლხიდაშვილის სახელზე. 4007
— სამხ. წიგნ. № 833—თედორე ლომთათიძის სახელზე. 4148
— ლომბარდის ქვით. № 085962, № 138087 4151
— მეტრ. ამონაწ. ელისაბედ გიორგის ას. —ნინიკაშვილის სახ 4149
— პურ. წიგნ.—გიორგი არბოლიშვილის სახელზე. 4146
— პურ. წიგნ. № 42742—იოსებ ალექსის-ძე დარახველიძის სახ. 4144
— პურ. წიგნ. № 14749—იოსებ ბასიაშვილის სახელზე. 4147
— პურ. წიგნ. № 19111 გარეგინ ხაჩატუროვის სახელზე. 4153
— მუშკ. წიგნ. № 72751 და პურის წიგნ. № 9871 გოგი როსტომოვის სახელზე. 4155
— 7-წლ. დამთავ. ატესტ.—ვარლამ დავითის-ძე ქუნთელიას სახ. 4152
— საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ გაცემ. პარტბილეთი № 0578105 დომენტი ივანეს-ძე გოგორიშვილის სახელზე. 4164

ტირაჟი—53.513
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904